

26–30 სექტემბერი 2016 თბილისი, საქართველო

ტრადიციული მრავალხმიანობის
ძეგლი
საერთაშორისო
სიმპოზიუმი

THE EIGHTH
INTERNATIONAL
SYMPOSIUM
ON TRADITIONAL POLYPHONY

26 –30 SEPTEMBER 2016 TBILISI, GEORGIA

სიმპოზიუმი ტარდება საქართველოს პრეზიდენტის
გიაორგი მარგველაშვილის პატრონაჲით

სიმპოზიუმის ფინანსური მხარდაჭერები:

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

სიმპოზიუმის ორგანიზატორები:

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
თსკ-ის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი
ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი
საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

**THE SYMPOSIUM IS HELD UNDER THE PATRONAGE OF
GIORGI MARGVELASHVILI, PRESIDENT OF GEORGIA**

**BY THE FINANCIAL SUPPORT OF
THE MINISTRY OF CULTURE AND MONUMENTS PROTECTION OF GEORGIA
and
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION**

ORGANIZERS OF THE SYMPOSIUM:

**VANO SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE
INTERNATIONAL RESEARCH CENTER FOR TRADITIONAL POLYPHONY OF TSC
THE INTERNATIONAL CENTRE FOR GEORGIAN FOLK SONG
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA**

**გიორგი
მარგველაშვილი**
საქართველოს
პრეზიდენტი



GIORGI MARGVELASHVILI
PRESIDENT OF GEORGIA

I am delighted that Georgia is once again hosting the International Symposium on Traditional Polyphony. I would like to cordially welcome the participants and thank the organizers.

Our ancient Georgian polyphony has long been recognized as a unique, invaluable part of the world's musical treasures, and it holds a particular place in Georgian culture.

I believe that folk polyphony is the best means to become acquainted with the Georgian character and worldview. It most imaginatively displays our historically-established values: the freedom of each individual merged with difference, while striving for harmonious cohabitation and collaboration. These ideals, which are also the foundation of contemporary civilization, still inspire our spiritual life and social activities.

Thus, such a high-level forum, aiming to suitably present and research our polyphony, is a significant occurrence in our culture and social life.

I wish a time of fruitful accomplishment to the symposium and its participants.

მოხარული ვარ, რომ საქართველო კიდევ ერთხელ მასპინძლობს ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმს. გულითადად მოგესალმებით მის მონაწილეებს, მადლობას ვუხდით ორგანიზატორებს.

უძველესი ქართული მრავალხმიანობა უკვე დიდი ხანია აღიარებულია ზოგად-საკაცობრიო მუსიკალური საგანძურის ფასდაუდებელ, უნიკალურ შენაძენად და მას ჩვენს კულტურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ვფიქრობ, ხალხური პოლიფონია საუკეთესო გზამკვლევაა ქართული ხასიათისა და მსოფლხედვის შესაცნობად. იგი ყველაზე ბატონად განასახიერებს ჩვენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ღირებულებებს: თითოეული ინდივიდის თავისუფლებას, რომელიც შერწყმულია განსხვავებულთან ჰარმონიული თანაცხოვრებისა და თანამშრომლობისადმი მისწრაფებასთან. ეს იდეალები, რომლებიც ამავდროულად თანამედროვე ცივილიზაციის საფუძველთა საფუძველიცაა, კვლავაც შთააგონებენ ჩვენს სულიერ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობას.

ამდენად, თქვენი ესოდენ მაღალი რანგის ფორუმი, მრავალხმიანობის კვლევისა და სათანადოდ წარმოჩინებას რომ ისახავს მიზნად, ჩვენი კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

წარმატებულ, ნაყოფიერ მუშაობას ვუსურვებ სიმპოზიუმს და მის თითოეულ მონაწილეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ გიორგაძე
საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
მინისტრი



სასიხარულოა, რომ თბილისი ტრადიციული მრავალხმიანობის სიმპოზიუმს მერვედ მასპინძლობს. ის, ერთი მხრივ, მიმართულია მსოფლიო მრავალხმიანობის კვლევისკენ, მეორე მხრივ კი წარმოაჩენს საერთაშორისო კონტექსტში ქართულ პოლიფონიას. მისი კვლევა კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როცა იგი UNESCO-ს მიერ მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის „უნიკალურ, ხელთუქმნელ“ შედეგადაა აღიარებული.

თბილისის სიმპოზიუმების მასშტაბურობა იმ ფართო საერთაშორისო კონტაქტების შედეგია, რომლის გაღრმავებაზე მუდმივად ზრუნავს კონსერვატორიის მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი.

ვფიქრობ, გამოცდილების გაზიარების გარდა, სიმპოზიუმი პროფესიული ქსელის შექმნის კარგი საშუალებაა.

წარმატებას ვუსურვებ სიმპოზიუმის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

MIKHEIL GIORGADZE

MINISTRY OF CULTURE AND
MONUMENT PROTECTION
OF GEORGIA

I am delighted that Georgia is hosting the International Symposium on Traditional Polyphony for the eighth time. On the one hand, this project is directed towards the scholarly study of world polyphony; on the other hand it presents Georgian polyphony in international contexts. Research on this topic is particularly important as UNESCO has proclaimed it a Masterpiece of the Intangible Cultural Heritage of Humanity.

The scale of the Tbilisi symposia is a result of wide international contacts; extending these contacts is an objective of the International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi State Conservatoire.

I believe that alongside sharing the experience the Symposium is a good means to expand professional networks.

I wish success to the organizers and participants of the Symposium.

A handwritten signature in dark ink, consisting of stylized, flowing letters that appear to be 'Mikheil Giorgadze'.

რეზო კიკნაძე
თბილისის
ვანო სარაჯიშვილის
სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორიის რექტორი



100 წლისთავის საიუბილეო სამზადისში მყოფი კონსერვატორიის სახელით, სიხარულით მივესალმები ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმის უკვე მე-8 სერიას. მასპინძლებს განსაკუთრებით გვახარებს ის, რომ წლევანდელ სიმპოზიუმზე მეცნიერთა უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობა იკრიბება და ისიც, რომ ადრინდელზე უფრო მრავლადაა წარმოდგენილი უცხოელ მეცნიერთა შრომები, მიძღვნილი ქართული სიმღერა-გალობისადმი. ეს ორმხრივ სასარგებლო შეკრება, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ რამდენიმე დღით რომ მოიზიდავს ხოლმე ხალხური შემოქმედების მკვლევარებსა და მოყვარულებს მთელი მსოფლიოდან, იმიტომაცაა უდიდესი მნიშვნელობის, რომ სწორედ აქ ხდება რეგულარულად, სხვადასხვა კულტურათა ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო კვლევითი პრაქტიკის ურთიერთგაზიარება და მისი შედეგების პრეზენტაცია პროფესიულ დონეზე. ამავე დროს, აქვე ხდება ადგილობრივი, ქართული სამეცნიერო კვლევის შეჯერება ზემოხსენებულ „ზოგადთან“, მისი ისტორიული, სოციალური თუ ტექნოლოგიური განვითარების დინამიკაში.

გულითადად ვულოცავ ყველას – სიმპოზიუმის ორგანიზატორებს, მის მონაწილეებსა და სტუმრებს და ვუსურვებ საინტერესო სესიებსა და შთამაგონებელ კონცერტებს!

h. g. c. h.

RESO KIKNADZE

RECTOR OF VANO SARAJISHVILI TBILISI
STATE CONSERVATOIRE

On behalf of the Conservatoire, currently preparing for the celebration of its 100th anniversary, I gladly welcome the 8th International Symposium. We – the hosts – are particularly delighted by the unprecedentedly large number of participant scholars and by the fact that this year more foreign scholars will deliver papers dedicated to Georgian traditional song and chant.

This mutually beneficial gathering, which attracts researchers and lovers of folk art from all over the world every two years, is noteworthy because international research practices on the polyphonic aspects of various cultures are regularly shared and the results are presented here at a professional level. At the same time, local Georgian scholarly research is adjusted to the aforementioned “general” international one in the dynamics of its historical, social and technological development.

I cordially congratulate all – the symposium organizers, participants and guests – and wish them interesting scholarly sessions and inspiring concerts!

ფოტო: ლ. ხერხეულიძე / Photo: L. Kherkheulidze
ცხელი შოკოლადის არქივიდან / From the archive of Tskheli Shokoladi

ანზორ ერქომაიშვილი
 ქართული ხალხური
 სიმღერის საერთაშორისო
 ცენტრის თავმჯდომარე



ANZOR ERKOMAISHVILI
 CHAIRMAN OF THE
 INTERNATIONAL CENTRE FOR
 GEORGIAN FOLK SONG

For the eighth time, the International Symposium on Traditional Polyphony will host dozens of well-known scholars and researchers from almost all parts of the world. The fact that Tbilisi has become a significant centre for the study of traditional polyphony indicates the particular interest of world-renowned scholars in our national traditional music. At the symposium, alongside the papers that are presented, both scholars and audience members will have unique possibility to become familiarized with the best polyphonic examples performed by Georgian and visiting ensembles. In Georgia, the continuous tradition of transmitting folk song from generation to generation was determined by family tradition. Today, while Georgian folklore is in a difficult state in the village, it is family ensembles that preserve and continue polyphonic traditions. This year, family ensembles from Georgia's various regions will occupy a particular place in the Symposium's concert program.


The Georgians are well aware of the similarity between Georgian and Sardinian polyphony; this year they will have chance to hear the ensemble *Cuncordu Lussurzecu* and compare these two directly.

ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი უკვე მერვედ უმასპინძლებს ათეულობით ცნობილ მკვლევარს და მეცნიერს მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან. ის, რომ სწორედ საქართველოს დედაქალაქი, თბილისი იქცა ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის მნიშვნელოვან ცენტრად, მიანიშნებს მსოფლიოს ეთნომუსიკოლოგიების განსაკუთრებულ ინტერესს ჩვენი ეროვნული ტრადიციული მუსიკისადმი.

სიმპოზიუმზე სამეცნიერო მოხსენებების გაცნობის პარალელურად მეცნიერებსა და დამსწრე საზოგადოებას ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა, ქართული და უცხოური ანსამბლების ცოცხალი შესრულებით ეზიარონ მრავალხმიანობის საუკეთესო ნიმუშებს.

საქართველოში ხალხური სიმღერის თაობიდან თაობაზე უწყვეტი გადაცემა ოჯახურმა ტრადიციამ განაპირობა. დღეს, როდესაც სოფლად ქართულ ფოლკლორს ასერიგად უჭირს, საბედნიეროდ, სწორედ ოჯახური ანსამბლები ინარჩუნებენ და აგრძელებენ მრავალხმიანი სიმღერის ტრადიციებს. ნელს, სიმპოზიუმის საკონცერტო პროგრამაში საგანგებო ადგილს დაიკავენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული ოჯახური ანსამბლები.

ქართული და სარდინიული მრავალხმიანობის მსგავსებაზე ქართველებს ბევრი სმენიათ. ნელს მათ მიეცემათ შესაძლებლობა მოუსმინონ ანსამბლ *Cuncordu Lussurzecu*-ს და თავად იმსჯელონ მათ მსგავსება-განსხვავებაზე.



რუსუდან წურწუშია

თბილისის სახელმწიფო
კონსერვატორიის
ტრადიციული
მრავალხმიანობის
კვლევის სართავშორისო
ცენტრის დირექტორი



თბილისის სიმპოზიუმი უკვე მერვედ იმართება. ამ სიმპოზიუმებმა დიდი გამოცდილება შესძინეს ყველა თაობის ქართველ ეთნომუსიკოლოგებს, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს, ხელი შეუწევს კონტაქტების გაღრმავებაში მსოფლიოს წამყვან ეთნომუსიკოლოგებთან და შესაძლებლობა მისცეს, გაეკვალათ გზა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებისაკენ. სიმპოზიუმის მოხსენებათა კრებულები, ფაქტობრივად, წარმოაჩენენ მრავალხმიანობის კვლევის თანმედროვე მდგომარეობას მსოფლიოს მასშტაბით, ისევე, როგორც ქართველ მეცნიერთა ძიებებს მშობლიური მრავალხმიანი სიმღერა-გალობის კვლევის სფეროში. ნაყოფიერი აღმოჩნდა იოსებ ჟორდანიას იდეა – ყოველ სიმპოზიუმზე მონაწილეებს შეეთავაზოთ ახალი თემა. ამან შესაძლებლობა მოგვცა წინ წამოგვეწია სამეცნიერო წრეებში ნაკლებად პოპულარული ან უკვე მივიწყებული თემები. მაგალითად, ამან სტიმული მისცა ისეთი, ერთი შეხედვით, უჩვეულო და სრულიად შეუსწავლელი საკითხების კვლევას, როგორიცაა აზიური მუსიკის მრავალხმიანობა, რის შედეგად სიმპოზიუმზე გაჩნდა მოხსენებები წურისტანის (ავღანეთი), აინების (იაპონია), ტაივანის ამისების (ჩინეთი) თუ ტიბეტური მრავალხმიანობის შესახებ... ეს კიდეც ერთხელ გვარწმუნებს, როდენ საინტერესო პერსპექტივები აქვს მრავალხმიანობის კვლევას და ხაზს უსვამს თბილისის სიმპოზიუმის მნიშვნელობას ამ პერსპექტივების გაფართოებაში.

მასპინძლებისთვის კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო პერსპექტივები, რომელსაც ასევე, კარგი პირი უჩანს – წელს 33-დან 8 უცხოელი მეცნიერის მოხსენება ეძღვნება ქართული სიმღერისა და გალობის სხვადასხვა ასპექტს...

წარმატებას ვუსურვებ სიმპოზიუმის მონაწილეებს!

რუსუდან წურწუშია

RUSUDAN TSURTSUMIA

DIRECTOR OF THE INTERNATIONAL
RESEARCH CENTER FOR
TRADITIONAL POLYPHONY
OF TBILISI STATE CONSERVATOIRE

This is already the eighth symposium to be held in Tbilisi. The Tbilisi symposia have helped generations of Georgian ethnomusicologists, especially young scholars, to get more experience, expand contacts with the world's leading ethnomusicologists, and pave the way to international scholarly fora. The books of symposium proceedings practically manifest the state of polyphony research on the world scale, as well as the research of Georgian ethnomusicologists on secular and sacred music. Joseph Jordania's idea to offer symposium participants a new theme at each symposium turned out to be fruitful; this allowed us to expand themes that are less popular or those already forgotten in scholarly circles; for instance, this stimulated research on apparently unusual and unstudied topics such as Asian polyphonic music, thanks to which papers on Nuristan (Afghanistan), Ainu (Japan), Taiwanese Amis and Tibetan (China) polyphony were included in the symposium program. This confirms that interesting perspectives are possible in the study of polyphony and emphasizes the role of the Tbilisi symposia in the expansion of these perspectives. The future prospects for international research on Georgian polyphony are particularly important for the hosts, and these also seem healthy – this year 8 out of 33 foreign scholars will deliver papers on various aspects of Georgian sacred and secular polyphony....

I wish success to the symposium participants!

გიორგი დონაძე
საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრის
ალმასრულებელი დირექტორი



ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი 2014 წლიდან ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმის ოფიციალური პარტნიორია, რაც, ჩემი აზრით, დიდი პასუხისმგებლობაა.

ჩვენ ფრიად საპატიო მისია გვაკისრია – საერთაშორისო სიმპოზიუმების ფარგლებში, ხალხური მრავალხმიანობის კონცერტების მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარება; ამისათვის, სიმპოზიუმის სხვა ორგანიზატორებთან ერთად, ვქმნით საკონცერტო პროგრამის კონცეფციას, შემდეგ კი ვარჩევთ რეგიონებში ფოლკლორული ჯგუფებსა და ინდივიდუალურ შემსრულებლებს, რათა ღირსეულად წარუდგინოთ ქართული მრავალხმიანობა დამსწრე საზოგადოებას. თბილისის სიმპოზიუმში დიდი სტიმულია ქართველი შემსრულებლების, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისათვის. 2016 წელს საკონცერტო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა საქართველოს მომღერალი ოჯახების კონცერტი იქნება. სწორედ ეს ოჯახები არიან ქართული მუსიკალური ფოლკლორის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მთავარი გამგრძელებელი.

სიმპოზიუმში ძალიან მნიშვნელოვანია, პირადად, ჩემთვის, როგორც შემსრულებლისა და ანსამბლ „ბასიანის“ ხელმძღვანელისათვის, რადგან სწორედ სიმპოზიუმმა ჩაუყარა საფუძველი ჩვენი ანსამბლის სისტემატურ თანამშრომლობას გამოჩენილ უცხოელ მეცნიერებთან, პროფესორებთან – სიმჰა არომსა და პოლო ვალეჟოსთან; თითქმის ათი წელია ერთობლივად ვმუშაობთ ქართული მრავალხმიანობის საკითხებზე, სწორედ მათი ინიციატივითა და მონდომებით გაიმართა ანსამბლის არა ერთი კონცერტი საზღვარგარეთ; წელს კი ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გავაფართოეთ და ფოლკლორის ცენტრში ქართველი ლოტბარებისთვის პროფ. პოლო ვალეჟომ მეტად საინტერესო ვორკშოპები ჩაატარა ბავშვებთან მუშაობის მეთოდებზე. მინდა, მაღლიერება გამოვხატო ბ-ნ სიმჰასა და ბ-ნ პოლოს მიმართ, იმ დიდი სიყვარულისა და ყურადღებისათვის, რომელსაც ისინი იჩენენ ჩვენი ეროვნული მუსიკალური ხელოვნების მხარდასაჭერად.

გულითადად მივესალმები და წარმატებას ვუსურვებ სიმპოზიუმის მონაწილე მეცნიერებსა და შემსრულებლებს!

GIORGI DONADZE

EXECUTIVE DIRECTOR
OF THE STATE FOLKLORE
CENTRE OF GEORGIA

The State Folklore Centre has been an official partner of the International Symposium on Traditional Polyphony since 2014, which, in my opinion, is a major responsibility.

We have an honourable mission – to provide a high professional level of the concerts of traditional polyphony as part of the International Symposia; for this, together with other organizers, we create a concept for concert program, and select folk ensembles and individual performers from various regions to suitably present Georgian polyphony to the audience. The Tbilisi symposia are an important stimulus for Georgian performers, particularly young ones. One of the highlights of the 2016 concert program will be the concert of singing families. These families continue centuries-old Georgian folk music traditions.

The symposium is very important for me, personally, as a member and director of ensemble Basiani, as the symposium laid the foundation for our systematic collaboration with foreign scholars, professors Simha Arom and Polo Vallejo. For almost 10 years, we have worked together on the issues of Georgian polyphony, and on their initiative Basiani held a number of concerts abroad. This year we expanded our collaboration, and at the Folklore Centre Professor Polo Vallejo held interesting workshops on the methods of working with children. I would like to express gratitude to Profs. Arom and Vallejo for their love and attention to our traditional music.

I cordially welcome the symposium's participant scholars and performers and wish them success!

სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტი

საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარეები:

მიხეილ გიორგაძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი

რეზო კიკნაძე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ანზორ ერქომაიშვილი, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის თავმჯდომარე

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სიმპოზიუმის სამეცნიერო პროგრამის ხელმძღვანელი

რუსუდან ნურნუია, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი

ტმაც-ის საზღვარგარეთული გიუროსა და სიმპოზიუმის სამეცნიერო პროგრამის ხელმძღვანელი

იოსებ ჟორდანია (მელბურნი, ავსტრალია)

საკონცერტო პროგრამის ხელმძღვანელი გიორგი დონაძე, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი

საორგანიზაციო გიურო:

მაია კაჭკაჭიშვილი, ბაია ჟუჟუნაძე, მაკა ხარძიანი, ნინო რაზმაძე, თეონა ლომსაძე

პრეს-სამსახური:

ირაკლი ევსტაფიშვილი, თეონა ლომსაძე

სამუშაო ჯგუფი:

ნანა გოდერიძე, გიორგი დოროკაშვილი, შორენა მეტრეველი, გიორგი ხუტსიშვილი,

ილია ჯღარკავა, სოფო კოტრიკაძე, მარინა კაპანაძე, მალხაზ რაზმაძე

SYMPOSIUM ORGANIZING COMMITTEE

CO-CHAIR PERSONS OF THE ORGANIZING COMMITTEE:

MIKHEIL GIORGADZE, Minister of Culture and Monuments Protection of Georgia

RESO KIKNADZE, Rector of Tbilisi State Conservatoire

ANZOR ERKOMAISHVILI, Chair of the International Centre for Georgian Folk Song

DEPUTY CHAIR OF THE ORGANIZING COMMITTEE, HEAD OF THE SCIENTIFIC PROGRAM:

RUSUDAN TSURTSUMIA, Director of the International Research Center for Traditional Polyphony of the Tbilisi State Conservatoire

HEAD OF THE FOREIGN BUREAU OF THE IRCTP AND THE SCIENTIFIC PROGRAM OF THE SYMPOZIUM:

JOSEPH JORDANIA (Melburne/Australia)

HEAD OF THE CONCERT PROGRAM: GIORGI DONADZE, Executive Director of the State Folklore Centre of Georgia

ORGANIZING BUREAU: MAIA KACHKACHISHVILI, BAIA ZHUZHUNADZE,

MAKA KHARDZIANI, NINO RAZMADZE, TEONA LOMSADZE

PRESS SERVICE: IRAKLI EVSTAPISHVILI, TEONA LOMSADZE

WORK GROUP: NANA GODERIDZE, GIORGI DOROKASHVILI, SHORENA METREVELI,

GIORGI KHUTSISHVILI, ILIA JGHARKAVA, SOPO KOTRIKADZE, MARINA KAPANADZE, MALKHAZ RAZMADZE

პროგრამა

26	სამეცნიერო სესია	10:15–14:00 კონსერვატორიის საკონფერენციო დარბაზი
	პრესკონფერენცია	17:00 კონსერვატორიის დიდი დარბაზის ფოიე
	სიმპოზიუმის ბახსნა და ფოლკლორული კონცერტი	18:00 კონსერვატორიის დიდი დარბაზი
27	სამეცნიერო სესია	09:30–18:00 კონსერვატორიის საკონფერენციო დარბაზი
	ფოლკლორული კონცერტები	13:00–15:00 კონსერვატორიის მცირე დარბაზი
		20:00 კონსერვატორიის დიდი დარბაზი
28	სამეცნიერო სესია	09:30–17:00 კონსერვატორიის საკონფერენციო დარბაზი
	ფოლკლორული კონცერტი	13:00–15:00 კონსერვატორიის მცირე დარბაზი
	ფილმების ჩვენება	19:00 კონსერვატორიის მცირე დარბაზი
29	კულტურული პროგრამა უცხოელი მეცნიერებისათვის	08:00–20:00
30	სამეცნიერო სესია და მრავალი მაგიდა დასკვნითი სესია	09:30–18:00 კონსერვატორიის საკონფერენციო დარბაზი
	ფოლკლორული კონცერტი	13:00–15:00 კონსერვატორიის მცირე დარბაზი
	სიმპოზიუმის დახურვა ბალა კონცერტი	20:00 კონსერვატორიის დიდი დარბაზი

PROGRAM

26	SEPTEMBER, MONDAY	SCIENTIFIC SESSION	10:15–14:00 CONFERENCE HALL OF THE CONSERVATOIRE
		PRESS CONFERENCE	17:00 FOYER OF THE GRAND HALL OF THE CONSERVATOIRE
		OPENING OF THE SYMPOSIUM AND FOLK CONCERT	18:00 GRAND HALL OF THE CONSERVATOIRE
27	SEPTEMBER, TUESDAY	SCIENTIFIC SESSION	09:30–18:00 CONFERENCE HALL OF THE CONSERVATOIRE
		FOLK CONCERTS	13:00–15:00 RECITAL HALL OF THE CONSERVATOIRE
			20:00 GRAND HALL OF THE CONSERVATOIRE
28	SEPTEMBER, WEDNESDAY	SCIENTIFIC SESSION	09:30–17:00 CONFERENCE HALL OF THE CONSERVATOIRE
		FOLK CONCERT	13:00–15:00 RECITAL HALL OF THE CONSERVATOIRE
		DEMONSTRATION OF THE FILMS	19:00 RECITAL HALL OF THE CONSERVATOIRE
29	SEPTEMBER, THURSDAY	CULTURAL PROGRAM FOR THE VISITING SCHOLARS	08:00–20:00
30	SEPTEMBER, FRIDAY	SCIENTIFIC SESSION AND ROUND TABLE FINAL SESSION	09:30–18:00 CONFERENCE HALL OF THE CONSERVATOIRE
		FOLK CONCERT	13:00–15:00 RECITAL HALL OF THE CONSERVATOIRE
		CLOSING OF THE SYMPOSIUM GALA CONCERT	20:00 GRAND HALL OF THE CONSERVATOIRE

მონაწილეები		PARTICIPANTS	
ავსტრალია/საქართველო	იოსებ ჟორდანი	AUSTRALIA/GEORGIA	JOSEPH JORDANIA
ავსტრია/საქართველო	ნონა ლომიძე	AUSTRIA/GEORGIA	NONA LOMIDZE
ავსტრია	ჰერბერტ ზოტი	AUSTRIA	HERBERT ZOTTI
ავშ	სუსან შედტლერი		SUSANNE SCHEDTLER
ავშ	მეთიუ არდტი	CANADA	ANDREA KUZMICH
ბერმანია	მარინა კაბანოვა		MARIO MORELLO
	ოლივერ გერლახი		NICOLAS ROYER-ARTUSO
	ფრანკ შერბაუმი	ESTONIA	ŽANNA PÄRTLAS
	სუსან ციგლერი	FRANCE	SIMHA ARON
დიდი ბრიტანეთი	ქეროლანდ ბითელი		FRANK KANE
დიდი ბრიტანეთი/ალბანეთი	ენო კოჭო		HUGO ZEMP
ესპანეთი	პენელოპე სანს გონსალესი	GEORGIA	GIA BAGHASHVILI
	მანუელ ლაფარგა		TAMAR CHKHEIDZE
ესტონეთი	ჟანა პარტლასი		MALKHAZ ERKVANIDZE
თურქეთი	ამაზ გაბონია		TAMAZ GABISONIA
იაპონია	კაბე ჰისაკა		MAIA GELASHVILI
კანადა	ანდრეა კუზმიჩი		MARINA KAVTARADZE
	მარიო მორელი		GIORGI KRAVEISHVILI
	ნიკოლას როდერ-არტუზო		LASHA MARTASHVILI
იტალია	რენატო მორელი		NANA MZHAVANADZE
ლიტვა	დანიე რაჩუნაიტე-ვიჩინიენე		NINO PIRTSKHALAVA
პოლონეთი	ანა გ. პიოტროვსკა		NINO RAZMADZE
რუსეთი	ლუდმილა პ. კაზანტსევა		TEONA RUKHADZE
	ლარიზა ხალტაევა		MAGDA SUKHIASHVILI
რუსეთი/ადიღე	ალა სოკოლოვა		NATO ZUMBADZE
საბერძნეთი	კატი რომანო		BAIA ZHUZHUNADZE
	ოლივერ გერლახი	GERMANY	OLIVER GERLACH
საფრანგეთი	სიმონ არონ		FRAK SCHERBAUM
	ფრანკ კინი		SUSANNE ZIEGLER
	ჰუგო ჰემპი	GREAT BRITAIN	CAROLINE BITHELL
საქართველო	გიგა გალაშვილი	GREAT BRITAIN/ALBANIA	ENO KOÇO
	თამაზ ბაგისონია	ITALY	RENATO MORELLI
	მანა გელაშვილი	GREECE	ACHILLEAS CHALDEAKES
	მალხაზ ერკვანიძე		KATY ROMANOU
	ნატო ზუმბაძე	JAPAN	KAE HISAOKA
	გიორგი კრავეიშვილი	LITHUANIA	DAIVA RAČIŪNAITĖ-VIČINIENĖ
	ლავა მარტაშვილი	POLAND	ANNA G. PIOTROWSKA
	ნანა მჟავანაძე	SERBIA	GORDANA BLAGOEVIĆ
	ბაია ჟუჟუნაძე		JELENA JOVANOVIĆ
	ნინო რაზმაძე		SVETLANA SPAJIĆ
	თეონა რუხაძე	SPAIN	PENELOPE SANZ GONZALEZ
	ამაზ სუსიშვილი		MANUEL LAFARGA MARQUES
	ნინო ფირცხალავა	RUSSIA	LIUDMILA P. KAZANTSEVA
	მარინა ქაპტარაძე		LARISA KHALTAEVA
	თამარ ჩხეიძე	RUSSIA/ADYGEA	ALLA SOKOLOVA
სერბეთი	გორდანა ბლაგოევიჩი	TURKEY	ABDULLAH AKAT
	ელენა იოვანოვიჩი	UKRAINE	RAYISA GUSAK
	სვეტლანა სპაჟიჩი	USA	MATTHEW ARNDT
უკრაინა	რარისა გუსაკო		MARINA KAGANOVA



აბდულა აკატი

თურქეთი

ასოცირებული პროფესორი, ეთნომუსიკოლოგიის დოქტორი. სადოქტორო დისერტაცია დაიცვა მუსიკოლოგიასა და მუსიკის თეორიაში, სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტში 2010 წელს. 2013 წელს იყო ბერლინის ფონოგრამარქივის მკვლევარი თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევების საბჭოს მხარდაჭერით. მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა კვლევით პროექტებსა და პრეზენტაციებში. მისი ინტერესის სფეროა თურქეთის შავი ზღვის აუზის, კავკასიური მუსიკალური კულტურა და ყირიმელი თათრების მუსიკა. 2011 წლიდან არის ქარადენიზის მუსიკალური არქივის KARMA) დირექტორი; 2016 წლიდან არის ქარადენიზის ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორი.

ინაგოლის (თურქეთი) ქართველების წარსული და თანამედროვე მუსიკალური ყოფა

(ნინო რაზმაძესთან თანაავტორობით)

მოხსენება ეძღვნება საქართველოდან ოსმალეთში 1870-იან წლებში მუჰაჯირად წასულ ქართველთა შთამომავლობის წარსულ და თანამედროვე მუსიკალურ ყოფას. კვლევა ემყარება ამერიკელი ანთროპოლოგის პიტერ გოლდის მიერ 1968 წელს ბურსას პროვინციის ინეგოლის რაიონის ქართველებისაგან ჩანერჩილ და ავტორების მიერ ექსპედიციებში მოძიებულ მასალას.

უკანასკნელ წლებში ინეგოლში აფეჯის წარმოების განვითარებით გამოწვეულმა ურბანიზაციამ და სამსახურის ძიებაში სოფლებიდან, განსაკუთრებით, ჰაირიყიდან, გერმანიაში მოსახლეობის მიგრაციამ განაპირობა სწრაფი სოციალური ცვლილებები ამ მხარეში, რაც აისახა რეგიონში მცხოვრები ქართველების ცხოვრებაზეც.

მოხსენებაში დაზუსტებულია ზოგიერთი სიმღერის შესრულების წესი, ფუნქცია, განსხვავება, მუსიკალური აზროვნების პრინციპები და მრავალხმიანობის ფორმების საკითხი; ნაჩვენებია მათი განვითარების დინამიკა და თანამედროვე მდგომარეობა.

ABDULLAH AKAT

TURKEY

Associate Professor, Dr., ethnomusicologist, completed his PhD in Musicology and Music Theory at the Istanbul Technical University Social Sciences Institute in 2010. Worked as a Post-Doctorate Researcher in Berlin Phonogramm-Archiv in 2013, with the support of the Scientific and Technological Research Council of Turkey (TUBITAK). Fieldworks, publications, research projects and presentations are related to the Turkey-Black Sea, Caucasian music culture and Crimean Tatars music. He has been working as the Director of the Karadeniz Music Archive (KARMA) project and the Director of the Karadeniz Technical University State Conservatory in Trabzon, Turkey since 2016.

THE PAST AND PRESENT MUSICAL LIFE OF THE GEORGIANS IN İNEGÖL, TURKEY

(Co-author Nino Razmadze)

The paper is dedicated to an in-depth study of the past and present musical life of the descendants of the Georgian Muhajirs who went from Georgia to Turkey in the 1870s.

The study is based on material recorded by American anthropologist Peter Gold from the Georgians residing in the İnegöl District of the Bursa province of Turkey, and on material from the authors' field expeditions. Intensive urbanization due to the development of the furniture industry in recent years in İnegöl, and migrations from villages, especially Hayriyeköy, to Germany in search of job, have led to rapid social changes in both city centre and villages. This situation has affected Georgians living in the region and has been reflected in their daily practices. The paper specifies the rule of performance of certain songs, their function, variance, musical thinking principles and matter of forms of polyphony. It discusses the dynamics of their development as well as the present situation.

მეთიუ არნდტი

აშშ



აიოვას უნივერსიტეტის მუსიკალური სკოლის მუსიკის თეორიის ასისტენტ-პროფესორი. ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიიღო ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტში. ძირითადად იკვლევს მუსიკის თეორიას, მუსიკის თეორიის პედაგოგიკას და საკითხებს მათ გადაკვეთაზე, არის ანალიტიკოსი და კრიტიკოსი, განსაკუთრებით მე-18 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ავსტრიულ-გერმანული მუსიკისა და ქართული საეკლესიო მუსიკის სფეროში. ამჟამად კვლევის მთავარი ობიექტი არის ჰაინრიხ შენკერისა და არნოლდ შონბერგის მუსიკალური აზროვნება – თემა მისი ოთხი სტატიისა და წიგნისა „ღმერთთან!“. ჰაინრიხ შენკერისა და არნოლდ შონბერგის მუსიკალური აზროვნება. მისი სტატიები იბეჭდება ჟურნალებში *თეორია* და *პრაქტიკა*, *შენკერის კვლევები* და *მუსიკის თეორია*.

ჰარმონიისა და ხმათა სვლის ზოგიერთი სტატისტიკური თავისებურება შემოქმედის სკოლის ქართულ საგლობლებში

ქართული სასულიერო მრავალხმიანობის ჰარმონიისა და ხმათა მოძრაობის შესწავლის საქმეს ართულებს მე-20 საუკუნის დასაწყისის ნოტირებული ხელნაწერებისა და მცირე რაოდენობით აუდიო ჩანაწერების ხელმიუწვდომლობა. ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ ქართული სასულიერო და საერო მუსიკის საფუძველი დიატონური კილოებია. საკითხავია, დამოკიდებულია თუ არა ამგვარი კილოები წყობის სისტემაზე. ზოგიერთები თეორიულად მსჯელობენ არათანაბარი საფეხურების მქონე ქართულ წყობაზე, სხვები – ამტკიცებენ თანაბარსაფეხურიანი ან მუდმივადცვალებადი საფეხურიანი სიტემის არსებობას. კილოების საკითხთან და, ირიბად, წყობასთან დაკავშირებით, მე გავაანალიზე შემოქმედის სამგალობლო სკოლის ნიმუშების ჰარმონია და ხმის მოძრაობა. ამ წინასწარმა კვლევამ ვერ გამოავლინა მკაფიო განსხვავება სხვადასხვა კადანსის ბეგრათა მოძრაობაში და ამდენად არ დაადასტურა ჰიპოთეზა კილოების შესახებ. თუმცა პასაჟებმა გამოავლინეს მელოდიური და ჰარმონიული ტენდენციების სავარაუდო, სისტემატიური მოდელები. ეს მოდელები ირიბად უჭერენ მხარს თანაბარსაფეხურიან სისტემას.

MATTHEW ARNDT

USA

Assistant Professor of Music Theory at the University of Iowa School of Music. He holds a Ph.D. from the University of Wisconsin–Madison. His research lies mainly in the history of music theory, music theory pedagogy, and their intersection; is also involved in analysis and criticism, particularly of eighteenth- to early-twentieth century Austro-German music and of medieval and modern Georgian sacred music. The primary focus of research at present is the musical thought of Heinrich Schenker and Arnold Schoenberg, which is the topic of four articles and a book in progress entitled “With God!”: The Musical Thought of Heinrich Schenker and Arnold Schoenberg. His articles appear in *Theoria*, *Theory and Practice*, the *Journal of Schenkerian Studies*, and the *Journal of Music Theory*.

SOME STATISTICAL PROPERTIES OF HARMONY AND VOICE LEADING IN SHEMOKMEDI SCHOOL GEORGIAN CHANT

Questions about harmony and voice leading in Georgian sacred polyphony are complicated by our access to the tradition through transcriptions from the turn of the twentieth century and a handful of sound recordings. Some have posited diatonic modes in Georgian sacred and folk music. Whether such modes are conceivable depends on the tuning system. Some have theorized a traditional Georgian tuning system with unequal steps, while others have posited one with equal steps or constantly changing steps. To address the question of modes and indirectly the question of tuning, I measured properties of harmony and voice leading in a collection of Shemokmedi School Georgian chant. This preliminary study found no clear differences between passages with different cadence tones and thus no support for the hypothesis of modes. But the passages shared suggestive, systematic patterns of melodic and harmonic tendencies. These patterns provide indirect support for a system of equal steps.

სიმჰა არომი

საფრანგეთი



სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი, სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის (CNRS) საპატიო სამეცნიერო დირექტორი, ამავე ცენტრის ლაბორატორიის ზეპირი ტრადიცია – ენები და ცივილიზაციები (LACITO) ეთნომუსიკოლოგიის განყოფილების გამგე. დაჯილდოებულია სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის ვერცხლის მედლით. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე წიგნი, მრავალი სამეცნიერო სტატია, ოცდაათამდე ჩანაწერი და ფილმი. ამთგან სამმა ფირფიტამ მიიღო ჩარლზ კროს აკადემიის დისკების საერთაშორისო გრან პრი. მისი წიგნი აფრიკული მრავალხმიანობა და პოლირიტმია, რომელიც გამოსცა კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობამ, 1992 წელს აღინიშნა პრესტიჟული ჯილდოთი ASCAP Deems Taylor Award. 2011 წელს მსოფლიო ეთნომუსიკოლოგიაში შეტანილი წვლილისთვის მიენიჭა ფუმო კოიტუმის პრემია.

პლ. ახობაძის სვანური სიმღერების კრებული სტრუქტურის გრაფიკული შედარებითი ანალიზი

(ფრანკ შერბაუმი და ფრანკ კეინთან თანავტორობით)

ნაშრომში მოცემულია გამოთვლითი მიდგომა ვოკალური მრავალხმიანი მუსიკის შედარებითი ანალიზისა და ჰარმონიული სტრუქტურის ვიზუალიზაციის მიმართ. საკვლევ მასალად გამოყენებულია სვანური მრავალხმიანი სიმღერების კოლექცია (ახობაძე, 1957), რომელიც ხელით იქნა გადატანილი კომპიუტერის XML ფორმატში. ანალიზის დამუშავების ფაზაში თითოეული ნოტირებული ნიმუში გადაყვანილია ჰარმონიული სტატუსის დროებით რიგში და გაანალიზებულია მისი კილოს ტიპი. შემდგომ, თითოეული სიმღერა წარმოდგენილია როგორც V პიკების (სიმღერის ჰარმონიულ მდგომარეობა) კომპლექსიგან და E ნაწიბურებისგან შემდგარი დიაგრამა $G = \{V, E\}$. ნაჩვენებია, რომ ეს გარდაქმნა საშუალებას იძლევა არა მარტო მოხდეს ცალკეული სიმღერის ჰარმონიული ორგანიზაციის რაოდენობრივი ანალიზი გრაფიკული, გამჭვირვალე და აღდგენადი გზით, არამედ ჩატარდეს მთელი კოლექციის სიმღერების მსგავსების რაოდენობრივი ანალიზი. ამის ილუსტრაციას ხდება მაღალ-განზომილებიანი ვიზუალიზაციის ტექნიკის მეშვეობით, ანალიზის შედეგად მიღებული მეზობლური ურთიერთობების დემონსტრირება შეიძლება ისე, რომ ისინი მუსიკოლოგიურ კვლევაში გამოიყენონ მათემატიკისკენ მიდრეკილების არმქონე ანალიტიკოსებმაც კი.

SIMHA AROM

FRANCE

Docteur d'Etat from the Sorbonne University (Paris) is currently Emeritus Director of Research at the French National Center for Scientific Research (C.N.R.S.) and Head of the Department of Ethnomusicology of the laboratory Oral Tradition – Languages and Civilizations (LACITO) of the C.N.R.S. During his long work in Central Africa, developed interactive recording methods allowing the transcription and analysis of any oral polyphonic music. For this achievement, was awarded the Silver Medal of the C.N.R.S. Has published several books, numerous scientific papers, and some thirty records and films. Three of his records have won the Grand Prix International du Disque of the Academie Charles Cros, and his book African Polyphony and Polyrhythm, published by the Cambridge University Press, was awarded the prestigious ASCAP Deems Taylor Award in 1992. Was awarded Fumio Koitsumi prize for the contribution to the world ethnomusicology in 2011.

GRAPHICAL COMPARATIVE ANALYSIS OF THE HARMONIC STRUCTURE OF THE AKHOBADZE CORPUS OF SVAN SONGS

(Co-authors Frank Scherbaum and Frank Kane)

This paper proposes a computational approach to the comparative analysis and visualization of the harmonic structure of polyphonic vocal music. The dataset which we have been using in this study is a corpus of polyphonic songs from Svaneti (Akhobadze, 1957), which was manually transferred into a computer readable XML format. In the preprocessing phase of the analysis, each score was converted into a temporal sequence of harmonic states and subsequently analyzed for its mode type. Subsequently, each song was represented as a directed graph $G = \{V, E\}$ which consists of a set of vertices V (representing the harmonic states of a song) and a set of edges E which represent all the chords in a song. We demonstrate that this transformation not only allows us to quantitatively analyze the harmonic organization of individual songs in a graphical, transparent and reproducible way, but that it also enables us to quantitatively compare the similarity of songs in the whole corpus. We illustrate that by using high-dimensional visualization techniques, the resulting neighborhood relations from the latter analysis can be displayed in ways which can be used for further musicological studies even by non-mathematically inclined analysts.

გია ბაღაშვილი

საპარტეზო



ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, შემოქმედებითი გაერთიანება ლომისის გენერალური დირექტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. 1994 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტი ფოლკლორისტის სპეციალობით. 2005 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: *ქართული მუსიკალური ფოლკლორის ეთეტიკის სათავეებთან*. გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო შრომა. შექმნილი აქვს მუსიკალური ფოლკლორის ესთეტიკის საავტორო კურსი. განხორციელებული აქვს საავტორო შემეცნებითი ტელე-რადიო პროექტები: *ქართული სიმღერა, შემოძახილი, ჩვენ მშვიდობა*. ჩატარებული აქვს საჯარო ლექციების სერია ქართულ მუსიკალურ ფოლკლორზე სტენფორდისა და ბერკლის უნივერსიტეტებში (აშშ), ბალტიის საერთაშორისო აკადემიაში (ლატვია), ლსს საერთაშორისო უნივერსიტეტში (ლიტვა), მადრიდის სამეფო კონსერვატორიაში (ესპანეთი).

მარადისობის ესთეტიკური კატეგორია ქართლ-კახურ სუფრულ სიმღერებში

ქართული სუფრული სიმღერების ესთეტიკური არსი ქართული სუფრის ევქარისტიულ ბუნებაში იხსნება. მასში წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანობა მარადისობის ესთეტიკურ კატეგორიად ყალიბდება. სწორედ მარადისობის ევქარისტიული გააზრება ანიჭებს სუფრულ სიმღერებს ჰიმნურ, ზეანეულ, ამაღლებულ ხასიათს. ქართლ-კახური სუფრული სიმღერების ესთეტიკური ანალიზისას ჩანს, რომ ისინი ეროვნული იდენტობის შენარჩუნების მძლავრ საშუალებას წარმოადგენენ და მათში მუსიკალურად ხორცშესხმული წარსულის, აწმყოს და მომავლის ერთიანობა, მარადისობის ესთეტიკურ კატეგორიაში შეიმცნება.

GIA BAGHASHVILI

GEORGIA

Ethnomusicologist, Doctor of Arts, Professor at the Caucasus University, Director General of the Creative Union “Lomisi”, Georgian State Prize-winner. In 1994 graduated from the Musicology Department (in the specialty of folklorist) of Tbilisi State Conservatoire. In 2005 defended dissertation work “At the Aesthetic Sources of Georgian Folk Music”; author of about 20 scholarly publications on the author’s course in the aesthetics of folklore; has realized author’s cognitive television-radio folk programs: *Georgian Song, Shemodzakhili, Chven Mshvidoba* has delivered series of lectures on Georgian folk music at the Universities of Stanford and Berkeley (USA), at the Baltic International Academy (Latvia), LCC International University (Lithuania), and the Madrid Royal Conservatoire (Spain).

THE AESTHETIC CATEGORY OF ETERNITY IN KARTLI-KAKHETIAN TABLE SONGS

The aesthetic essence of Georgian table songs is explained by the Eucharistic nature of the Georgian traditional banquet, in which the unity of past, present and future is formed as an aesthetic category of eternity. The Eucharistic interpretation of eternity adds a hymnic, solemn, elevated character to table songs. The aesthetic analysis of Kartli-Kakhetian table songs reveals that these are powerful means for maintaining national identity, and that the past, present and future incarnated in them is cognized in the aesthetic category of eternity.

ქაროლინ ბითელი

დღი პრიტანეთი



ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი, ოქსფორდი; ფილოსოფიის დოქტორი, უელსი. მანჩესტერის უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიის უფროსი მასწავლებელი. მისი კვლევის თემა პოლიფონია ზეპირ ტრადიციებში, ფოლკლორის განახლება, მსოფლიო მუსიკის პოლიტიკა და ესთეტიკა, პროტესტის სიმღერა, სათემო მუსიკა, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა და კულტურული ტურიზმი. არის ავტორი ნაშრომისა: *სიმღერით გადატანილი: კორსიკული ხმები ზეპირი ტრადიციიდან მსოფლიო სცენაზე* (Scarecrow Press, 2007), *სხვა ხმა, სხვა სიმღერა: თემის აღდგენა ბუნებრივი ხმისა და მსოფლიო სიმღერის გზით* (Oxford University Press, 2014). არის თანა-რედაქტორი (ჯუნი-ფერ ჰილთან ერთად) ნაშრომისა *მუსიკის აღორძინების ოქსფორდის ცნობარი* (2014). ამჟამად მუშაობს თემაზე – ქართული მრავალხმიანობა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. მისი მიმდინარე პროექტის მხარდამჭერები არიან ბრიტანეთის აკადემია და ლევერჰულმეს ფონდი.

მრავალხმიანობა, მემკვიდრეობა და მდგრადი განვითარება

ნაშრომის თემა მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და მუსიკის აღორძინების თანამედროვე ტენდენციები. ავტორი გვიზიარებს ქართული მრავალხმიანობის კვლევის პროცესში გაჩენილ მოსაზრებებსა და წინასწარ დასკვნებს, თუ როგორ უკავშირდება განვითარება და პოლემიკა უფრო ფართო საკმიან ინტერესებს. ავტორისა და მისი თანაავტორების მიერ *მუსიკის აღორძინების ოქსფორდის ცნობარში* (2014) განხილული საკითხები მოიცავს: თუ როგორ გადადის ტრადიციის აღორძინების პროცესი გარდაქმნაში, როგორ წარმოიქმნება დაძაბულობა შენახვასა და განახლებას შორის, როგორ ხდება ავთენტიკურობის გააქტიურება და მისით მანიპულირება. ამ საკითხებზე მსჯელობისას, ავტორი ითვალისწინებს, თუ როგორ და რატომ განსხვავდება ქართული სიტუაცია კორსიკული ტრადიციული მრავალხმიანობის მიერ არჩეული ახალი მიმართულებებისგან. ასევე, განიხილავს ტიტონის წინადადებას (ჟურნალ *მუსიკის სამყაროს* სპეციალური გამოცემაში *მუსიკისა და მდგრადი განვითარების შესახებ*), რომ „დაცვისას უნდა ვხელმძღვანელობდეთ ეკოლოგიის და არა ეკონომიის პრინციპებით“.

CAROLINE BITHELL

GREAT BRITAIN

MA Oxford, PhD Wales. Is Senior Lecturer in Ethnomusicology at the University of Manchester, UK. Her research specialisms include polyphony in oral traditions, folk revivals, the politics and aesthetics of world music, protest song, community music, intangible cultural heritage, and cultural tourism. She is the author of *Transported by Song: Corsican Voices from Oral Tradition to World Stage* (Scarecrow Press, 2007) and *A Different Voice, A Different Song: Reclaiming Community Through the Natural Voice and World Song* (Oxford University Press, 2014), and co-editor (with Juniper Hill) of *The Oxford Handbook of Music Revival* (2014). Georgian polyphony – both inside and outside Georgia – is now her main research focus. Her current project is supported by the British Academy and the Leverhulme Trust.

POLYPHONY, HERITAGE AND SUSTAINABILITY

Paper will be framed in part by current trends and issues relating to heritage conservation and music revivals. I will share insights arising from my own research into Georgian polyphony and my preliminary thoughts about how the developments and debates I have witnessed relate to broader concerns. Questions examined by my co-authors and I in *The Oxford Handbook of Music Revival* (2014) include: how the process of reviving a tradition leads to transformations, how tensions arise between preservation and innovation, and how authenticity is invoked and manipulated. In reflecting on such matters, I will consider how and why the Georgian situation differs from the new directions taken by traditional polyphony in Corsica. I will also discuss the implications of Titon's proposal (in a special issue of the journal *The World of Music* on Music and Sustainability) that safeguarding efforts "should be guided by principles drawn from ecology, not economy".

გორდანა ბლაგოვეჩი

სერბეთი



ფილოსოფიის დოქტორი (2007). 2003 წლიდან მუშაობდა ბელგრადში სერბეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, 2013 წლიდან არის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 2003-2004 წწ. იყო ონასისის ფონდის სტიპენდიანტი. დაამთავრა ათენის ბიზანტიური მუსიკის ზუდოჰუ პიგის საეპისკოპოსო სკოლა (2006). მუშაობს მეორე სადოქტორო დისერტაციაზე ათენის ეროვნული და კაპოდისტრიის უნივერსიტეტში. არის სერბეთის ეთნოლოგიური და ანთროპოლოგიური საზოგადოებისა და სერბეთის მუსიკოლოგიური საზოგადოების წევრი. მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში. არის სამი მონოგრაფიისა და სამეცნიერო სტატიების ავტორი. მისი კვლევის სფეროა მულტიკულტურალიზმი, ეთნიკური იდენტობა, სანესო და რელიგიური პრაქტიკები, კულტურული კონტაქტები, ეთნიკური უმცირესობები, ცეკვისა და მუსიკის ანთროპოლოგია.

მეტე ინფორმაციისთვის იხ.:

http://www.etno-institut.co.rs/eng/team/gordana_b.php

მრავალხმიანი სიმღერის როლი ინტერეთნიკური დიალოგის შექმნაში: სერბულ-ებრაული გუნდი BARUCH BROTHERS CHOIR ბელგრადიდან

ნაშრომში განხილულია პოლიფონიური სიმღერის როლი შიდაეთნიკურ ურთიერთობაში ბელგრადის სერბულ-ებრაული ძმები ბარუხების გუნდის მაგალითზე. გუნდი 1879 წელს შეიქმნა სერბულ-ებრაული სიმღერის საზოგადოების მიერ და ეს სახელი 1952 წელს ეწოდა. გუნდმა გაუძლო სერბეთის მღელვარე ისტორიაში მე-19 ს. ბოლოდან დღემდე მომხდარ ომებსა და სოციალურ ცვლილებებს. მეორე მსოფლიო ომის დროს გადატანილი სირთულეების გამო გუნდის წევრთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა და მასში უფრო ნაკლები ებრაელი წევრი იყო. ამჟამად გუნდის წევრების უმრავლესობა სერბია, თუმცა სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც არიან. მიუხედავად თავისი ეროვნული თუ რელიგიური კუთვნილებისა, გუნდის წევრები ასრულებენ სერბულ და ებრაულ სიმღერებს – ამგვარად ზრუნავენ ებრაულ კულტურაზე. გუნდის წევრები მუსიკის საშუალებით ცდილობენ გადალახონ ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური ბარიერები. ამგვარად, ისინი გამოხატავენ თავის კეთილ ნებას, მიიღონ განსხვავებები და ააგონ ტოლერანტული ურთიერთობები.

GORDANA BLAGOJEVIĆ

SERBIA

Defended MA (2002) and Ph. D. theses (2007) at the Department of Ethnology and Anthropology of the Faculty of Philosophy in Belgrade. Has been employed at the Institute of Ethnography of the Serbian Academy of Sciences and Arts since 2003, from 2013 works as a Senior Research Associate. During the academic 2003-2004 received a scholarship of the Alexander S. Onassis Public Benefit Foundation. In 2006 graduated from The School of Athens Archbishopric of Byzantine music Zoodohou Pigi (Athens) in Byzantine music. Is doctoral candidate (for the second Ph. D) of the Musicology Department at the National and Kapodistrian University of Athens. Is a member of Serbian Ethnological and Anthropological Society and Serbian Musicological Society, participated in several international conferences, has published three monographs and many scientific articles in Serbia and abroad. Main interest is the issues of multiculturalism, ethnic identity, ceremonial and religious practices, cultural contacts, ethnic minorities, anthropology of dance and music.

For more information see: http://www.etno-institut.co.rs/eng/team/gordana_b.php

THE ROLE OF POLYPHONIC SINGING IN THE ESTABLISHMENT OF INTERETHNIC DIALOGUE: SERBIAN-JEWISH BARUCH BROTHERS CHOIR FROM BELGRADE

This work focuses on the role of polyphonic singing in interethnic communication in the example of the Serbian-Jewish Baruch Brothers Choir from Belgrade. Choir was founded in 1879 as the Serbian-Jewish Singing Society, and got current name in 1952. It survived all the wars and social changes which marked the tumultuous Serbian history from the late 19th century until today. The suffering of the Belgrade Jewish community in WWII drastically reduced its number, as well as members of Jewish choir. Today its members are mostly Serbian, but there are also other nationalities. The repertoire contains works of Jewish and Serbian spiritual and secular music as well as works of worldly known authors. The choir members endeavor to overcome ethnic, religious, and political barriers through their musical communication and show their willingness to accept differences and build tolerant relations.

თამაზ გაბისონია

საქართველო



მუსიკოლოგიის დოქტორი, ეთნომუსიკოლოგი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ილიაუნის სტუდენტური ხალხური გუნდის ხელმძღვანელი, გიორგი მთანმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის დეკანი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მუსიკისმცოდნე-ფოლკლორისტიკის სპეციალობით, აქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე *ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ფორმები*. გარდა ტრადიციული მრავალხმიანობის საკითხებისა, მისი კვლევის ძირითადი სფეროში შემოდის ქართული ხალხური სიმღერისა და საგალობლის შემსრულებლობისა და ურთიერთმიმართების საკითხები. მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ფოლკლორისტულ ექსპედიციებში.

შეგანების კანონზომიერებანი ქართულ ტრადიციულ მუსიკაში

მოხსენებაში დახასიათებულია ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო საგალობლის ბანის პარტიის მუსიკალური ენის თავისებურებები. ვმსჯელობთ ბანის მოძრაობის მელოდიურ, ჰარმონიულ და დრამატურგიულ ორიენტირებზე, მის სემიოტიკურ ასპექტზე; ასევე – ბანის, როგორც კილოური საყრდენის პოზიციებსა და გამოხატვის ფორმებზე. ყურადღება მახვილდება ბანის მიერ ფუნქციონალური ინიციატივის ფლობის კანონზომიერებაზე. ცალკე საკითხად განხილულია სიმღერასა და საგალობელში ბანის მოძრაობის შემოქმედებითი პრინციპების ურთიერთმიმართება.

TAMAZ GABISONIA

GEORGIA

Doctor of Music, ethnomusicologist, Associate Professor at Ilia State University, director of the Ilia State University students' folk choir, Dean at Giorgi Mtatsmindeli Higher Educational Institution of Ecclesiastical Chant. Graduated from the Department of Musicology of Tbilisi State Conservatoire (1986), defended a doctoral thesis on *the forms of Georgian traditional polyphony*. Research interests have concentrated on the issues of traditional polyphony, interrelation between Georgian folk song and church hymns, and their performance. Has participated in a number of national and international scholarly conferences and field expeditions.

REGULARITIES OF BASS TUNING IN GEORGIAN TRADITIONAL MUSIC

ვალენსიის ხოაკინ როდრიგოს სახელობის მუსიკის უმაღლესი კონსერვატორიის მუსიკის ისტორიისა და ესთეტიკის პროფესორი. მუშაობდა ალიკანტეს ოსკარ ესპლას სახელობის კონსერვატორიაში. 2005 წლიდან არის მუსიკისა და სცენური ხელოვნების ჯგუფის ხელმძღვანელი. 20 წელია არის ვალენსიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (მუსიკის ისტორია, ვოკალისა და მოსმენის ტრენინგი), მიჰყავდა 40-ზე მეტი კურსი მუსიკასა და ნეირომეცნიერებაში (მუსიკის ნევროლოგია, ამუზია, მუსიკის განვითარება, მუსიკა და ენა). წლების მანძილზე უკრავდა ესპანეთის საუკეთესო ორკესტრებში (როგორიცაა ORTVE, OSM და სხვ.). 1995 წლიდან აქტიურადაა ჩართული კვლევით საქმიანობაში. არის პუბლიკაციების ავტორი მონათესავე თემებზე: ბერძნულ-რომაული მულტიფონიური პრაქტიკები, მუსიკა ადამიანის ევოლუციაში, ასევე, მრავალი აკადემიური ვიდეო-ჩანაწერის ავტორი. მის მიერ ჩატარებული ლექციები და კონფერენციები ხელმისაწვდომია Youtube.com-ზე: www.musiclanguagefrontiers.com

მუსიკა და ენა ადამიანთა ნაჰომავლობაში

უკანასკნელ ათწლეულებში ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ ნეანდერტალელი და ჰაიდელბერგელი ადამიანის შემეცნებითი, სიმბოლოებით აზროვნების, სმენით-ვოკალური, ლინგვისტური და მუსიკალური უნარები არასათანადოდ არის შეფასებული. ცალკეული იარაღებისა და ძვლის ანალიზი ვერ იძლევა იმის ახსნას რასაც ჩვენ „კულტურას“ ვუწოდებთ და უამრავი დისციპლინიდან აღებული მონაცემები თავს იყრის „ევოლუციურ ზღვარზე“ ათეული ათასი წლის წინ. ამჟამად, ადამიანების მოდგმის გარკვეული ნაწილი, როგორც ჩანს, ცოტა გადაიხარა საერთო მემკვიდრეობითი კოდიდან. იგივე მოუვიდა ორ ადამიანურ უნარს, რომელთაც ჩვენ „მუსიკას“ და „ენას“ ვუწოდებთ. გარდა ამისა, ჩანს, რომ როგორც ჰაიდელბერგელი, ისე ნეანდერტალელი ადამიანებს შენარჩუნებული ჰქონდათ მეტყველებასთან დაკავშირებული ორი სპეციფიკური მუტაცია. ამ და სხვა მოსაზრებებიდან ჩანს, რომ: სიმბოლოური აზროვნების, მუსიკალური და ლინგვისტური უნარები „მოაზროვნე“ სახეობებისათვის არის არა უნიკალური, არამედ „ადამიანის მოდგმისგან“ გადმოცემული შესაძლებლობები.

MANUEL LAFARGA MARQUES

SPAIN

Professor of Music History and Aesthetics at Higher Conservatory of Music Joaquín Rodrigo of Valencia, and previously at Oscar Esplá of Alicante, same institution. He belongs to Chair Squad of Music and Scenic Arts from 2005. Associate Professor during two decades at University of Valencia EG (Music History, Vocal and Auditory Training), he taught more than 40 courses on music and neuroscience (music neurology, amusias, music development, music and language). He played during years with some of bests orchestras in Spain (ORTVE, OSM, and others), but he devoted to teaching and research from 1995. Author of specialized publications also in other related topics: greco-roman multiphonic practices (doctorate in course), and music in human evolution.

Author of numerous academic video-recordings of his detailed and wrote down classes and conferences, which can be watched in Youtu.be channel “Manuel Lafarga” and www.musiclanguagefrontiers.com

MUSIC AND LANGUAGE IN HOMO LINEAGE

Research during last decades has shown that neanderthal and heidelbergensis cognitive, symbolic, auditory-vocal, linguistic, and musical abilities were undervalued. Isolated tools and bone analysis cannot explain all we call “culture”, and the data deluge from multiple disciplines seems to converge in an “evolutionary boundary” 1.000 Ky. At this moment, some human lineages seem had diverged, and also did the two human faculties that we call currently “music” and “language”, from a common ancestral code. In addition, two specific speech related mutations seems to be present from then in both neanderthal and sapiens species. These and other related considerations point to the same question: cognitive, symbolic, musical, and linguistic faculties are not unique from sapiens species, but the shared ancestral heritage of Homo lineage.

ლაშა მარტაშვილი

საძარტველო



საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი ფიზიკოსი, ბიო-ფიზიკოსი, პროგრამისტი და ინჟინერი. 1997 წლიდან მუშაობს, ძირითადად, კავშირგაბმულობის ფირმებში ქსელების ადმინისტრატორად, პროგრამისტად, სისტემის ინჟინრად და მენეჯერად. შეთავსებით ასწავლიდა C++ პროგრამირებას თსუ-ს სასწავლო ცენტრ კვალში, ასევე, აკუსტიკის საფუძვლებს – კონსერვატორიაში.

მუსიკას სწავლობდა კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ სამუსიკო სკოლაში, მღეროდა მართევს მოსამზადებელ ჯგუფში, შემდეგ კი აუთენტური ფოლკლორულ ანსამბლ ნუთისოფელსა და კონსერვატორიის სტუდენტურ ფოლკლორულ ანსამბლში. მონაწილეობდა ფოლკლორულ ექსპედიციებში.

ადრეულ ასაკშივე ატარებდა ცდებს მექანიკაში, ქიმიაში, ელექტრობასა, და რადიოელექტრონიკაში, რათა ყველაფერში მათემატიკური კანონზომიერება ეპოვა. მუსიკის მათემატიკური საფუძვლები თავად, დამოუკიდებლად აღმოაჩინა ბავშვობაში, როცა მაგნიტოფონი შეუძინეს, ქართული ხალხური მუსიკისა კი – მალხაზ ერქვანიძის დისერტაციის წაკითხვის შედეგად.

ქართული ხალხური მრავალხმიანობის ნოტაჟზე უნაკლოდ ჩანერის სისტემა

წარმოადგენილ ნაშრომში აღწერილია ქართული ტრადიციული ბგერათრიგის მუსიკალური ნიმუშების ნოტებზე უნაკლოდ ჩანერის ახალი სისტემა, რომელიც არა მარტო მუსიკის შენახვის პრობლემას ჭრის, არამედ, მუსიკოსებისთვის ჩვეულ ხუთხაზიან სისტემაში ლაკონურად ასახავს სიმღერას, მისთვის უჩვეულო ალტერაციის ნიშნების გარეშე. და ბოლოს, ავტორი წარმოადგენს იმ ერთადერთი საკრავის პროტოტიპს, რომელზედაც ნებისმიერი ქართული ტრადიციული სიმღერის დაკვრა იქნება შესაძლებელი.

LASHA MARTASHVILI

GEORGIA

Senior Physicist of the Department of International Technologies at BDO, biophysicist, programmer and engineer. Since 1997 has been a network administrator, programmer and manager, chiefly in communication firms. Parallel to these, taught C++ at the educational centre *Kvali* of Tbilisi State University, and fundamentals of acoustics at Tbilisi State Conservatoire.

Studied music at the Experimental Music School of Tbilisi State Conservatoire, sang in the preparatory group of *Martve* boys' choir, the folklore ensemble *Tsutisopeli* and Conservatoire Student folk ensemble; participated in folk expeditions.

As a boy he carried out experiments in mechanics, chemistry, electricity and radio electronics, trying to find mathematical regularity in everything; independently, all by himself, he discovered the mathematical fundamentals of music when he was bought a tape recorder, and was introduced to the fundamentals of Georgian folk music after having read Malkhaz Erkvanidze's dissertation work.

A SYSTEM FOR THE FLAWLESS NOTATION OF GEORGIAN POLYPHONIC FOLK MUSIC

The paper describes a new faultless system for the notation of the Georgian traditional scale, which helps solve not only the problem of music preservation, but also compactly utilizes a five-line system without incorporating unusual alteration marks. The author presents the prototype of the only instrument which allows the playing of any Georgian traditional song.

მარიო მორელო კანადა



კანადელი მუსიკოსი, მკვლევარი, არანჟირების ავტორი და ეთნომუსიკოლოგი. ამჟამად იორკის უნივერსიტეტის მაგისტრანტი ეთნომუსიკოლოგიაში, იკვლევს ტრადიციული, განსაკუთრებით, ბალკანური, ქართული, იტალიური და უკრაინული ვოკალური მრავალხმიანობების ანალიზსა და სამემსრულებლო პრაქტიკას, აგრეთვე, კანადის მრავალფეროვანი კულტურის მდიდარ მოზაიკას. ხშირად ადგილობრივ ვოკალურ ანსამბლებთან ერთად მონაწილეობს ელექტრონულ მუსიკალურ პროექტებში, რომელთა ყურადღების ცენტრშია ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერა. ამჟამად მისი კვლევის ობიექტია საკუთარი მემკვიდრეობა; იტალიის ვოკალური კილოკავები, პოლიფონიური რეპერტუარი და მათი შემდგომი პოსტ-ემიგრაციული ტრანსფორმაცია (ან გაქრობა); დიასპორული თემების მრავალხმიანი სიმღერა ურბანულ კონტექსტში.

ცვლილება და ტრანსფორმაცია სალენტოში: სამხრეთ აპულიას CANTI POLIVOCALI-ს პოლიფონიური სტრუქტურისა და სამემსრულებლო პრაქტიკის ცვლილების კვლევა

ნაშრომში განხილულია ქვემო პულიას (სამხრეთ იტალია) სალენტოს რეგიონის მრავალხმიანი სიმღერის ტრანსფორმაცია საექსპედიციო ჩანაწერებისა და ბოლო პერიოდში მოპოვებული მასალის ნოტებისა და მუსიკოლოგიურ ანალიზზე დაყრდნობით. ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი მრავალხმიანი ვოკალური დიალექტი – კანტი პოლივოკალი განთქმული იყო მთელს რეგიონში თავისი სუბრეგიონული მუსიკალური დიალექტებითა და ცნობილი სიმღერების ადგილობრივი ვარიანტების სიმდიდრით. ეს ნიმუშები დაფიქსირებულია 1950-იანი წლების შუახანებიდან 1960-იანი წლების ბოლომდე, ეთნომუსიკოლოგ დიეგო კარპიტელას, ალან ლომასის და ჯოვანი მარინის ძველ საექსპედიციო ჩანაწერებში. მასობრივი ემიგრაციისა და ადგილობრივ ხალხურ მუსიკაზე გლობალიზაციის გავლენის შედეგად, სალენტოს ვოკალური მრავალხმიანობა ამჟამად არსებობს 1) ავთენტური ფორმით, შედარებით პატარა ოლქებსა და ადგილობრივ თემებში, სადაც მკვეთრად შეცვლილი ტრადიციული პრაქტიკა და სოციალური სივრცე; 2) სალენტოელი პროფესიონალი მუსიკოსების კვლევებსა და სამემსრულებლო აქტივობაში.


MARIO MORELLO CANADA

Musician, researcher, arranger, and ethnomusicologist from Toronto. He is currently pursuing an MA Ethnomusicology at York University, focusing his studies on analysis and performance practices of traditional vocal polyphonies – particularly from the Balkans, Georgia, Italy, and Ukraine.

He performs frequently and studies with several local ensembles in an eclectic variety of musical projects that focuses on traditional polyphonic singing, and seeks to academically investigate traditional repertoires within Canada's rich mosaic of diverse cultures. Current research interests include investigation of his own heritage; research vocal idioms and polyphonic repertoires of Italy and their subsequent transformation (or disappearance) post-emigration; study polyphonic singing in urban contexts within diaspora communities.

SHIFT AND TRANSFORMATION IN SALENTO: INVESTIGATING CHANGE IN POLYPHONIC STRUCTURE AND PERFORMANCE PRACTICE OF CANTI POLIVOCALI IN SOUTHERN PUGLIA

This paper will focus on documenting change and transformation of multi-part singing in the Salento region of lower Puglia (southern Italy), based on comparative transcriptions and musicological analyses of older field recordings and recently collected materials. *Canti polivocali*, the multi-part vocal idiom distinct to the Salento region, was once widely practiced throughout the region with subregional musical dialects and a rich repertoire of local variants of widely diffused songs. This rich musical activity was captured in older field recordings by the first major wave of researchers in the field, notably between the mid-1950s to late 1960s by ethnomusicologists Diego Carpitella, Alan Lomax, and Giovanna Marini. After mass emigration and the effect of media globalization on local folk musics, Salentine vocal polyphony now exists in two major cultural arenas; its authentic form, in smaller pockets and local communities, where the tradition has shifted dramatically in performance practice and the societal spaces it inhabits; and in the academic study and revival of Salentine polyphony, carried out by local professional musicians who study the tradition and are exponents of older repertoires.



ნანა მჟავანაძე
საქართველო

მუსიკოლოგიის მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევების დოქტორანტი, ანსამბლ სათანაოს სოლისტი და პედაგოგი. მისი კვლევის თემატიკაა ხალხური მუსიკა სვანური ტრადიციული კულტურის კონტექსტში.

ერთი საკადანსო არტიკულაციის შესახებ სვანურ სიმღერაში

სვანური ენა მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებებით გამოირჩევა, ხოლო ფონეტიკური და ფონოლოგიური მახასიათებლები სვანურ სიმღერას გამორჩეულ ელფერს ანიჭებს საერთო ქართულ სასიმღერო რეპერტუარში. სვანურ სიმღერაში სიტყვისა და მუსიკის ურთიერთმიმართების მრავალპლანიანი კვლევა ამჟღავნებს მათი ურთიერთზეგავლენის მნიშვნელოვან ასპექტებს. უპირველეს ყოვლისა, ესაა არტიკულაციის ზოგიერთი თავისებურება, რაც სვანების მუზიკირებას დანარჩენი დიალექტებისაგან გამოარჩევს. ამჯერად გთავაზობთ დაკვირვებას ერთ საკადანსო საქცეზე, რომელიც ძირითადად სვანური სარიტუალო ჰიმნური სიმღერის მახასიათებელ სტილურ ნიშანს წარმოადგენს და რომლის შექმნაში მონაწილე კვარტული მელოდიური ინტერვალისა და კონკრეტული მარცვლების წყვილები ერთგვარ რიტმულ-მელოდიურ მოდელებს ქმნიან. აღნიშნული საკადანსო მოდელები, სემანტიკურის გარდა, მეტრულად ლაბილური ჰიმნური სიმღერის მაორგანიზებელ ფუნქციას ასრულებს. როგორც ჩვენი დაკვირვებიდან ჩანს, წარმოშობით არაეფფონიური დანიშნულების ეს არტიკულაცია დროთა განმავლობაში სწორედ ეფფონიურ, სტილურ მახასიათებლად იქცა, ხოლო კონკრეტული ვერბალური ერთეულების სისტემატური გამოყენება მათი სემანტიკური მნიშვნელობითაა განპირობებული.

NANA MZHAVANADZE GEORGIA

MA in musicology, PhD Candidate at Ilia State University. She is a soloist in the female ensemble *Sathanao*, and teaches traditional Georgian Music internationally. Her area of study is Svan music in its ritual context.

ON ONE CADENCE ARTICULATION IN SVAN SINGING REPERTOIRE

Svan music is distinctive, with its own morphological and syntactical peculiarities. In addition, its phonetic and phonological characteristics afford it a distinctive “flavour and colour” within the general traditional Georgian song repertoire. A multi-layered approach to the study of the interrelationship between its inherent verbal and musical languages reveals important aspects of their organic interdependence within musical expression. My study singles out some identifiable features of articulation which differentiate Svan singing from those of other dialects. We share our observation of one cadence motif which represents a stylistic signature within Svan ritual hymn singing. Typically, during this song delivery, fourth interval musical pairs, coupled with certain verbal units composed of both syllables and vowels, comprise the main driving force behind the cadence parts of the hymns. These in turn form certain rhythmic-melodic models, which in addition to semantic meaning, serve a function of organization within metrically labile hymn-type songs. Our observations further reveal that precisely this articulation of non-euphonic origin, over many generations, has likely evolved into a stylistic euphonic feature. We believe that the systematic application of certain verbal units remains determined by their semantic meaning.

ჟანა პარტლასი ესტონეთი



ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ესტონეთის მუსიკისა და თეატრის აკადემიის მუსიკოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. დაიბადა პეტერბურგში. 1992 წელს პეტერბურგის რიმსკი-კორსაკოვის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე პეტეროფონია რუსულ ხალხურ სიმღერებში (რუსეთ-ბელარუსის სასაზღვრო ზოლის საქორწილო სიმღერების მაგალითზე). 1992 წლიდან ცხოვრობს ტალინში. 1990 წლებიდან მისი სამეცნიერო ინტერესი მიმართულია სეტოს (სამხრეთაღმოსავლეთ ესტონეთი) მრავალხმიანი სიმღერის ტრადიციისადმი. ანალიტიკური მიდგომით იკვლევს ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერის ზოგად თეორიულ საკითხებს.

სიკვდილის პატარძლები: გასათხოვარი გოგონების კოლექტიური დატირება სეტოს ტრადიციიში

სეტოს ტრადიციიში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამგლოვიარო ჟანრს. ის მოიცავს სარიტულო და არა-სარიტულო ტირილებს. სარიტულო ტირილები დაკავშირებულია „წასვლის ცერემონიალთან“, როგორიცაა ქორწილი და დაკრძალვა. საქორწილო ტირილები გუნდურია: ისინი სრულდება პატარძლისა და მისი მეჯვარეების მიერ. დაკრძალვის ტირილები, ჩვეულებრივ, სოლო შესრულებისაა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გარდაცვლილი გაუთხოვარი გოგონაა. გაუთხოვარი ქალის დაკრძალვასა და საქორწილო რიტუალს საერთო ნიშნები ახასიათებთ – პატარძლის მეჯვარეები დასტირიან მეგობარს, რომელიც ცოვებს თავის სახლს. გასათხოვარი ქალების კოლექტიური დატირება ორ ხმაში სრულდება, რაც, ზოგადად, სეტოს ტრადიციისთვის არის დამახასიათებელი. მოხსენებაში განხილულია, თუ როგორ ასრულებს საგუნდო სიმღერა დატირების ფუნქციას და როგორია ურთიერთობა სოლო და საგუნდო დაკრძალვის ტირილებს შორის.

ŽANNA PÄRTLAS

ESTONIA

Dr. of Arts, a Senior Researcher at the Estonian Academy of Music and Theatre (the Department of Musicology). Was born in St. Petersburg. In 1992 she defended a doctoral thesis on heterophony in Russian folk songs (based on the wedding songs of Russian-Belarusian borderland) at the Rimski-Korsakov State Conservatory, St. Petersburg. Since 1992 in Tallinn (Estonia). From the middle of 1990th her research interests have concentrated on the multipart song tradition of the *Seto* (Southeast Estonia). Research projects mostly deal with the analytical approaches to traditional music and general theoretical questions of traditional multipart singing.

THE BRIDES OF DEATH: THE SETO COLLECTIVE LAMENTS TO THE MAIDEN

The lament is an important genre in the *Seto* traditional culture. It can be divided to ritual and non-ritual laments. The ritual laments are connected with 'the rites of passage' such as wedding and funeral. The wedding laments are choral; they are performed by the bride and bridesmaids. The funeral laments are normally a solo genre except the occasion when the deceased is an unmarried maiden. The funeral of maiden has some common features with the wedding ritual – the bridesmaids bewail their friend seeing her off to her new home. The collective laments to the maiden are performed in the two-part singing style, which characterizes the *Seto* song tradition in general. In this paper I will research how the choral song fulfils the function of the lament and the relations between the solo and choral funeral laments.

ანა გ. პიოტროვსკა პოლონეთი



იაგიელონის უნივერსიტეტის (კრაკოვი/პოლონეთი) მუსიკოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი. მისი კვლევის ძირითადი თემა არის მუსიკალური ცხოვრების სოციალური და კულტურული ასპექტები. არის რამდენიმე წიგნისა (ბოშური მუსიკა ევროპულ კულტურაში, ინგლისურად და 4 წიგნი პოლონურ ენაზე) და მრავალი სტატიის (პოლონურ, ინგლისურ, გერმანულ, სლოვაკურ და ქართულ ენებზე) ავტორი. მრავალი საერთაშორისო სტიპენდიისა და ჯილდოს მფლობელი (მაგ. ფულბრაიტის სტიპენდიანტი ბოსტონის უნივერსიტეტში, ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის მორიც ჩაკის ჯილდოს მფლობელი და ედინბურგის უნივერსიტეტის მელონის სტიპენდიანტი). ამჟამად არის კრაკოვის იაგიელონის უნივერსიტეტის მუსიკოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი.

პოლიფონიის, როგორც მოგზაური ცნების, გაგება – მოკლე მიმოხილვა

პოლიფონია ტიპური მუსიკალური ტერმინი ჩანს, მაგრამ ჩემს მოხსენებაში ამ ტერმინს მინდა შევხედო, როგორც ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ე.წ. „მოგზაურ“ კონცეფციას, რომელიც, უნდა ვაღიაროთ, სხვა დისციპლინებში, მაგალითად: ლიტერატურაში, კინომცოდნეობასა და ფილოსოფიაშიც შეიჭრა. მე პოლიფონიას წარმოვადგენ, როგორც „მოგზაურ“ ცნებას, ცენტრალურს ლიტერატურაში პოლიფონიის ბახტინისეული კონცეფციაში და როგორც ჭეშმარიტების მისეულ პოლიფონიურ კონცეფციას. ასევე, ტერმინს „პოლიფონია“ მივუსადაგებ კინომცოდნეობის თეორიას, ეიზენშტეინის ბგერის, კოსტიუმის, ფერისა და ქმედების პოლიფონიურ გამოცდილებაში. მოხსენების ბოლოს ვიმსჯელებ მთავარ საკითხზე – პოლიფონიის არსზე არა მარტო როგორც მუსიკალურ ფენომენზე, არამედ როგორც ადამიანის ბუნებისა და კულტურის დამახასიათებელ თვისებაზე.

ANNA G. PIOTROWSKA POLAND

Associate Professor of Institute of Musicology at Jagiellonian University (Krakow/Poland). Mainly interested in researching sociological and cultural aspects of musical life. She is the prolific author of several books (in English, e.g. *Gypsy Music in European Culture*, 2013 and four books in Polish) as well as numerous articles (in Polish, English, German, Slovak and Georgian). She held many internationally renowned fellowships and awards (e.g. she was Fulbright Fellow in Boston University, was awarded the Moritz Csaky Preis at Austrian Academy of Sciences, was also the recipient of the Mellon Fellowship in Edinburgh University). Currently she is associated with the Institute of Musicology, Jagiellonian University in Kraków, Poland.

THE NOTION OF POLYPHONY AS A TRAVELLING CONCEPT – SHORT OVERVIEW

Polyphony seems a typical musicological term, yet in my presentation I would like to look at the very term 'polyphony' seeing it as one of the most influential so called travelling concept whose career in other disciplines – e.g. literature and film studies or philosophy – should be acknowledged. I will present polyphony as a travelling notion central to Bakhtin's concept of polyphony in literature, and his polyphonic concept of truth. I will also address the adaptation of the term polyphony in the theory of film studies, in Eisenstein's idea of polyphonic experience of sound, costume, color and action. In the conclusion of my paper I will ponder on the general question of the essence of polyphony not only as a musical phenomenon but as an inherent future of human nature and culture.

იოსებ ჟორდანია

ავსტრალია/საქართველო



JOSEPH JORDANIA

AUSTRALIA/GEORGIA

Doctor of Musicology, Honorary Fellow at the Melbourne Conservatorium of Music University of Melbourne. Educated as an ethnomusicologist in Georgia. From 1993 Professor at Tbilisi State Conservatoire. Citizen of Australia and Georgia, has lived in Australia since 1995. Author of more than a hundred published works in English, French, Spanish, Finnish, Chinese, Arabic, Bulgarian, Russian and Georgian, including two monograph studies on traditional polyphony. The monograph *Who Asked the First Question? The Origins of Human Choral Singing, Intelligence, Language and Speech* (2006, in English) was awarded Fumio Koizumi Prize in ethnomusicology in 2009. The second monograph *Why do People Sing?* (in English) was published in 2011 by the Logos. The next monograph *Tigers, Lions and Humans: History of Rivalry, Conflict, Reverence and Love* (in English) was published in 2014. His last monograph *The Genesis of Polyphony in the Light of Human Evolution* was published in 2016 (in Georgian). In 1984 started organizing ongoing series of conferences and symposia on traditional polyphony at the Tbilisi State Conservatoire. He is the Founding Member and the Head of the Foreign Bureau of the International Research Center for Traditional Polyphony at Tbilisi State Conservatoire.

CROSS-CULTURAL STUDY OF GEOGRAPHICAL DYNAMICS OF TRADITIONAL POLYPHONY

Gradual increase of our awareness of the regions of traditional polyphony raises new questions about the methodological approaches of studying the nature of existing parallels between polyphonic cultures. This paper will discuss several methodologically important postulates: (1) the most striking feature of traditional polyphony, that must be taken into account in every comparative work is the unique stratigraphy of polyphony, occupying the most geographically isolated pockets of the world; (2) this type of stratigraphy strongly suggests extremely stable character and ancient origin of polyphonic singing; (3) based on this stratigraphy I propose that common ancient unity of singing styles should be a default explanation for the most of the existing parallels between polyphonic cultures, rather than late migration of the carriers of polyphonic traditions; (4) this does not rule out the possibility for the carriers of polyphonic traditions to migrate to new regions and take along their traditional singing styles (particularly during the last two centuries), but every such proposal must be backed up by the set of parallels from other elements of material and intangible culture.

ეთნომუსიკოლოგიის დოქტორი, მელბურნის უნივერსიტეტის კონსერვატორიის მეცნიერთანამშრომელი. ეთნომუსიკოლოგიური განათლება მიიღო საქართველოში, 1993 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი.

ავტორია ასზე მეტი ნაშრომისა ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, ფინურ, ჩინურ, არაბულ, ბულგარულ, რუსულ და ქართულ ენებზე, მათ შორის, მონოგრაფიებისა: *ვინ დასვა პირველი შეკითხვა?* (2006, ინგლ.), რომელსაც 2009 წელს მიენიჭა ფუმიო კოიზუმის პრიზი, *რატომ მღერის ხალხი?* (2011, ინგლ.), *ვეფხვები, ლომები და ადამიანები* (2014, ინგლ.), *ხალხური მრავალხმიანობის გენეზისი ადამიანის ევოლუციის შუქზე* (2016, ქართ.). 1984 წელს თბილისის კონსერვატორიაში დაიწყო ტრადიციული მრავალხმიანობის კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ორგანიზება. არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი და უცხოეთის ბიუროს ხელმძღვანელი.

ტრადიციული მრავალხმიანობის გეოგრაფიული დინამიკის კულტურათაშორის კვლევა

ტრადიციული მრავალხმიანობის რეგიონებზე ჩვენი ცოდნის ზრდასთან ერთად ჩნდება ახალი კითხვები მრავალხმიან კულტურებს შორის არსებული პარალელების კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომების შესახებ. ნაშრომში განხილულია რამდენიმე მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვანი პოსტულატი: 1) ყველა შედარებით კვლევაში გასათვალისწინებელია ტრადიციული მრავალხმიანობის ყველაზე განსაცვიფრებელი თვისება – მრავალხმიანობის სტრატეგრაფია; 2) სტრატეგრაფიის ეს ტიპი დამაჯერებლად გამოხატავს მრავალხმიანი სიმღერის სტაბილურ ხასიათსა და უძველეს წარმოშობას, 3) ამ სტრატეგრაფიაზე დაყრდნობით, ავტორი ვარაუდობს, რომ სასიმღერის სტილების უძველესი ერთობა ისე ვერ ახსნის პოლიფონიურ კულტურებს შორის არსებულ უმეტეს პარალელებს, როგორც პოლიფონიური ტრადიციების მატარებლების გვიანი მიგრაციები; 4) ეს არ გამორიცხავს მრავალხმიანობის მატარებლების შესაძლებლობას, ახალ რეგიონში მიგრაციისას თან გაიყლონ ტრადიციული სასიმღერო სტილები (განსაკუთრებით, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში), თუმცა მსგავსი ვარაუდი უნდა გამყარდეს მატერიალური და არამატერიალური კულტურის სხვა ელემენტების პარალელებით.

ბაია ჟუჟუნაძე საქართველო



2009 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამაგისტრო პროგრამა (მუსიკოლოგიის სპეციალობით). ამჟამად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევების მესამე წლის დოქტორანტია. თბილისის კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სპეციალისტი, ICTM-ის წევრი. ასევე, არის გიორგი მთანმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის სოციალური ქსელებისა და პროექტების მენეჯერი. 2009–2013 წლებში მუშაობდა რადიო მუზასა და ფოლკ რადიოში. მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროა ქართულ და მეზობელ მუსიკალურ კულტურებს შორის ურთიერთკავშირებისა და ურთიერთქმედების საკითხები. 2016 წელს მონაწილეობდა ICTM-ის ტრადიციული მუსიკის ისტორიული წყაროების კვლევის ჯგუფის 21-ე სიმპოზიუმში (პარიზი, საფრანგეთი).

მესხური ხალხური სიმღერა – მრავალხმიანობიდან ერთხმიანობამდე

მტკივნეული ისტორიული პროცესების შედეგად საქართველოს არა ერთ კუთხეში (იგულისხმება ისტორიული საქართველოს ტერიტორიები) საქმე გვაქვს მრავალხმიანი მუსიკალური პრაქტიკის წყვეტასთან. ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი გამოხატულებაა მესხური მუსიკალური დიალექტია.

XVI საუკუნიდან ამ კუთხის მოსახლეობის ისლამიზაციამ მესხურ მუსიკალურ დიალექტში მრავალხმიანობა ერთხმიანობით ჩაანაცვლა. დღევანდელი მესხეთის სასიმღერო პრაქტიკაში სამი პლასტი გამოიყოფა. I – წარსულში მრავალხმიანი, ამჟამად გავრთხმიანებული სიმღერები. II – XX საუკუნის 60-80-იანი წლებში გამრავალხმიანებული ნიმუშები (ალთუნაშვილი-მალრაძის ვარიანტები). III – ყოფაში გავრცელებული რეპერტუარი, რომელიც XX საუკუნის ბოლო ათწლეულებამდე, ძირითადად, აღმოსავლური ჰანგებით იყო წარმოდგენილი.

რამდენადაც მესხური სიმღერის ამ პლასტების კლასიფიცირება დღემდე არ მომხდარა, მოცემული მოხსენება საკითხის დასმის პირველი მცდელობაა.

BAIA ZHUZHUNADZE GEORGIA

In 2009 completed Master studies in Musicology at Tbilisi State Conservatoire. Currently, is a third-year Doctoral student in Cultural Studies at Tbilisi State University, Specialist at the International Research Center for Traditional Polyphony, and a member of ICTM. Is also manager of Social Networks and Projects at Giorgi Mtatsmindeli Higher Educational Institution of Ecclesiastical Chant. In 2009–2013 worked at *Folk Radio* and *Radio Muza*. Her scholarly interest is focused on the interrelation and interaction of Georgian and adjacent musical cultures. In 2016 she participated in the 21st Symposium of the ICTM Study Group on Historical Sources of Traditional Music (Paris, France).

MESKHETIAN FOLK SONGS – FROM POLYPHONY TO MONOPHONY

Due to grave historical processes polyphonic practice was discontinued in several provinces of Georgia (here I imply former historical territories of Georgia). One of the most evident expressions of this is the Meskhethian musical dialect.

Due to the Islamization of the local population, from the 16th century polyphony was replaced by monophony in the Meskhethian musical dialect. Three layers can be distinguished in today's Meskhethian singing practice: 1. formerly polyphonic songs transformed into monophonic ones; 2. examples polyphonized (by Altunashvili and Maghradze) in the 1960s–1980s; 3. repertoire of everyday life, chiefly represented by Oriental tunes until the last decades of the 20th century. As the layers of Meskhethian songs have not been classified until now, this paper is the first attempt to address the subject.

ნინო რაზმაძე

საქართველო



თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტი ეთნომუსიკოლოგიაში; ტმკს-ის სპეციალისტი და ფონდ ქართული გალობის პროექტების მონიტორინგის ხელმძღვანელი. არის ESEM-ის, ICTM-ისა და AMIS-ის წევრი. მისი კვლევის სფეროა ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, აგრეთვე, ქართული ხალხური სიმღერა და ძველი ქართული პროფესიული მუსიკა. მონაწილეობა აქვს მიღებული ათამდე ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში (ESEM, Prague, 2014; AMIS, USA, 2015). გამოქვეყნებული აქვს სტატიები The Grove Dictionary of Musical Instruments (ოქსფორდი, მე-2 გამოცემა, 2014). ეწევა დამოუკიდებელ საველემეკრებლობით საქმიანობას. მონაწილეობს ტრადიციული მუსიკის კონცერტების ორგანიზებაში. თანამედგენელია სანოტო კრებულისა ქართული ტრადიციული საეკლესიო გალობა, აუდიოჩანაწერები სასწავლო დისკებით (2010). და წიგნისა ქართული საგალობლების ხელნაწერთა აღწერილობა და ანბანური კატალოგი (2013). არის სხვადასხვა სამეცნიერო პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი. არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სადოქტორო გრანტის მფლობელი (2015).

ინაგოლის (თურქეთი) ქართველების წარსული და თანამედროვე მუსიკალური ყოფა

(აბდულა აკატთან თანავტორობით)

მოხსენება ეძღვნება საქართველოდან ოსმალეთში 1870-იან წლებში მუჰაჯირად წასულ ქართველთა შთამომავლობის წარსულ და თანამედროვე მუსიკალურ ყოფას.

კვლევა ემყარება ამერიკელი ანთროპოლოგის პიტერ გოლდის მიერ 1968 წელს ბურსას პროვინციის ინეგოლის რაიონის ქართველებისაგან ჩანერილ და ავტორების მიერ ექსპედიციებში მოძიებულ მასალას. უკანასკნელ წლებში ინეგოლში ავეჯის წარმოების განვითარებით გამოწვეულმა ურბანიზაციამ და სამსახურის ძიებაში სოფლებიდან, განსაკუთრებით, ჰაირიეკოიდან, გერმანიაში მოსახლეობის მიგრაციამ განაპირობა სწრაფი სოციალური ცვლილებები ამ მხარეში, რაც აისახა რეგიონში მცხოვრები ქართველების ცხოვრებაზეც. მოხსენებაში დაზუსტებულია ზოგიერთი სიმღერის შესრულების წესი, ფუნქცია, განსხვავება, მუსიკალური აზროვნების პრინციპები და მრავალმხიანობის ფორმების საკითხი; ნაჩვენებია მათი განვითარების დინამიკა და თანამედროვე მდგომარეობა.

NINO RAZMADZE

GEORGIA

Doctoral student in ethnomusicology at Tbilisi State Conservatoire; specialist at the International Research Centre for Traditional Polyphony and the head of the *Georgian Chant Foundation's* department of project monitoring. The main focus of her research is Georgian folk instruments and instrumental music. Also works on various aspects of Georgian secular and sacred music. Has participated in about ten national and international conferences, including those organized by the European Seminar in Ethnomusicology (ESEM, Prague, 2014) and American Musical Instrument Society (AMIS, USA, 2015). She has published articles in the *Grove Dictionary of Musical Instruments* (Oxford, 2nd edition, 2014). Carries out field-collecting activity; takes part in the organization of traditional music concerts; is the author and leader of various projects. Is the co-compiler of the collection of scores *Georgian Traditional Church Chant, with self-study audio recordings* (2010) and of the book *Description of the Manuscripts and Alphabet Catalogue of Georgian Sacred Hymns* (2013); is a doctoral grant winner of Shota Rustaveli National Science Foundation (2015).

THE PAST AND PRESENT MUSICAL LIFE OF THE GEORGIANS IN İNEGÖL, TURKEY

(Co-author Abdullah Akat)

The paper is dedicated to an in-depth study of the past and present musical life of the descendants of the Georgian Muhajirs who went from Georgia to Turkey in the 1870s.

The study is based on material recorded by American anthropologist Peter Gold from the Georgians residing in the İnegöl District of the Bursa province of Turkey, and on material from the authors' field expeditions. Intensive urbanization due to the development of the furniture industry in recent years in İnegöl, and migrations from villages, especially Hayriyeköy, to Germany in search of job, have led to rapid social changes in both city centre and villages. This situation has affected Georgians living in the region and has been reflected in their daily practices.

The paper specifies the rule of performance of certain songs, their function, variance, musical thinking principles and matter of forms of polyphony. It discusses the dynamics of their development as well as the present situation.

კატი რომანუ საბერძნეთი



კვიპროსის ევროპული უნივერსიტეტის პედაგოგი, წარსულში ათენის უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის პედაგოგი. კვლევის სფეროა ბერძნული მუსიკალური ხელოვნება. არის მუსიკალური პერიოდული გამოცემების რეტროსპექტული ცნობარის ბერძნული ჯგუფის კოორდინატორი და *Grove/Oxford music online*-ის თანამშრომელი საბერძნეთისა და კვიპროსის საკითხებში. იბეჭდება ბერძნულ და უცხოურ პერიოდულ და კოლექტიურ გამოცემებში, მათ შორის: ბეჭდების გაცვლა დიქტატურის პირობებში, წიგნში *მუსიკა და დიქტატურა ევროპასა და ლათინურ ამერიკაში* (Brepols, 2009); *მუსიკალური განათლება მეცხრამეტე საუკუნის საბერძნეთში*, წიგნში *მეცხრამეტე საუკუნის მუსიკის მიმოხილვა* (2011); *ვერდის მიღება საბერძნეთში* (Brepols, 2013); ავტორია წიგნებისა: *სერბული და ბერძნული მუსიკალური ხელოვნება. თეორიულაქა დასავლური მუსიკის ისტორიაში* (Bristol, 2009); *მუსიკის დიდი თეორია* (ქრისანთოს მადიტოსელის თარგმანი, New York, 2010).

მრავალხმიანობა „მონოფონიურ“ ტრადიციაში

მცირე რაოდენობის მრავალხმიანი ნიმუშების გამოკლებით, ბერძნული სასულიერო მუსიკა, ძირითადად, მონოფონიურია. ნაშრომში განხილულია სწორედ ეს გამოწვევები და აქცენტი გაკეთებულია ორ ასპექტზე: პირველი ეხება ბერძნების უძველეს მრავალხმიან გალობას. სხვადასხვა ხალხში მრავალხმიანი გალობა, თავდაპირველად, იმპროვიზაციის ტენდენციას გამოხატავს და ის ზეპირად ვრცელდება. ამიტომ მისი ადრეული დადასტურება მოიპოვება არა სანოტო ხელნაწერებში, არამედ სხვა კულტურის წარმომადგენლების მონათხრობში, რომელთათვის ამგვარი გალობა უჩვეულოა. მრავალხმიანი გალობის ქრონოლოგიის კვლევისათვის ნაშრომში შედარებულია ორი ტიპის დოკუმენტი.

მეორე ასპექტი არის დავა დასავლური მიმართულების (ე.ი. ჰარმონიზაციის) ბერძენ მომხრეებსა და მონინალმდეგეებს შორის. ამ პაექრობის კავშირები სოციალურ- პოლიტიკურ გარემოსთან ნაჩვენებია დასავლურ/აღმოსავლურ კულტურებთან ინტეგრაციის სხვადასხვა ხარისხის მქონე პერიოდებისა და ადგილების ნიმუშებში.

KATY ROMANOU

GREECE

The faculty member in the European University of Cyprus. Before, a faculty member in the Music Department of the University of Athens. Research focuses on Greek art music in the CE. Is coordinator of the Greek team of RIPM (Retrospective Index of Music Periodicals), and a contributor to *Grove/Oxford music online* for Greece and Cyprus.

Has published widely in Greek and foreign periodicals and collective editions, among which: *Exchanging Rings under dictatorships, Music and Dictatorship in Europe and Latin America* (Brepols, 2009); *Music education in Nineteenth Century Greece; its Institutions and their Contribution to Urban Music Life, Nineteenth Century Music Review* (June 2011); *Verdi's reception in Greece, Verdi Reception* (Brepols, 2013).

Her books include: *Serbian and Greek Art Music. A Patch to Western Music History* (Bristol, 2009); a translation of Chrysanthos of Madytos, *Great Theory of Music* (New York, 2010).

POLYPHONY IN A “MONOPHONIC” TRADITION

Greek church music is presented as monophonic with some exceptional polyphonic examples. This paper discusses these exceptions, focusing on two aspects: The first deals with the earliest polyphonic chanting by the Greeks. Primal polyphonic chanting occurs as a natural improvisational tendency to many peoples, and is orally disseminated. Therefore, the earliest testimony of this practice is not to be found in musical (notated) manuscripts, but in descriptions by persons most often of some other culture, who find that way of chanting peculiar. Investigating the chronology of polyphonic chanting, this paper will compare documents of the two types.

The second aspect deals with the frequently surfacing controversy among Greeks, against or pro westernisation (i.e. harmonisation) of church chant. The relations of those controversies to the political and social environment are demonstrated in examples from periods and places chosen for their varied degrees of integration to Western or Eastern cultures.

ნიკოლას როიერ-არტუსო კანადა



დიპლომირებული მუსიკოსი, სწავლობდა ფილოსოფიურ მეცნიერებებსა და ლინგვისტიკას, ამჟამად მუშაობს სადესარტაციო ნაშრომზე ლავალის უნივერსიტეტში (კეპბეკი).

არის თურქული მუსიკისა და მასთან დაკავშირებული ტრადიციების სპეციალისტი (ერაყი, სირია, ეგვიპტე, რეპტიკო).

გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები თურქული მუსიკის თეორიასა (2012ა, 2012ბ, 2013, 2015) და პოლიტიკაზე (2012ბ), რეგიონალური ქვეყანების კონტაქტების ფენომენზე (2013, 2015). ასევე, გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები თურქულ ფონოლოგიასა და მორფოლოგიაზე (2015), მეტრიკის, ლინგვისტიკის თეორიისა და ენის კონტაქტზე.

ამჟამად მუშაობს ოსმალეთის ეპოქის თავისუფალ რიტმიან პოეტურ ვოკალურ იმპროვიზაციაზე (*gazel*) და მის მორგებაზე მუსიკასთან.

პატაროფონია: შესრულებიდან განხორციელებამდე

ნაშრომში წარმოდგენილია ავტორის მიერ 2012 წლიდან ჩატარებული კვლევების შედეგები ჰეტეროფონული ქსოვილებისა და მათი კოორდინირების შესახებ.

2012 წელს მან წამოაყენა „ჰეტეროფონიის მიმართ შემეცნებითი რეალისტური მიდგომა“, რომელიც აჩვენებდა, რომ ჰეტეროფონია არის არა ერთადერთი/უმთავრესი მარტივი შეთავსება სხვადასხვა მუსიკოსის მიერ იმავე მელოდიის განსხვავებული ინტერპრეტაციისა, არამედ იმავე მელოდიის განსხვავებულად (უმნიშვნელოდ) დამახსოვრებული ვერსიების შეთავსება. ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, იმის გათვალისწინებით, რომ სპეციფიკური ქსოვილი, ძირითადად, გვხვდება ზეპირ მუსიკალურ ტრადიციებში.

შემდეგ სტატიაში (2012) მან აჩვენა, როგორ ხდება ვარიანტების ამ პროცესის შეჩერება ხშირად, როდესაც ინსტიტუციები ქმნიან ამისთვის საჭირო საშუალებებს.

NICOLAS ROYER-ARTUSO CANADA

Nicolas Royer-Artuso holds diplomas in music, cognitive sciences and linguistics and is currently doing a PHD in linguistics at Université Laval, Québec. He is a proficient musician specialized in Ottoman music and related traditions (Iraqi, Syrian, Egyptian, Rembetiko).

He has published and presented works on Ottoman music theory (2012a, 2012b, 2013, 2015), on its politics (2012b) and on contact phenomena between areal subgenres (2013, 2015). He has also published and talked on Turkish phonology and morphology (2015). He has presented works dealing with metrics, linguistics theory and language contact. He is currently working on the grammar of rhythm-free poetic vocal improvisation (*gazel*) and text setting in the Ottoman era.

HETEROPHONY: FROM PERFORMANCE TO ACTUALIZATION

The aim of this talk is to present different works I have been carrying on since 2012 on heterophonic texture(s) and show how they are articulated. In 2012, I have proposed a cognitively ‘Realist Approach to Heterophony’ which consisted in showing that heterophony is not only/mainly the simple superposition of *different* interpretations of the *same* melody by different musicians, but the superposition of different (slightly) memorized versions of the same melody, something that shouldn't be surprising if we take into account the fact that this specific texture is mainly found in orally transmitted musical traditions.

I showed in another paper (2012) how this process of variation is often stopped when institutions create the tools to do so.

The Third publication (2015) was devoted to the links between heterophony and musical creativity. There, I showed how musicians use their heterophonic knowledge when they have to create new material following the canons of tradition.

თეონა რუხაძე

საქართველო



ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ეთნომუსიკოლოგი. თბილისის ვ. სარა-ჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის სპეციალისტი, ამავე კონსერვატორიის მასწავლებელი. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივისა და ბიბლიოთეკის სამსახურის კოორდინატორი. 2008–2012 წლებში იყო ფოლკრადიოს მუსიკალური წამყვანი და რამდენიმე გადაცემის ავტორი. წაკითხული აქვს მოხსენებები რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე. არის მუსიკალურ-ფოლკლორისტული ექსპედიციების, ეთნომუსიკოლოგიური პროექტებისა და პრეზენტაციების მონაწილე.

გუდასტვირის სახეობები საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა ტრადიციულ მუსიკაში (მრავალხმიანობა და შესრულების სხვა თავისებურებები)

მოხსენებაში განხილულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონში, აჭარაში გავრცელებული გუდასტვირი – ჭიბონი. ამ კუთხის მკვიდრთა მუსიკალურ ყოფაში საკრავს ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნია და დღესაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. გუდასტვირი, ასევე, დაფიქსირებულია ქართლში, რაჭაში, ფშავში, სამცხე-ჯავახეთსა და ისტორიული საქართველოს იმ ნაწილში, რომელიც ამჟამად ქვეყნის საზღვრებს გარეთ მდებარეობს, კერძოდ – ლაზეთში, შავშეთსა და ტაოში. საკრავი გვხვდება თურქეთში გადასახლებულ აჭარელთა ფოლკლორშიც. გუდასტვირის სხვადასხვა დიალექტური ნაირსახეობა ურთიერთგანსხვავებული აგებულებითა და შესრულების სპეციფიკით ხასიათდება. მის რეპერტუარში ასახულია სიახლოვე შესაბამისი რეგიონების ვოკალური მრავალხმიანობის ფორმებთან და შესრულების სხვა თავისებურებებთან.

TEONA RUKHADZE

GEORGIA

Ethnomusicologist, Doctor of Arts, specialist at the Georgian Folk Music Laboratory of Tbilisi State Conservatoire, lecturer at Tbilisi State Conservatoire, archive and library coordinator at the State Folklore centre of Georgia; was a musical presenter, and author of several programs at FolkRadio in 2008-2012, has participated in national and international scientific conferences, participated on folk-music expeditions, ethnomusicological projects and presentations. Gudastviri in the Traditional Music of Georgians Living in Georgia and beyond its Borders (Polyphony and Other Peculiarities of Performance)

GUDASTVIRI IN THE TRADITIONAL MUSIC OF GEORGIANS LIVING IN GEORGIA AND BEYOND ITS BORDERS (POLYPHONY AND OTHER PECULIARITIES OF PERFORMANCE)

The paper deals with chiboni – bagpipe disseminated in South-West Georgian province of Achara. The instrument has had a long tradition and still occupies significant place in the musical life of the region. Bagpipe is also encountered in Kartli, Racha, Pshavi, Samtskhe-Javakheti and in the historical parts of Georgia, currently beyond the country's borders, most precisely in Lazeti, Shavsheti and Tao. The instrument is also encountered in the folk music of the transmigrated in Turkey Acharans. Varieties of bagpipe are characterized in different structures and performance specificities. Their repertoires reflect proximity to the vocal polyphony of the corresponding regions and other performance peculiarities.



ალა სოკოლოვა
რუსეთი/ადიღეა

ALLA SOKOLOVA
RUSSIA/ADYGEA

Dr. of Art, Specialist in ethnomusicology and instrumental music. Full Professor at the Institute of the Arts at Adyghea State University. A member of the Russian Union of Composers, and author of more than 250 scholarly and 200 popular works published in Russian, English, Turkish and Adyg. These works are devoted to an analysis of the Adyg and Cossacks culture, the history and theory of Adyg traditional music, as well as the modern composition.

SHOUTS AND EXCLAMATIONS IN MULTITIMBRAL POLYPHONY OF THE CIRCASSIAN DANCE CIRCLE

Shouts and screams within Adygeyan traditional dance circle are considered as elements of a single sound system, which also includes the sounds and voices of different musical instruments, the pitch of the musical line and sound reflection on the participants of the festival. Exclamations stand function (verbal, suggestive, axiological) and destination (for dancing boy and girl, the audience, the musicians). Identifies correlated relationship between the shouts and the composition of instrumental tunes. The comparative analysis of outcries and instrumental tunes also brings us to more complete understanding of the semantic contents of dance tunes. The highest sound in traditional dance melodies forms the culmination of the folk melody.

Sometimes performers continue playing (hover) a high sound for some time. This is perceived by dancers as the sign of the increase in velocity of the dance performance. So when a dancer tells the musician to play quicker the harmonist merely plays a long, continued sound in high register. The shouts and music are elements of one system. The shouts inside a circle, sounds of music instruments (particularly sounds of idiophones) mark the protected space. Outside this space is a darkness and chaos. Within a dancing circle is an order and strictness. At the same time the shouts and music belong to the common ethnic picture of the world.

ეთნომუსიკოლოგიის დოქტორი და საკრავიერი მუსიკის სპეციალისტი. ხელოვნების ისტორიკოსი, ადიღეის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ინსტიტუტის სრული პროფესორი. რუსეთის კომპოზიტორთა კავშირის წევრი და რუსულ, ინგლისურ, თურქულ და ადიღეურ ენებზე გამოცემული 250-ზე მეტი სამეცნიერო და 200 პოპულარული ნაშრომის ავტორი. ეს ნაშრომები ეძღვნება ადიღეურ და კაზაკების კულტურას, ისტორიას და ადიღეურ ტრადიციულ მუსიკასა და თანამედროვე კომპოზიციებს.

ყვირილი და შეახილვაი ჩაჩაქული საცეკვაო ფერხულის მულტიტემბრალ პოლიფონიაში

ადიღეურ ტრადიციულ ცეკვაში განიხილება, როგორც ერთხმიანი ბგერითი სისტემის ელემენტები. ეს სისტემა, ასევე, მოიცავს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის ბგერებსა და ადამიანის ხმებს, მუსიკალური ხაზის სიმაღლეს და დღესასწაულის მონაწილეების რეფლექსიას ამ ჟღერადობაზე. შედახილვას აქვს ფუნქცია (ვერბალური, შთამაგონებელი, აქსიოლოგიური) და დანიშნულება (მოცეკვავე ქალ-ვაჟისათვის, აუდიტორიისთვის, მუსიკოსებისთვის), ახდენს ყვირილებსა და ინსტრუმენტულ კომპოზიციებს შორის ურთიერთკავშირის ინდენტიფიკაციას. შედახილებისა და საკრავიერი მელოდიების შედარებითი ანალიზი გვეხმარება საცეკვაო მელოდიების სემანტიკური შინაარსის უკეთ გაგებაში. ტრადიციულ საცეკვაო მელოდიებში ყველაზე მაღალი ბგერა ხალხური მელოდიის კულმინაციაა.

ზოგჯერ შემსრულებლები გარკვეული ხნით აგრძელებენ მაღალ ბგერას. ასე, რომ როდესაც მოცეკვავე მუსიკოსს სთხოვს უფრო სწრაფად დაკვრას, ის, უბრალოდ, გრძელ, გაბმულ ბგერას მაღალ რეგისტრში უკრავს. საცეკვაო წრეში წესრიგი და სიმკაცრეა. ამავედროულად, შედახილები და მუსიკა ერთობლივად ქმნის სამყაროს ეთნიკურ სურათს.

სვეტლანა სპაჟიჩი სერბეთი



სვეტლანა სპაჟიჩი არის სერბი ტრადიციული მომღერალი, მკვლევარი და პედაგოგი. მას ბევრი უმოგზაურია ბალკანეთში, სწავლობდა სიმღერებს უშუალოდ საუკეთესო სოფლელი მომღერლებისგან. ტრადიციული მუსიკის დასაცავად მრავალი პროექტი აქვს განხორციელებული სერბეთის კულტურის სამინისტროს დახმარებით. 2009 წლიდან ის ხელმძღვანელობს სერბეთში ყველაზე წარმატებულ ტრადიციული მრავალხმიანობის a cappella კოლექტივს სვეტლანა სპაჟიჩის ჯგუფი. არის ტრადიციული მუსიკის ფესტივალის რეტნიკ სამხატვრო ხელმძღვანელი. ფესტივალი მიზნად ისახავს ძველი და ახალი თაობის მომღერლების დაკავშირებას.

მრავალხმიანი ტრადიციის ცოცხლად შენახვა

აგებულია 1938–1941 წლებში. იგი, როგორც არქიტექტურული ძეგლი, შესულია კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა სიაში. დარბაზი აღდგენილი და რესტავრირებულია 1997 წელს. დარბაზი გათვლილია 500 ადგილზე. გამოირჩევა შესანიშნავი აკუსტიკური თვისებებით. გათვალისწინებულია კამერული და სიმფონიური მუსიკის კონცერტებისათვის. დარბაზს ამშვენებს *Alexander Schuke Potsdam*-ის ფირმის 3-მანუალიანი 40-რეგისტრიანი ორგანი, *Steinway & Sons*-ის ფირმის ორი საკონცერტო როიალი, გააჩნია ციფრული ხმის ჩამწერი სტუდია, მოძრავი სცენა, საორკესტრო ორმო და ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც პასუხობს თანამედროვე საკონცერტო დარბაზების საერთაშორისო სტანდარტებს. სხვადასხვა დროს დარბაზში კონცერტებს მართავდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი და უცხოელი მუსიკოსები, მათ შორის: ა. გოროვიცი, ე. პეტრი, დ. შტიდრი, ო. რიდი, ს. რისტერი, ე. გილელსი, მ. როსტროპოვიჩი. კონსერვატორიის დიდი დარბაზი დღესაც სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს და დედაქალაქის მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრია. ბოლო წლებში კონსერვატორიის დიდ დარბაზში ტრადიციულად ტარდება საახალწლო კონცერტების სერია, რომელშიც მონაწილეობენ თანამედროვეობის გამოჩენილი მუსიკოსები.

THE GRAND HALL OF THE CONSERVATOIRE

The Grand Hall of the Conservatoire was built in 1938–1941. It has been registered as an object of national cultural heritage, and was renovated in 1997. The Grand Hall seats an audience of 500 and is distinguished for its perfect acoustic qualities. It provides all the necessary facilities for chamber and symphony music concerts, while its revolving stage and orchestra pit allow for opera performances. The Hall prides itself on a three-manual, forty-register *Alexander Schuke Potsdam* organ, and two *Steinway & Sons* concert grand pianos, both in excellent condition. The Grand Hall has digital audio-recording facilities. In different years, outstanding musicians of the world, including A. Horowitz, E. Petri, D. Shtidri, O. Reed, S. Richter, D. Oistrach, E. Gilels, M. Rostropovich, etc., have performed on the stage of the Grand Hall. Nowadays the Grand Hall is one of the major cultural centres of the capital. It has become an important tradition to hold series' of New Year's concerts with the participation of prominent Georgian and visiting musicians.



კონსერვატორიის მცირე დარბაზი

მცირე დარბაზი საზეიმოდ გაიხსნა 1904 წლის 7 ნოემბერს. დარბაზის დამთავრებისათვის თანხა გაიღეს მეცენატებმა კონსტანტინე ალიხანოვმა და ძმებმა იაკობ და სტეფანე ზუბალაშვილებმა. დარბაზის ინტერიერი გვარნმუნებს იმაში, რომ XX საუკუნის დასაწყისში თბილისში არტმოდერნმა შემოაღწია. არქიტექტურული გაფორმება ეკუთვნის ცნობილ მხატვარ-დეკორატორ ნოვაკს, რომელმაც დარბაზის შიდა კედლები და ჭერი მოდერნის სტილის ძერწილი ჩუქურთმებით მორთო და მოაგარაყა; კედლების გასწვრივ ბახის, ბეთოვენის, გლინკას, რუბინშტეინის ბიუსტებია განლაგებული; დარბაზის ელექტროგანათებისა და მოპირკეთების სამუშაოები მთლიანად *შუკერტის ფირმამ* შეასრულა. მცირე დარბაზის 100 წლის თავზე მოხდა მისი პირვანდელი სახით აღდგენა, სრული რესტავრაცია. ორასადგილიანი მცირე დარბაზი გამოირჩევა შესანიშნავი აკუსტიკით, აღჭურვილია ციფრული ხმის ჩამწერი სტუდიით, ორი Steinway & Sons-ის და Yamaha-ს ფირმის საკონცერტო როიალებით.

RECITAL HALL OF THE CONSERVATOIRE

The Conservatoire Recital Hall was opened in a festive ceremony on 7 November, 1904.

The funding necessary to finish its construction was provided by the philanthropists Konstantin Alikhanov and the Zubalashvili (Iakob and Stepane) brothers. The interior shows very convincingly that *art-modern* was already familiar in Tbilisi at the beginning of the 20th century. The architectural ornamentation is the work of the well-known painter and decorator Novack, who decorated the walls and ceiling of the hall with carved and gilded ornaments. Busts of Bach, Beethoven, Glinka, and Rubinstein are located along the walls of the hall. The lighting and wall tiling were provided entirely by the Schuckert Company.

For its centennial anniversary, the Recital Hall was renovated and restored to its previous design. Today, this small, 200-seat hall is distinguished by its superb acoustics. It is equipped with a digital recording studio and houses grand pianos by Steinway & Sons and Yamaha.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

თბილისის კონსერვატორია უმაღლესი მუსიკალური განათლების, შემსრულებლობისა და მუსიკოლოგიური კვლევის ცენტრია საქართველოში. იგი დაარსდა 1917 წლის 1 მაისს. თავისი არსებობის მანძილზე თბილისის კონსერვატორიამ აღზარდა მრავალი გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებელი, ქართველ კომპოზიტორთა და მუსიკოლოგთა მთელი თაობა. ძალზედ დიდია პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსებზე გამარჯვებულ სტუდენტთა თუ კურსდამთავრებულთა სია. კონსერვატორიაში ეწყობა სხვადასხვა სახის მუსიკალური ფორუმები, რესპუბლიკური თუ საერთაშორისო კონკურსები, სამეცნიერო სიმპოზიუმები და კონფერენციები.

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი დაარსდა იუნესკო-ს მხარდაჭერით 2003 წლის 1 თებერვალს. ცენტრს აქვს ფართო საერთაშორისო კონტაქტები, საზღვარგარეთული ბიურო ავსტრალიაში. განახორციელა არაერთი საერთაშორისო პროექტი, მათ შორის, იუნესკოს ქართული პოლიფონიის დაცვისა და განვითარების სამწლიანი პროგრამა (2003–2006), რომლის ფარგლებში დაარსდა ცენტრის პერიოდული ორენოვანი ბიულეტენი, გამოიცა ქართველ მეცნიერთა ეთნომუსიკოლოგიური ნარკვევები ინგლისურ ენაზე და ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების სახელმძღვანელო ორი CD-ით ქართულ ენაზე; ჩატარდა 10 ფოლკლორული ექსპედიცია და საფუძველი ჩაეყარა ქართული ფოლკლორის ელექტრონულ მონაცემთა ბაზას. 2006–2008 წლებში ვენის ფონოგრამარქივთან თანამშრომლობით ცენტრმა გამოსცა საქართველოში დაცული ფონოგრაფის ცვილის ლილევაკების კატალოგი და 16 CD ამ საარქივო ჩანაწერებით. 2010 წელს ამერიკულმა გამომცემლობამ *Nova Science Publishers*-მა ინგლისურ ენაზე გამოსცა ცენტრის მიერ მომზადებული ესეების კრებული *eEchoes from Georgia: Seventeen Arguments on Georgian Polyphony*. 2014 წელს ბერლინის ფონოგრამარქივთან ერთად, ცენტრმა მოამზადა და გამოსცა წიგნი *ქო ნარსულიდან: ქართველ ტყვეთა სიმღერები, ჩანერილი ცვილის ლილევაკებზე გერმანიაში, 1916–1918*. გამოცემულია წიგნი 7 სიმპოზიუმის (2002, 2004, 2006, 2008, 2010, 2012 და 2014) მოხსენებების კრებულები. არის ESEM-ისა და ICTM-ის წევრი.



THE V. SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE

The Tbilisi State Conservatoire is the centre of musical education, performance and musical studies in Georgia. It was founded on 1 May, 1917. Since the day of its foundation the Conservatoire has trained a great number of outstanding musicians and performers, and generations of Georgian composers and musicologists. The list of the Conservatoire's students and graduates – prize-winners and laureates of the world's most prestigious international competitions – is quite long.

Many remarkable musical fora, national and international competitions, scientific symposia and conferences are held at the Conservatoire.

THE INTERNATIONAL RESEARCH CENTER FOR TRADITIONAL POLYPHONY was founded on 1 February, 2003, with the support of UNESCO. The Center has many international contacts, including a Foreign Bureau in Australia. The Center has realized numerous international projects, including, most prominently, a three-year UNESCO program beginning in 2003 for the *Safeguarding and Promotion of Georgian Traditional Polyphony*. As part of this program, publication of a bilingual bulletin (Georgian and English) was initiated; a book of essays by Georgian ethnomusicologists (in English) was published, along with a textbook on Georgian folk music with two CDs (in Georgian); 10 folklore field expeditions were held; and an online database of Georgian folk music was created. In 2006–2008, a Catalogue of Wax Cylinder Collections in Georgia, and sixteen CDs from the archival recordings in collaboration with the Vienna Phonogram-Archive, were published. In 2010, Nova Science Publishers, an American firm, released a book of essays titled *Echoes from Georgia: Seventeen Arguments on Georgian Polyphony*, which was prepared by the Center. In 2014, the book and CDs *Echoes from the Past: Georgian Prisoners' Songs Recorded on Wax Cylinders in Germany 1916–1918*, in cooperation with the Berliner Phonogramm-Archiv, was released. The Center has also published proceedings of previous (2002, 2004, 2006, 2008, 2010, 2012 and 2014) Symposia. The International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi State Conservatoire is a member of ESEM and ICTM.



ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი

შეიქმნა 2001 წელს. მისი შექმნის ინიციატორია ანზორ ერქომაიშვილი.

ცენტრი ეწევა მრავალმხრივ პრაქტიკულ საქმიანობას და უკვე ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთებაც მოასწრო: საფუძველი ჩაუყარა საქართველოსა და უცხოურ არქივებში დაცული ქართული ხალხური სიმღერების ფონოჩანაწერების, კინო, ფოტო, ვიდეო და სხვ. მასალების არქივს.

საქართველოს ათამდე რაიონში ხალხური სიმღერების ხანდაზმული ოსტატების ხელმძღვანელობით შექმნა ახალგაზრდა ლოტბართა სკოლები. თანამედროვე უნივერსალური ტექნიკის გამოყენებით აფიქსირებს ძველ საშემსრულებლო ტრადიციებს. საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა ძველი ფონოჩანაწერების გაშიფვრა, სანოტო კრებულების შედგენა და გამოცემა ლაზერული დისკების სახით. დაწყებულია სერიის *საუკუნის ანთოლოგია* გამოცემა (1901–2001 წ.წ.).

აქვს ფართო საერთაშორისო ურთიერთობები საზღვარგარეთ არსებულ ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლებთან და ასოციაციებთან, ფონოარქივებთან, სამეცნიერო და საბიბლიოთეკო ცენტრებთან.

ატარებს ფოლკლორულ საღამოებს, ფესტივალებს, კონკურსებს ავთენტიკური ჯგუფების, საოჯახო ანსამბლებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობით. ცენტრმა განახორციელა *იუნესკო-ს ქართული პოლიფონიის დაცვისა და განვითარების სამწლიანი პროგრამა (2003–2006)*.

ხელს უწყობს ქართული ხალხური სიმღერის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატარებას.

ცენტრმა 2003 წლიდან დღემდე გამოსცა 30-მდე სანოტო კრებული, აუდიომასალა (მათ შორის – ცნობილი ქართული ხალხური სიმღერების ცალკეული ხმები), სამეცნიერო და საცნობარო ხასიათის წიგნები. უკანასკნელთაგან აღსანიშნავია: *ქართული ხალხური სიმღერების / ფონოჩანაწერები (1901–1914)*, *ქართული ფონოჩანაწერები უცხოეთში (კატალოგი)*, *სერია ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები – სამეგრელო (5 წიგნი) და გურია (4 წიგნი)*, *ტრადიციული მუსიკა ქართულ-აფხაზურ დიალოგში* და სხვ.



THE INTERNATIONAL CENTRE FOR GEORGIAN FOLK SONG

The Centre was founded in 2001 on the initiative of Anzor Erkomaishvili.

It undertakes a wide array of practical activities and has already carried out many useful projects, including the preservation of Georgian folk songs by the creation of new archives based on collecting and restoring audio and video recordings, as well as other related materials, wherever they exist in archives in Georgia or abroad. In ten regions of Georgia, it created a context for masters of Georgian folk song to pursue their art, and to instruct students to become masters for future generations in special schools; to record and document old performing traditions by using new audio and video equipment.

One of the most important spheres of the Centre's activities is the transcription of archival recordings, creation of musical scores for publication in anthologies, and issuing of compact discs. The publication of the series *Centenary Anthology 1901* – has already started.

The Centre has established extensive international contacts with Georgian folk ensembles, associations, sound archives, libraries and centres of study. It holds folk concerts, festivals and contests with the participation of traditional music groups, family ensembles and individual performers. The Centre was involved in the realization of UNESCO's three-year (2003–2006) program for the *Safeguarding and Promotion of Georgian Traditional Polyphony*.

It promotes scholarly conferences and symposia on the most important research topics related to Georgian folk song. Since 2003 the Centre has published about 30 transcribed collections, audio materials (including those with separate voice parts from well-known Georgian folk singers), scholarly and reference books. The most noteworthy of these are: *The First Sound Recordings of Georgian Folk Song (1901–1914)*, *Georgian Audio Recordings Abroad* (a catalogue), two series on *Masters of Georgian Folk Song: Samegrelo* (five books), and *Guria* (four books), *Traditional Music in Georgian-Abkhazian Dialogue*, and others.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი (ყოფილი ხალხური შემოქმედების სახლი და ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი) შეიქმნა 1936 წელს, ივანე ჯავახიშვილის, ვახტანგ კოტეტიშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ვარლამ თოფჩიას, გრიგოლ ჩხიკვაძის, თამარ მამალაძის ინიციატივით. სხვადასხვა დროს ცენტრს ხელმძღვანელობდნენ მიხეილ მგალობლიშვილი, გრიგოლ კოკელაძე, ვალერიან ცაგარეიშვილი, მიხეილ ჩირინაშვილი, რევაზ კერესელიძე, ცისანა ქოჩეჩაშვილი, გიორგი უშიკიშვილი; ამჟამად მისი აღმასრულებელი დირექტორია გიორგი დონაძე.

დაარსებიდან დღემდე ცენტრის პრიორიტეტები უცვლელია: ხალხური შემოქმედების სხვადასხვა დარგის ნიმუშთა მოძიება, კვლევა და პოპულარიზაცია; ქართული ყოფის ცოცხალ ფოლკლორულ პროცესებზე დაკვირვება და ყოფიდან გამქრალი ფოლკლორული ჟანრებისა და ნიმუშების აღდგენა-გაცოცხლება; ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია და მსოფლიო კულტურულ პროცესებში ჩართვა. წლების განმავლობაში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში შეიქმნა უნიკალური არქივი, რომელშიც დაცულია: ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო საგალობელთა სანოტო ხელნაწერები; მდიდარი ხელნაწერი, ფოტო და დოკუმენტური მასალა; საინტერესო ნაშრომები ქორეოლოგიასა და ეთნომუსიკოლოგიაში... ამჟამად ძველი საარქივო ექსპონატები განთავსებულია ფოლკლორის ცენტრის ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში. ბოლო ათწლეულში ამას დაემატა მდიდარი საქსპედიციო აუდიო-ფოტო-ვიდეო და დოკუმენტური მასალა, შეიქმნა ცენტრის საქმიანობის ამსახველი ფოტო-ვიდეო მატრიანე...

ფოლკლორის ცენტრმა ბოლო წლებში გამოსცა ოცდაორი აუდიო და ერთი ვიდეოალბომი, ანთოლოგიური ნაშრომები ქართულ ხალხურ ცეკვებზე, ექვსი მონოგრაფია, ხალხური სიმღერებისა და საგალობელთა ხუთი სანოტო კრებული, მოხეური ზეპირსიტყვიერების კრებული, მცირე ფოლკლორული ლექსიკონი; გადაიღო ოთხი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი. საქართველოს რეგიონებში ფოლკლორული მოძრაობის მხარდასაჭერად, მთავრობის ინიციატივით 2014–16 წლებში 17 მუნიციპალურ ცენტრში გაიხსნა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეგიონული წარმომადგენლობა.



საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA


THE STATE FOLKLORE CENTRE OF GEORGIA

The State Folklore Centre of Georgia (formerly called the House of Folk Art and Scientific – Methodological Centre of Folk Art) was founded in 1936 on the initiative of Ivane Javakhishvili, Vakhtang Kotetishvili, Dimitri Araqishvili, Varlam Topuria, Grigol Chkhikvadze, Tamar Mamaladze and others. At various times the Centre was headed by Mikheil Mgaloblishvili, Grigol Kokeladze, Valerian Tsagareishvili, Mikheil Chirinashvili, Revaz Kereselidze, Tsisana Kochechashvili, and Giorgi Ushikishvili.

The current executive director is Giorgi Donadze.

Since the day of its inception, the Centre has held immutable priorities: to seek for, study and popularize the examples of various branches of folk art; to observe live folk processes in Georgia's modes of life; to revive and publish vanished folk genres and examples; and to popularize worldwide Georgian folklore and include it in world cultural processes. A unique archive has been created at the Centre over the years, which preserves notation manuscripts of Georgian folk songs and church hymns; rich oral, photo and documentary material; and interesting works on choreology and ethnomusicology. Currently, old archival materials are included in the digital information base of the Folk Centre; in the past years it was supplemented with rich expedition, audio, photo, video and documentary material, and a chronicle of the Centre's activity was created.

The State Folklore Centre also carries out fruitful publishing activities – in recent years, it has released one video and twenty-two audio albums, anthologies of Georgian folk dance, six monographs, five notated collections of folk songs and church hymns, a collection of Mokhevian oral folklore, a small folklore lexicon, and four short-length documentary films. Further, in 2014–2016, regional branches of the Centre were opened in 17 municipal centres to support folklore revival in Georgia's regions.



გაერთიანებული
ერების
განათლების,
მეცნიერებისა
და კულტურის
ორგანიზაცია
აცხადებს

ქართულ მრავალხმიან
სიმღერას
– საქართველო –

კაცობრიობის ზეპირი და
ხელთუქმნელი
მემკვიდრეობის შედეგად



კოიშირო მაცუურა
გენერალური დირექტორი

(პარიზი, 18 მაისი, 2001)

„ბოლო დროის ჩემი ერთ-ერთი უძლიერესი მუსიკალური შთაბეჭდილება შონბერგის „იაკობის კიბე“ და ქართული ხალხური პოლიფონიური სიმღერის ჩანაწერებია... მუსიკის აქტიური შესრულების ეს ტრადიცია, სათავეს უძველესი დროიდან რომ იღებს, შესანიშნავი მიგნებაა, რომელიც შესრულებისათვის გაცილებით უფრო მეტს იძლევა, ვიდრე თანამედროვე მუსიკის ყველა მონაპოვარი... იოდლი, რომელსაც საქართველოში „კრიმანჭულს“ ეძახიან, საუკეთესოა მათ შორის, რაც კი ოდესმე მომისმენია“.

იგორ სტრავინსკი

“One derives a highly significant musical impression from Arnold Schonberg’s “Jacobleiter” and the recordings of Georgian polyphonic folk singing. This is a tradition of active execution of music which has roots in the remote past; it is also a splendid discovery that is capable of enriching the performing art more than all the acquisitions of modern music... The yodle, known as “krimanchuli” in Georgia, was the best I ever heard”.

Igor Stravinsky

ფილმები

რენატო მორელი (იტალია)

მრავალშემიერ (სარდინია, იტალია)

*წმინდა ხმები — პნების კვირაში კუნძორდუს შემსრულებელთა
ორი თაობა კულიერიში (სარდინია)*

ჰუგო ზემპი (საფრანგეთი)

კახეთის სუფრული სიმღერები

და

ნონა ლომიძე (ავსტრია/საქართველო)

FILMS

RENATO MORELLI (ITALY)

MRAVALZHAMIER (SARDINIA, ITALY)

*SACRED VOICES – TWO GENERATIONS OF A CUNCORDU DURING
HOLY WEEK IN CUGLIERI (SARDINIA)*

HUGO ZEMP (FRANCE)

TABLE SONGS OF KAKHETI

and

NONA LOMIDZE (AUSTRIA/GEORGIA)



რენატო მორელი

იტალია

დაიბადა ტრენტოში 1950 წელს. ტრენტოს უნივერსიტეტში სოციოლოგიისა და ბომპორტის კონსერვატორიაში მუსიკის სწავლის შემდეგ, იყო იტალიის სახელმწიფო ტელერადიოს (RAI) ეთნოგრაფიული ფილმების რეჟისორი. გადაღებული აქვს დაახლოებით 60 ფილმი ტრენტოს, ალპური რეგიონის, სარდინიისა და ლათინური ამერიკის შესახებ – ეს პროდუქცია 20 საერთაშორისო ჯილდოთია აღნიშნული. არის ეთნომუსიკოლოგი, მკვლევარი.

სხვადასხვა ფორმატის გამოცემების გარდა (წიგნები, კომპაქტური და DVD დისკები), მიჰყავდა რამდენიმე საასპირანტო კურსი მილანისა და ტრენტოს უნივერსიტეტებსა და ტრენტოსა და ბოზენის/ბოლზანოს კონსერვატორიებში. რობერტო ლეიდისთან ერთად გამოსცა ჩანაწერების კომპლექტი *Canti liturgici popolari italiani* (იტალიური პოპულარული ლიტურგიკული სიმღერები) (MI, Albatros, 1988), პეტრუ სასუსთან ერთად – *Musica a memoria- Repertori di tradizione orale* და *sardegan – Confraternite delle voci* (UD, Nota). არის რამდენიმე თეატრალური დადგმის რეჟისორი. ხელმძღვანელობს და პირადად მონაწილეობს სამ მუსიკალურ პროექტში: *Ziganoff* (Klezmer-jazz), T.T.T. (*musika Trentino, Tirol, Transylvania*-დან) და *Cantori di Vermèil* (ტრადიციული ალპური ქორალური მუსიკა).

კონტაქტისა და დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხ.: www.renatomorelli.it

RENATO MORELLI

ITALY

Was born in Trento in 1950. After studying sociology (Trento University) and music (Bomporti Conservatory), he subsequently worked as a director of ethnographic films for the Italian State TV (RAI). He directed some sixty ethnographic films on Trentino, the Alpine Region, Sardinia and Latin America – a production acknowledged by twenty international awards. As a scholar he is best known as an ethnomusicologist. Besides publishing a number of contributions in different formats (books, CDs and DVDs) he has taught in a number of post-graduate courses at the Universities of Milan, Trento, and at the Conservatoires of Trento and Bozen/Bolzano. With Roberto Leydi he superintended the set of records "Canti liturgici popolari italiani", (Italian liturgical popular songs) (MI, Albatros 1988). He directed with Pietro Sassu the set of records "Musica a memoria - Repertori di tradizione orale" and "Sardegna - Confraternite delle voci" (UD, Nota). He has also produced a number of theatrical productions. Last but not least he works on-, has inspired, directs and personally plays in three musical projects: *Ziganoff* (Klezmer-jazz), T.T.T. (music from Trentino, Tirol, Transylvania) and *Cantori di Vermèil* (traditional Alpine choral singing). For further contacts, filmography, discography and bibliography see: www.renatomorelli.it

მრავალჟამიერ (სარდინია, იტალია)

სიმღერით მოგზაურობა სვანეთში (საქართველო) ფილფანის ოჯახთან მელბურნის (ავსტრალია) ქართულ გუნდთან ერთად

რეჟისორი რენატო მორელი

ოპერატორი, რედაქტორი და პროდიუსერი: რენატო მორელი

ხანგრძლივობა 45'

ენა ინგლისური

2016

2014 წლის სექტემბერში მელბურნის ქართული გუნდი (ხელმძღ. იოსებ ჟორდანია) იმყოფებოდა სვანეთში, ტრადიციული სვანური სიმღერის ცნობილი უხუცესი შემსრულებლის ისლამ ფილფანისგან (84 წლის) მრავალხმიანი სიმღერების შესწავლის მიზნით. ამ „სასიმღერო“ მოგზაურობის ერთ-ერთი მონაწილე იყო რენატო მორელი, რომელმაც ავსტრალიურ ჯგუფთან ერთად სხვადასხვა კონტექსტში სპონტანური სიმღერის მრავალი მომენტი გაიზიარა. ფილმში აღწერილია პირველი შეხვედრა ანსამბლ რიჰოსთან (ხელმძღ. ისლამ ფილფანი) კავკასიონის მთებში, სიმღერის გაკვეთილები ფილფანების სახლში, ქართული ღვთისმსახურების უძველესი საგალობლების შესრულება მესტიისა (VIII–XIII სს.) და უშგულის (12 ს.) ტაძრებში, განსაკვიფრებელი ფრესკების ფონზე, ლაშქრობა (მდ. ენგურის სათავესკენ) შხარას მთის ძირას. ამ შთაბეჭდილებას დაემატა VII სიმპოზიუმის კულტურული პროგრამის ფარგლებში უძველესი კლდეში ნაკვეთი ქალაქის, უფლისციხის მონახულება და გორის ფოლკლორის სკოლის ანსამბლ მახარობელისა და ანსამბლ მაჩაბელას დაუვინყარი კონცერტი. ამ მუსიკალურ მოგზაურობას თან ახლდა მრავალფეროვანი სოციალური გარემო – მდიდრულად განწყობილი სუფრები და „უსასრულო“ სადღეგრძელოები, რასაც ქართულად „მრავალჟამიერ“ ჰქვია.

MRAVALZHAMIER (SARDINIA, ITALY)

A SINGING JOURNEY IN SVANETI (GEORGIA) WITH PILPANI FAMILY (SVANETI) AND MELBOURNE GEORGIAN CHOIR (AUSTRALIA)

Director: Renato Morelli

Camera, Editing, Production: Renato Morelli

Year: 2016

Duration: 45'

Language: English

In September 2014 members of *Melbourne Georgian Choir* (led by Dr. Joseph Jordania) went to Svaneti to learn traditional polyphonic songs from the elder Islam Pilpani (84 years old), the most revered traditional singer of Svaneti.

Renato Morelli participated at this “singing” journey by sharing with the Australians singers several moments of spontaneous singing, in different contexts: the first encounter with the ensemble *Riho* (led by Islam and Vakhtang Pilpani) among the Caucasian mountains, the singing lessons in Pilpani’s house, the execution of ancient hymns of the Georgian liturgy in the extraordinary medieval churches with frescos of *Mestia* (8th-12th century) and *Ushguli* (12th century), the hike to the foot of the glacier *Shkhara* (the beginning of the river *Inguri*), a memorable concert in *Uplistsikhe* (ancient a rock-hewn cave town) with ensemble *Makharobeli* (from Gori’s Folk School) and ensemble *Machabela*.

This musical journey was clocked by countless social occasions, between richly laden tables and endless “toast” sung, who in Georgian named *Mravalzhamier*.

წმინდა სეპტი – პნების კვირაში კუნკორდუს შემსრულებელთა ორი თაობა კულიერიში (სარდინია, იტალია)

რეჟისორი რენატო მორელი

ოპერატორები: პაოლო კარბონი, სარა მაინო, სტეფანო მენინი, ბიჩე მორელი, რენატო მორელი

ხმის რეჟისორი: ლივია მორელი

რედაქტორი სარა მაინო

ხანგრძლივობა 45'

ენები: იტალიური, ინგლისური სუბტიტრებით

2015

კულიერიში (სარდინია), ვნების კვირის დღესასწაულს თანხლებას უწევს პატარა გუნდი *კონკორდუ*. გუნდი შედგება მამაკაცის ოთხი განსაკუთრებული ხმისგან, რომლებიც ლათინურ ენაზე ასრულებენ *მიზერერეს* და *სტაბატ მატერს*, თან საკმაოდ რთულ ვარიანტს. ეს ტრადიცია, რომელიც ზეპირი გზით გადაეცემა და რომელმაც სასწაულებრივად მოაღწია ჩვენამდე, საგანგებო მუსიკოლოგიური ინტერესის საგანს წარმოადგენს. ოთხმა ასაკოვანმა მომღერალმა ეს მემკვიდრეობა თავისი შვილებს გადასცა და ახლა ისინი ერთად მღერიან.

SACRED VOICES-TWO GENERATIONS OF A CUNCORDU SINGING DURING HOLY WEEK IN CUGLIERI (SARDINIA, ITALY)

Director Renato Morelli

Camera: Paolo Carboni, Sara Maino, Stefano Menin, Bice Morelli, Renato Morelli

Sound: Livia Morelli

Editor: Sara Maino

Producer: Renato Morelli

Year: 2015

Duration: 45'

Languages: Italian, English subtitles

In Cuglieri (Sardinia), festivities during Holy Week are accompanied by a small choir *concordu*. The choir is composed of four specialised male voices, and they perform the Miserere and Stabat Mater, both in Latin, and both with highly complex settings. Their tradition has been passed on orally, and has miraculously been preserved to the present day, presenting an extraordinary musicological interest. The four elderly singers have been careful to pass on this important patrimony to their sons, and now they are finally able to sing together.

ჰუგო ზემპი საფრანგეთი



ბაზელის (შვეიცარია) კონსერვატორიის დასარტყამი ინსტრუმენტების სპეციალობით დამთავრების შემდეგ პარიზში სწავლობდა ეთნომუსიკოლოგიასა და ანთროპოლოგიას. პენსიაზე გასვლამდე (2004), 37 წლის განმავლობაში მუშაობდა პარიზის ადამიანის მუზეუმის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის ეთნომუსიკოლოგიური კვლევის ჯგუფში. მონაწილეობდა ექსპედიციებში კოტ დ'ივუარში (დასავლეთ აფრიკა), სოლომონის კუნძულებზე (წყნარი ოკეანის დასავლეთი), ევროპაში (შვეიცარია, საქართველო, იტალია). 16 წლის მანძილზე იყო სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის ჩანაწერების სერიის მთავარი რედაქტორი, ასწავლიდა პარიზ-იქს-ნანტერის უნივერსიტეტში.

თითქმის მთელი კვლევითი საქმიანობა მიუძღვნა მრავალხმიანობის შესწავლას, ძირითადად, აუდიოვიზუალური საშუალებების გამოყენებას კვლევის შედეგების პრეზენტაციისათვის. მისი სრული რეჟისორული ვერსია აშშ-ში გაავრცელა საგანამანთლებლო დოკუმენტური ფილმების რესურს-ცენტრმა.

ფილმები: „არე“ არის მუსიკა (1978); ბამბუკის დამუშავება (1978); სუზანას და ჯოზეფის ქორწილი (1986); გლატალპი (1986); იუცინგი და იოდლი (1987); თავისმიერი ხმა, მკერდისმიერი ხმა (1987); ობერტონების სიმღერა (1990); თამარისა და ლაშარის დღეობა (1998); ბალაფონის ოსტატები: სამგლოვიარო რიტუალები (2001); ბალაფონის ოსტატები: ახალგაზრდების სიხარული (2002); ბალაფონის ოსტატები: ხე და კალაბაში (2002); ბალაფონის ოსტატები: მეგობარო, კეთილი იყოს შენი მობრძანება (2002); აფრიკული ლითონის ჩასაბერი ინსტრუმენტების ანსამბლი (2004-2006); Siaka, an African Musician (2005); სამგლოვიარო საგალობლები კავკასიის საქართველოდან (2007); ჩერიანას მრავალხმიანობა: საკკოს ჯგუფი (2010). თბილისური დუდუკი: ელდარ შოშითაშვილი და მისი მოწაფეები (ნინო ციციშვილთან ერთად) (2012).

HUGO ZEMP

FRANCE

After his diploma as percussionist from the Conservatory of Basle (Switzerland), he came to Paris to study ethnomusicology and anthropology. Until his retirement in 2004, he worked for 37 years in Ethnomusicology Research group of the CNRS (National Center for Scientific Research) at the *Musée de l'Homme* in Paris. He did fieldwork in West Africa (Côte d'Ivoire), South Pacific (Solomon Islands), Europe (Switzerland, Georgia, Italy). He was for 16 years general editor of the record series *Collection CNRS/Musée de l'Homme*, and taught at the University Paris X-Nanterre. Almost all of his research is about polyphonies, both vocal and instrumental. Main concern is the use of audiovisual means for research and for presenting the results of research. His complete film work is distributed by Documentary Educational Resources in the U.S.A.

Films: „Are“ are Music (1978); *Shaping Bamboo* (1978); *The Wedding of Susanna and Josef* (1986); *Glattalp* (1986); *Yootzing and Yodeling* (1987); *Head Voice, Chest Voice* (1987); *The Song of Harmonics* (1990); *The Feast-Day of Tamar and Lashari* (1998); *Masters of the Balafon: Funeral Festivities* (2001); *Masters of the Balafon: The Joy of Youth* (2002); *Masters of the Balafon: The Wood and the Calabash* (2002); *Masters of the Balafon: Friend, well come!* (2002); *An African Brass Band* (2004-06); *Siaka, an African Musician* (2005); *Funeral Chants from the Georgian Caucasus* (2007); *Polyphony of Ceriana: The Compagnia Sacco* (2010); (With Nino Tsitsishvili) *Duduk of Tbilisi: Eldar Shoshitashvili and His Students* (2012).

ნონა ლომიძე

ავსტრია/საქართველო



მუსიკის მაგისტრი, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მუსიკოლოგიის სპეციალობით. იყო თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი, თბილისის მუსიკალური აკადემიის პედაგოგი, საქართველოს ტელევიზიისა და პრესის მუსიკალური მიმომხილველი.

იყო ვენის მუსიკის უნივერსიტეტისა და საშემსრულებლო ხელოვნების ასისტენტ პროფესორი (ჰარმონია და კონტრაპუნქტი). ამჟამად არის ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ვენის ფონოგრამ-არქივის უმტატო თანამშრომელი (სეფარდი ებრაელების კულტურული საკმიანობის ფიქსაცია ვენაში, იაპონური და ავსტრიული კულტურული ურთიერთობები, ვენის ფონოგრამარ-ქივში დაცული ქართველი ტყვეების ჩანაწერები).

არის რამდენიმე სტატიის ავტორი კომპიუტერის საშუალებით ქართული მრავალხმიანი სიმღერის გაშიფრვისა და ვენის ქართველ ებრაელთა სათვისტომოს მუსიკალური კულტურის შესახებ.

არის ვენის საერთაშორისო პრესის საზოგადოების წევრი.

NONA LOMIDZE

AUSTRIA/GEORGIA

Master of Music, graduated from Tbilisi State Conservatoire with the specialization in Musicology. She worked as a researcher at Tbilisi Pedagogical Institute and as a lecturer at Tbilisi Musical Academy. She was also a music reviewer for television and press.

She worked as an assistant professor at the Vienna University of Music and Performing Arts (harmony and counterpoint).

At present she is a freelancer at the Phonogrammarchiv of the Austrian Academy of Sciences (Documentation of the Cultural Activities of Sephardic Jews in Vienna, Cultural Relationship between Japanese and Austrian Culture, Recordings of Georgian War Prisoners at Vienna Phonogrammarchiv).

She published several articles on the computerised transcriptions of Georgian polyphonic songs and on the social aspects of the musical culture of the Georgian Jewish community in Vienna.

She is a member of the Society of the International Press in Vienna.

კახეთის სუფრული სიმღერები

რეჟისორები: ჰუგო ზემპი და ნონა ლომიძე

ხანგრძლივობა: 80'

ქართული მრავალხმიანობის უცხოელი მოყვარულები მრავალხმიან კახურ სუფრულ სიმღერებს იცნობენ კომპაქტური დისკებისა და ხალხური მომღერლების საერთაშორისო ტურნეების წყალობით. ფილმში ეს სიმღერები წარმოდგენილია ტრადიციულ კონტექსტში სუფრასთან, რომელსაც თამადა ხელმძღვანელობს. გრძელი სიმღერები და საგულდაგულოდ დამუშავებული სადღეგრძელოები ერთობლიობაშია ნაჩვენები. ვერბალური და მუსიკალური ხელოვნება უნიკალურადაა გადაჯაჭვული.

ქართული სუფრა, პირობითად, მამაკაცების პრეროგატივაა. ცნობილი ხალხური მომღერალი ანდრო სიმაშვილი, ანუ ანდრო პაპა, როგორც მას ეძახიან, აწყობს რეპეტიციებს და ტაძარში მეგობრებთან ერთად გალობს, შემდეგ თამადაობს მამაკაცების კლასიკურ სუფრაზე. ჩვენ ვხედავთ ყურძნის კრეფისა და დანურვის დროს მომღერალ ქალებს, შემდეგ ქალების სუფრას ცნობილი მომღერლის, ლეილა ლევაშვილის თამადაობით, სადაც ანდრო სიმაშვილი საპატიო სტუმარია. და ბოლოს, ამ ფილმის საშუალებით, ის გვაცნობს და აფიქსირებს ტრადიციულ სტილში შექმნილ საკუთარ კომპოზიციებს, ასრულებს მათ თავის ჯგუფთან ერთად და გაითამაშებს ღვინის დანურვის სცენას. ამ ორი მთავარი გმირის სიტყვები და გრძელი სადღეგრძელოები გვეხმარებიან, ჩავნვდეთ ქართულ კულტურულ ღირებულებებს.

TABLE SONGS OF KAKHETI

Director: Hugo Zemp, Nona Lomidze

Duration: 80'

Thanks to CDs and international tours by folk singer groups, lovers of Georgian polyphony from abroad appreciate the specific drone polyphony of Kakhetian table songs. However, this film reveals this song type in the traditional context of banquets (supra), under the presidencies of toastmasters (tamada). Long songs and elaborate toasts are shown in their integrality. Verbal art and musical art are bound together in a unique way. Georgian banquets conventionally are the prerogative of men. Renowned folk singer Andro Simashvili, known as Andro Papa, organizes a rehearsal and sings a religious song with his friends in a chapel, and then leads them, as toastmaster, at a classical men's banquet. We see women singing while harvesting grapes and pressing wine, then at a women's banquet under the presidency of an accomplished female singer Leila Legashvili, where Andro Simashvili is an honored guest. Lastly, through this film, he makes known and preserves his compositions in traditional style, performing them with his group in a staged reenactment of old-time winemaking. Speeches and lengthy toasts by these two main protagonists give important insights into Georgian cultural values.

ფოლკლორული ანსამბლები

ავსტრალია	გორანი მელბურნის ქართული გუნდი ოქროს სანთისი უცხო სუნელი
იტალია	კუნძოვრდუ ლუსურჯეზუ
კანადა	ტრიო კანადიდან
საფრანგეთი	მარანი საჩუქარი
საქართველო	
თბილისი	ანჩისხატის გუნდი ბასიანი ბალოვის უნივერსიტეტის გუნდი დიდგორი გზეთაგზე მთიები სათანაო სახიობა შავნაბადა ძირიანი
აჭარა	ქოგულეთი ჭვანა
კახეთი	პატარა კახი
ქვემო ქართლი	დიდგორი
სამეგრელო	ძველი თაობა ოღოია
სვანეთი	ლაგუშედა
გურია	ტრიო ხელხვავე ამაღლეა
იმერეთი	ტრიო იმერეთი ნადური იამე
საოჯახო ანსამბლები	ბიძინაშვილები (კახეთი) გოგოჭურები (ხევსურეთი) გორდელაძეები (გურია) დონაძეები (თბილისი) ვეშაპიძეები (თბილისი) თურმანიძეები (აჭარა) კუბლაშვილები (მესხეთი) მალაყმაძეები (აჭარა) მელაძეები (თბილისი) ურუშაძეები (თბილისი) ფილფანები (სვანეთი) ჩხანიძეები (გურია) ცინცაძეები (აჭარა)

FOLK ENSEMBLES

AUSTRALIA	GOLDEN FLEECE GORANI MELBOURNE GEORGIAN CHOIR UTSKHO SUNELI
ITALY	CUNCORDU LUSSURZESU
FRANCE	MARANI SACHUKARI
KANADA	TRIO FROM CANADA
GEORGIA	
TBILISI	ANCHISKHATI CHOIR BASIANI CHOIR OF CHANT UNIVERSITY DIDGORI MTIEBI MZETAMZE SAKHIOBA SHAVNABADA DZIRIANI
ACHARA	CHVANA KOBULETI
KAKHETI	PATARA KAKHI
QVEMO KARTLI	DIDGORI
SAMEGREOLO	DZVELI TAoba ODOIA
SVANETI	LAGUSHEDA
GURIA	TRIO KHELKHVAVI AMAGHLEBA
IMERETI	TRIO IMERETI NADURI IAME
FAMILY ENSEMBLES	BIDZINASHVILIS (KAKHETI) GOGOCHURIS (KHEVSURETI) GORDELADZES (GURIA) DONADZES (TBILISI) VESHAPIDZES (TBILISI) TURMANIDZE (GURIA) KUBLASHVILIS (MESKHETI) MALAKMADZES (ACHARA) MELADZES (TBILISI) URUSHADZES (TBILISI) PILPANES (SVANETI) CHKHAIDZES (GURIA) TSINTSADZES (ACHARA)



კუნკორდუ ლუსურჯესუ

სარდინია, იტალია

სოფელი სანტუ ლუსურჯესუ მდებარეობს ცენტრალურ სარდინიაში, ზღვის დონიდან 550 მეტრზე, მონტე ფერუს მთის ძირში. მისი სახელი IV ს.-ის ქრისტიანი წამებულის წმ. ლუსორიოს სახელიდან მოდის. სოფელში დღემდე შემონახულია კონკორდუს სიმღერის ტრადიცია – ზეპირი გზით გადმოცემული ოთხხმიანი გალობა ტრადიციულ ლიტურგიკულ, რელიგიურ და საერო ტექსტებზე.

სხვადასხვა ხმა – *basu*, *’oghe*, *kontra*, *kontraltu* მწკრივებიან ბანიდან მაღალ ხმამდე, ქმნიან არაჩვეულებრივ ჰარმონიას, საიდანაც სიმღერა იქმნება. მომღერლები წრიული პრინციპით მღერიან და უწყვეტი ვოკალური და სმენითი კონტაქტის საშუალებით ახდენენ ბგერის მოდულაციას. წრე სოციალური კავშირის სიმბოლოცაა, რომელიც გამოხატულია სიტყვით *კუნკორდუ*. ეს საგალობელი სარდინიის მუსიკალური მემკვიდრეობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია.

ანსამბლის საერო რეპერტუარი შედგება სხვადასხვა საგალობლისგან. სარდინიულენოვანი ტექსტი ძირითადად მოიცავს სატრფიალო სიმღერებსა და აგროპასტორალურ თემებს, ხასიათდება ექსპრესიულობით და ძლიერი რიტმით გამოცოცხლებული ცეკვის სურვილს ბადებს, რაც, ასევე, მყარი სარდინიული ტრადიციაა.

1984 წ. სანტუ ლუსურჯესუ ტრადიციული საგალობლების სიყვარულით გაერთიანებული ანსამბლი *კუნკორდუ ლუსურჯესუ* მონაწილეობდა ვნების კვირის მხოლოდ ადგილობრივ ლიტურგიკულ მსახურებებში.

1995 წელს ჯგუფმა დაიწყო მოგზაურობა სარდინიის სხვა ნაწილებში, იტალიასა და ევროპაში. კვლევისა და მრავალხმიან მემკვიდრეობაზე ზრუნვის გარდა, ისინი მონაწილეობენ თეატრალურ წარმოდგენებში. ანსამბლი, ასევე, არის ორგანიზატორი და დამფუძნებელი ცნობილი მუსიკალური ღონისძიების *კანტიგოს ინ კარელა*, რომელშიც 2013 წელს მონაწილეობა მიიღო ცნობილმა ქართულმა ანსამბლმა *რუსთავი*.

CUNCORDU LUSSURZESU

SARDINIA, ITALY

Santu Lussurgiu is a village located in the center of Sardinia at the foot of Monte Ferru at an altitude of 550 mt .

Its name derives from its devotion to Saint Lussorio, a cristian martyr killed in the fourth century.

The village has preserved its traditional culture and artisanship in an exemplary way.

It is known not only for its excellent agricultural products but also for the ability of its horsemen. During the *Mardi Gras* festivities they race along the narrow main street of town (*Sa Carrela ‘e nanti*) in a show of equestrian ability.

From a musical point of view it is one of the few places that has maintained, for generations , the practice of singing a *cuncordu* , a type of chant that consists of an intonation of four voices using traditional liturgic, religious and profane texts, passed down orally.

The different voices, *bassu*, *’oghe*, *contra*, *cuntraltu* range from bass to high, and are characterized by different techniques of vocal emissions. The perfect fusion of the four voices, creates the harmonies from which the songs are developed.

The circular position in wich the singers place themselves, serve to create this fusion and also allows the singers to modulate the sound through constant visual and auditory contact. This circle is also a symbol of the social bond expressed by the name *cuncordu*, and makes this chant one of the most intense expressions of Sardinia’s musical heritage. The profane repertoir of *Santu Lussurgiu* is composed of different chants allways beginning with *sa ‘oghe* . The texts in sardinian language are composed generally of love songs or agropastoral themes and are caracterized occasionally by expressive force or in the case of *Ballu’e cantigu*, animated by a strong rythm to provoke dancing, another strong sardinian tradition.

Formed in 1984 by four friends sharing a common passion for the traditional chants of *Santu Lussurgiu*, *Cuncordu lussurzesu* initially performed locally during the Holy week functions of *Su nazarenu* and *Il settenario de Sette Dolores* .

In 1995 it began to tour, performing in numerous parts of Sardinia , Italy and Europe.

Aside from research, preservating and promoting this precious polivocal heritage from *Santu Lussurgiu*, *Cuncordu* has participated in numerous theatrical performances.

It is also the organizer and promoter of the well known musical event, *Cantigos in Carrela*, in which the highly apreciated georgian chorus *Rustavi* participated in 2013.



გორანი ავსტრალია

ავსტრალიური ანსამბლი გორანი ცხრა მამაკაცისაგან შედგება. რეპერტუარი, ძირითადად, ქართულ და ბულგარულ ხალხურ სიმღერებს მოიცავს. სიტყვა გორანი ნიშნავს მკაცრ მთებსა და ნისლიან ტყეებს, რომლის წიაღშიც არაერთი სიმღერა შობილა. ანსამბლს ხელმძღვანელობენ ქართველი ეთნომუსიკოლოგი იოსებ ჟორდანია და ბულგარელი იან ვიტჩეფი. ანსამბლი 1992 წელს დაარსდა. გორანი ხშირად მოგზაურობს საქართველოსა და ბულგარეთში. 2002 წლიდან მონაწილეობს თბილისის ყველა სიმპოზიუმში, მონაწილეობდა გურული სიმღერების ფესტივალში (2004), გამოდიოდა, აგრეთვე, ბულგარეთის საერთაშორისო ფესტივალებსა და კულტურულ ცენტრებში, მათ შორის – ფილიპ კოუტევის პრესტიჟულ ფოლკლორულ სკოლაში. გორანი ორივე ამ ქვეყნის სატელევიზიო გადაცემების მონაწილეცაა.

2003 წელს ავსტრალიაში მიწვეულმა გურულმა მომღერალმა ვაჟა გოგოლაძემ ანსამბლს არაერთი სიმღერა შეასწავლა. ამავე მიზნით, 2004 წელს ისინი ცნობილ ლოტბარს მშობლიურ ჩოხატაურში სტუმრობდნენ. გორანი მონაწილეობდა ავსტრალიაში გამართულ არაერთ ფესტივალსა და მუსიკალურ ღონისძიებაში (1992–2008), აგრეთვე – ავსტრალიის რადიო და სატელევიზიო გადაცემებში. გამოცემული აქვს: *ჰარმონიის კვალდაკვალ* (Chasing Harmonies, 2008), *გორანი* (1999). მონაწილეობდა სამ დისკში სერიიდან *The Boite's* (1999–2007), რომელთაგან ერთ-ერთს ეწოდება *მრავალჯამიერი* – იგი ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ადგილობრივი ჯგუფებისთვის ქართული ხალხური სიმღერის სიმბოლოს წარმოადგენს.

GORANI AUSTRALIA

The nine voice male singing ensemble from Australia specializes in the performance of traditional songs from Georgia & Bulgaria. The name *Gorani* refers to the harsh mountains, misty forests, and indomitable cultures that are the sources of many of these songs. Founded in 1992, *Gorani* includes leading Georgian ethnomusicologist Joseph Jordania, and Bulgarian born musician, Ian Vitcheff. The ensemble has toured twice to Georgia and Bulgaria, where they have performed in the first two Tbilisi Symposia (2002, 2004), the International festival of Gurian Song (2004), and also in international festivals and community cultural centers in Bulgaria, including the prestigious Philip Koutev Folkloric School. *Gorani* appeared on television and radio in both countries. The group has also toured and studied with the Gurian singer Vazha Gogoladze on his 2003 tour of Australia, and also at his home in Chokhlatauri village (Guria), in 2004. *Gorani* has performed at major folk festivals and local community music events within Australia (1992–2008), and was featured on Australian National radio and television. Discography: *Chasing Harmonies* (2008), *Gorani* (1999), Featured on 3 of the *Boite's* CDs (1999–2007), including *Mravalzhamier* which showcases Georgian songs performed in Australia and New Zealand by local groups. *Gorani* singing will also be featured on a new Australian TV documentary *The Real Hobbits* about the discovery of a new species of human, *Homo floresensis*.

მარანი საფრანგეთი



ანსამბლი მარანი არის პარიზში არსებული ვაჟთა გუნდი რომელიც ქართულ რეპერტუარს ასრულებს; ჯგუფი შეიქმნა 1993 წელს და საფრანგეთის ქართული სათვისტომოს მხარდაჭერით სარგებლობს. 1998 წელს, პირველი აუდიო ალბომის *სუფრა* გამოსვლის შემდეგ, ანსამბლს ახალგაზრდა ფრანგი და ქართველი მომღერლები შეუერთდნენ. თავიდან ჯგუფს მისი დამფუძნებელი ფრანკ კეინი, შემდეგ ბერტრან ლამბოლეზი ხელმძღვანელობდნენ, 2012 წლიდან კი მას სათავეში ტარიელ ვაჩაძე ჩაუდგა. მარანის რეპერტუარი წლების მანძილზე ყალიბდებოდა და მუდმივად მდიდრდება. ანსამბლს გამოშვებული აქვს ორი აუდიო ალბომი: *სუფრა* და *ერთად*.

უცხო სუნელი ავსტრალია



უცხო სუნელი არის ავსტრალიური ქალთა სასიმღერო ჯგუფი, რომელიც ქართულ ტრადიციულ მრავალხმიან ნიმუშებს ასრულებს. მისი სახელწოდება, სიტყვა-სიტყვით „უცხოური სანელებელი“, მომდინარეობს სანელებლის სახელწოდებიდან, რომელიც ძალიან პოპულარულია ქართულ სამზარეულოში. ამ სახელწოდებით, ერთდროულად, ხაზგასმულია, როგორც ჯგუფის წევრების არაქართული წარმომავლობა, ისე მათი გატაცება ქართული მუსიკით. უცხო სუნელი, რომელსაც ქართველი ეთნომუსიკოლოგი, ნინო ციციშვილი ხელმძღვანელობს, ასრულებს ქართულ ხალხურ სიმღერებს როგორც ავსტრალიაში, ისე საქართველოში.

MARANI FRANCE

The *Marani* ensemble, a men's choir of Georgian traditional song, the Paris-based group formed in 1993, enjoys the support of the Georgian community in France. Since their first album *Supra* released in 1998, the ensemble recruited young French and Georgian singers. Originally directed by its founder Frank Kane, and later by Bertrand Lambolez, since 2012 the ensemble has been directed by Taniel Vachadze. *Marani* has established its repertoire over years. *Marani* has released two audio albums: *Supra* and *Together*.

UTSKHO SUNELI AUSTRALIA

Utskho Suneli is an Australian women's singing group which specializes in Georgian traditional polyphonic songs. *Utskho Suneli*, literally "strange spice", takes its name from a food spice very common in Georgian cuisine, and underlines the group's non-Georgian background and its fascination with Georgian music. *Utskho Suneli* has performed in Australia and Georgia, and is led by an Australian Georgian ethnomusicologist Nino Tsitsishvili.

მელბურნის ქართული გუნდი ავსტრალია



შეიქმნა 2011 წელს ქართული მუსიკით დაინტერესებული პირებისგან, რომლებიც რეგულარულად იკრიბებიან და სწავლობენ ქართულ ხალხურ სიმღერებს და რომელთაც სურთ უფრო მეტი ისწავლონ ქართულ კულტურაზე.

გუნდის ხელმძღვანელები არიან ცნობილი ქართველი ეთნომუსიკოლოგები, დოქტორები იოსებ ჟორდანიას და ნინო ციციშვილი, რომლებიც ავსტრალიაში 1995 წლიდან ცხოვრობენ. მათი დამსახურებაა, რომ ბევრი ავსტრალიური ჯგუფის სურვილია თავის რეპერტუარში შეიტანოს ქართული სიმღერები და მონაწილეობა მიიღოს ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმებში.

ამ ჯგუფების წევრებს ამჟამად საშუალება აქვთ ერთად იმღერონ *მელბურნის ქართულ გუნდში* და შეასრულონ ტრიოების, ქალთა, მამაკაცთა და შერეული გუნდების მრავალფეროვანი რეპერტუარი.

MELBOURNE GEORGIAN CHOIR AUSTRALIA

The Melbourne Georgian Choir was formed in late 2011 from a group of people interested in music of Georgia, who meet regularly to learn and perform traditional and contemporary Georgian songs, and who are also interested in learning more about Georgian culture.

The choir is led by Dr. Joseph Jordania and Dr. Nino Tsitsishvili, celebrated ethnomusicologists from Georgia who have been living and working in Australia since 1995. Their influence has inspired many Australian vocal groups to adopt Georgian songs into their repertoire and attend the International Symposium on Traditional Polyphony numerous times.

Singers from these groups now have the opportunity to sing together in the *Melbourne Georgian Choir* and present concerts with a more diverse program of trio, female and male ensembles and the full mixed Choir.

ოქროს სანძისი ავსტრალია



ოქროს სანძისი ქართული სიმღერის პირველი შემსრულებელი ანსამბლია ავსტრალიაში. ესაა შერეული ტრიო. იგი შეიქმნა 1996 წლის დასაწყისში ქართველი ეთნომუსიკოლოგების ნინო ციციშვილისა და იოსებ ჟორდანიას და გერმანელი მუსიკოსის კრისტოფ მაუბახის შემადგენლობით. ანსამბლმა ჩაატარა ტური აშშ-ში 1997 წელს და გამოუშვა კომპაქტდისკი 1999 წელს. ანსამბლს მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალრიცხოვან ფესტივალებში, გამოვიდა ავსტრალიურ რადიოსა და ტელევიზიაში. 2008 წელს კრისტოფ მაუბახის ახალ ზელანდიაში გადასვლის შემდეგ ანსამბლში მოვიდა ინგლისელი მუსიკოსი დევიდ რობინსონი.

GOLDEN FLEECE AUSTRALIA

Golden Fleece was the first ensemble of Georgian traditional singing in Australia. it is a mixed trio. The ensemble was formed in the beginning of 1996, by Georgian ethnomusicologists Nino Tsitsishvili and Joseph Jordania, together with German musician Christoph Maubach. The ensemble toured USA in 1997 and released a CD in 1999. Golden Fleece participated in many national festivals in Australia, had National radio and TV appearances. After the move of Christoph Maubach to New Zealand in 2008, an English musician, David Robinson joined the ensemble.



საჩუქარი საფრანგეთი

ტრიო საჩუქარის წევრებს აერთიანებს საქართველოს, მისი ხალხისა და მრავალხმიანობის სიყვარული. ჯგუფის წევრები უკვე 10 წელია ერთად მღერიან, ესენი არიან: ერეკლე როლანი – ხალხური და ჯაზის მუსიკოსი; კოლონ ლეკა-ვარდა, რომლის ქართული წარმოშობის ბაბუა დედის მხრიდან არის მწერალი, სტამბის მკინძავი; და კანადელი მოცეკვავე და ქორეოგრაფი – კატი ფერი, რომლებმაც გააერთიანეს თავისი გამოცდილება. ისინი ერთად მღეროდნენ ჯგუფში ანჟეროჟიენ, რომელიც მხოლოდ ქართულ რეპერტუარს ასრულებდა. ტრიოს რეპერტუარი გაამდიდრეს ინსტრუმენტებით: ჩონგური და ფანდური, განაახლეს თავისი ქართველი მეგობრის ეთნომუსიკოლოგ სოსო კოპალეიშვილისა და ქართველი ლოტბარების დახმარებით. საქართველოში სამჯერ მოგზაურობისას სოსო კოპალეიშვილის, ისლამ და ვახტანგ ფილფანების მასტერ-კლასებში მონაწილეობის შედეგად ჯგუფმა რეპერტუარში შეიტანა სხვადასხვა ჟანრის ხალხური ნიმუშები.

ტრიოს მიზანია დაეხმაროს ადამიანებს, აღმოაჩინონ საქართველო და მისი კულტურა სიმღერების, ერეკლე მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმებისა და ფოტო გამოფენის საშუალებით. ტრიომ ორჯერ მიიღო მონაწილეობა ნანტი-თბილისის ასოციაციისგან. 2015 წელს მათ მონაწილეობა მიიღეს ბათუმის ხალხური და საეკლესიო მუსიკის ფესტივალში. ამ ყველაფრით აღფრთოვანებული ტრიოს წევრები აგრძელებენ რეპერტუარის გამდიდრებას და თავის ცოდნას უზიარებენ მომღერლებს საფრანგეთსა და საქართველოში.

SATCHUKARI FRANCE

This is the name that this trio has chosen to be able to share its passion of Georgia, its people and polyphonic singing. They have been singing together for 10 years. Hervé Rolland is a folk and jazz musician. Colombe Lecat-Warda, who is of Georgian origin through her maternal grand-father, is a storyteller and book-binder. Cathy Ferri, who is Canadian, is a dancer and choreographer. They met through the vocal group “Angeorgien” whose repertoire was exclusively Georgian. Their respective fields led them to pool their experiences. As for their repertoire, it has been enriched with instruments such as the tchonguri and panduri, and renewed with the regular accompaniment of their Georgian friend and ethnomusicologist Soso Kopaleishvili, and through closely studying the masters of Georgian polyphonic singing. Three study trips to Georgia, as well as seminars and in-depth workshops with Soso Kopaleishvili, Islam and Vartang Pilpani, have allowed them to bring to light and put into practice a wide range of everyday Georgian songs.

Their objective is to encourage people to discover Georgian culture through songs, documentaries made by Hervé and photo exhibitions. The Trio has also been invited to sing on two occasions for the Nantes – Tbilissi Association. In 2015 it had the privilege to participate in the Batumi Folk and Sacred Music

Festival. Encouraged by these wonderful experiences, Satchukari continues to enrich its work and when the occasion arises, doesn't hesitate to share these songs with other singers in France and Georgia.

ტრიო კანადიდან კანადა



გაბრიელ მახარაშვილი, ანდრეა კუზმიჩი და მარიო მორელო წარმოადგენენ ტორონტოში პოპულარულ ორ მრავალხმიან ტრადიციას: ქართულ მრავალხმიანობას და უკრაინულ რადნი ჰოლოს (უკრაინულ სოფლურ სიმღერას). ანდრეა – ეთნომუსიკოლოგი და შემსრულებელი – და მისი ვაჟი გაბრიელი, მახარაშვილების მომღერალი ოჯახის წევრები არიან, რომლებიც, ქართულ მრავალხმიან სიმღერებს ასრულებენ, ძირითადად, ოჯახურ თავყრილობებსა და კალენდარულ დღესასწაულებზე; თუმცა, სხვადასხვა ჯგუფის შემადგენლობაში ტორონტოს, ნიუ იორკის და საქართველოს სცენებზეც უმღერიათ. მარიო, ეთნომუსიკოლოგი, ბალკანური სიმღერების სპეციალისტი, რომელიც ამჟამად სწავლობს ქართულ მრავალხმიანობას, ანდრეასა და გაბოსთან ერთად შეასრულებს სიმღერებს მახარაშვილების რეპერტუარიდან. როგორც ჯგუფ კალინდარის – რადნი ჰოლოსის შემსრულებელი ტორონტოში არსებული ერთადერთი ანსამბლის წევრები – მარიო და ანდრეა, ასევე, ასრულებენ უკრაინულ ტრადიციულ ღუეტებს, უმეტესად, ცენტრალური და აღმოსავლეთ უკრაინის სარიტუალო რეპერტუარიდან.

TRIO FROM CANADA CANADA

Gabriel Makharashvili, Andrea Kuzmich and Mario Morello represent two polyphonic traditions that are practiced in Toronto: Georgian polyphony and Ukrainian *ridny holos* (Ukrainian village voice). Andrea – an ethnomusicologist and performing musician – and her son Gabriel are both part of the Makharashvili family, a singing family that performs Georgian polyphony primarily in private settings for marked family and calendric events; however, in different formations the Makharashvili family have had a chance to make cameo appearances on stages in Toronto, New York and Georgia. Mario, an ethnomusicologist, Balkan-singing specialist and student of Georgian polyphony, will join Andrea and Gabo to sing songs from the Makharashvili repertoire. As members of KalynDar – Toronto's only ensemble dedicated to the performance of *ridny holos* – Mario and Andrea will also perform a number of traditional Ukrainian duets, mostly ritual songs from Central and North East Ukraine

ანჩისხატის გუნდი

თბილისი, საქართველო



ჩამოყალიბდა 1988 წ., თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. 2007 წლამდე ხელმძღვანელობდა ეთნომუსიკოლოგი, სოციოლოგიის დოქტორი მალხაზ ერქვანიძე. 1989 წლიდან ანსამბლმა ანჩისხატის ტაძარში დაიწყო გალობა და დიდი წვლილი შეიტანა ქართულ საეკლესიო ლეთისმსახურებაში მივიწყებული ძველი ქართული გალობის აღდგენისა და დამკვიდრების საქმეში. პარალელურად გუნდი ხალხურ სიმღერებსაც მღეროდა. მათ მიზნად დაისახეს საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი საშემსრულებლო მანერის შენარჩუნება და, შეძლებისდაგვარად, ხალხური ნიმუშების ძველ ქართულ ბგერათწყოებაში აჟღერება.

ანჩისხატელებს გამოცემული აქვთ 20 CD, ასევე, საგალობლებისა და ხალხური სიმღერების არაერთი სანოტო კრებული. დღეისათვის გუნდში 11 წევრია, რომელთა შორის არა მხოლოდ მუსიკოსები არიან. გუნდის დირექტორია ზაალ წერეთელი, ხოლო შემოქმედებით საკითხებს მისი წევრები ერთობლივად წყვეტენ. გუნდს ხშირად აქვს საგასტროლო ტურნეები და მასტერკლასები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

2015 წელს ანჩისხატის გუნდმა დაარსების 25 წლისთავი საიუბილეო კონცერტით აღნიშნა, მომზადდა და გამოიცა კომპაქტდისკი – ნადი. მასში შევიდა სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერების საარქივო ნიმუშები, რომელთა უმრავლესობა თვით ანსამბლის მიერ არის აღდგენილი. ფონდმა ქართულმა გალობამ ქართული ტრადიციული მუსიკის აღორძინების საქმეში განუღებელი ღვაწლისათვის 2015 წელს ანჩისხატის გუნდი სპეციალური პრემიით დააჯილდოვა.

ANCHISKHATI CHOIR

TBILISI, GEORGIA

Anchiskhati Choir was founded at the Tbilisi State Conservatoire in 1988. The original aim of the choir was to restore regional performance styles from various regions of Georgia. From 1989 the choir became interested in Georgian church hymn and began chanting at the 6th century Anchiskhati Church, in Tbilisi. The revival of canonical church chant in the 1990s can largely be credited to the recordings, performances, research, and publishing activities of the choir. From the day of its inception until 2002 the choir was directed by Malkhaz Erkvanidze, an employee of Tbilisi State Conservatoire.

Not all of the choir's 11 current members are professional musicians. The group is now directed by Zaal Tsereteli, but creative problems are jointly solved by all members. Their repertoire includes Georgian chants and folk songs, many of which have been revived by Anchiskhati members. The choir often tours and gives masterclasses in different countries all over the world. The Choir has released 19 CDs, several collections of chants, and transcriptions of folk songs.



ბასიანი

თბილისი, საქართველო

ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი ბასიანი 2000 წელს, საქართველოს საპატრიარქოში ჩამოყალიბდა და 13 წელი საქართველოს საპატრიარქოს ფოლკლორულ ანსამბლად იწოდებოდა. 2013 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარდგინებითა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ბასიანი დაფუძნდა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი და მიენიჭა საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი. ანსამბლის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელია გიორგი დონაძე.

ანსამბლის რეპერტუარი ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ტრადიციულ საეკლესიო საგალობლებს მოიცავს. სიმღერებს შეისწავლიან უნიკალური საარქივო ფონო და სანოტო ჩანაწერებიდან ან უშუალოდ ხალხური მომღერლებისაგან. ანსამბლმა აღადგინა და გააცოცხლა ტრადიციული ფოლკლორის მრავალი მივიწყებული ნიმუში.

ბასიანს გამართული აქვს ასეულობით კონცერტი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, გამოდის მსოფლიოს სახელგანთქმულ საკონცერტო დარბაზებში და მონაწილეობს მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ ფესტივალებში. 2010 წელს ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ლინკოლნ ცენტრში (ნიუ იორკი, აშშ) გამართულ *Mostly Mozart Festival*-ის კონცერტში, სადაც ბასიანსა და სხვა კლასიკოსი კომპოზიტორების ნაწარმოებების გვერდით პირველად შესრულდა ქართული მრავალხმიანი სიმღერა-გალობა. 2012 წელს ბასიანმა კიდევ ერთხელ გამართა კონცერტი ლინკოლნ ცენტრში.

ბასიანი თანამშრომლობს გამოჩენილ უცხოელ ეთნომუსიკოლოგებთან. გამოცემული აქვს არაერთი აუდიოალბომი. ყველაზე მასშტაბური ნამუშევარია ოთხდისკიანი ალბომი, რომელშიც შესულია 2009–2013 წლებში ანსამბლის მიერ ჩაწერილი 102 სიმღერა და საგალობელი (2013). 2016 წელს გამოიცა ანსამბლის უახლესი ნამუშევარი – ქართული ტრადიციული სიმღერა-გალობის 50-მდე ნიმუში.

დღემდე ანსამბლს ჩაწერილი და გამოცემული აქვს 300-ზე მეტი ქართული ტრადიციული სიმღერა და საგალობელი.

BASIANI

TBILISI, GEORGIA

The Folk Song Ensemble *Basiani* was founded in 2000 at the Georgian Patriarchate. In 2013 the Georgian Ministry of Culture and Monument Protection granted *Basiani* the status of “State Ensemble.”

Giorgi Donadze is the founder and artistic director of *Basiani*.

Most of the group's members come from traditional families of singers or have sung folk songs in various ensembles since childhood. *Basiani's* repertoire includes Georgian folk songs and traditional church hymns. They study songs from unique archival recordings, notations, and from renowned old generation folk singers in various parts of Georgia. The ensemble has revived many examples of traditional folklore previously thought lost.

Basiani has given hundreds of concerts in Georgia, at internationally renowned concert venues, and has participated in some of the most prestigious festivals in the world. In 2010 alongside the works by Bach and other classical composers *Basiani* performed Georgian polyphonic songs and chants in Mostly Mozart Festival concert at Lincoln Center. The concert was widely covered by American press including *The New York Times* and *The Wall Street Journal*. In 2012 *Basiani* performed at the *White Light Festival* at Lincoln Center.

Basiani has collaborated with renowned Western ethnomusicologists and has published a number of audio albums. The Ensemble's most significant large-scale work is a 4CD album (2013) which includes 102 folk songs and traditional church hymns revived and recorded by the group in 2009–201. A collection of approximately 50 examples of Georgian traditional song and chant was released in 2016.

All together *Basiani* has recorded and released over 300 examples of Georgian traditional songs and church hymns.



გალობის უნივერსიტეტის გუნდი თბილისი, საქართველო

გიორგი მთანმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი სათავეს იღებს ქართული საგალობლისა და სიმღერის საერთაშორისო ცენტრიდან, რომელიც 2006 წელს დაფუძნდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა – თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის მიერ, როგორც პატრიარქის საქველმოქმედო ფონდის სტრუქტურული ერთეული. უნივერსიტეტი სპეციალიზებულია ქართული საეკლესიო გალობის რეგენტებისა და ხალხური სიმღერის ლოტბარების აღზრდაზე. მისი დაარსება მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა იყო, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს მართლმადიდებლურ ტაძრებში პროფესიონალ მაგალობელთა გუნდების ჩამოყალიბებასა და ტრადიციული ქართული გალობის აღდგენას, ასევე, მისგან განუყოფელი ტრადიციული საერო სიმღერის ცოდნის გავრცელებას მთელს საქართველოში. უნივერსიტეტის კურსდამთავრებული რეგენტები და ლოტბარები წარმატებით მუშაობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში – გურიაში, შიდა ქართლში, სვანეთში, იმერეთში, კახეთში და ა.შ.

გალობის უნივერსიტეტის გაერთიანებული გუნდი აქტიურ საფესტივალო ცხოვრებას ეწევა. ის სტუდენტური დღეების ხალხური სიმღერის ნომინაციის ორგზის გამარჯვებულია (2015, 2016). 2016 წლის 14–17 ივლისს გუნდმა მონაწილეობა მიიღო ლიტვის (კლაიპედა) საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში – Parbeg laivelis.

THE CHOIR OF CHANT UNIVERSITY TBILISI, GEORGIA

THE UNIVERSITY FOR CHANT BEGAN AS PART OF THE “INTERNATIONAL CENTER FOR GEORGIAN CHANT AND SONG.” FOUNDED IN 2006 BY HIS HOLINESS AND BEATITUDE, ILIA II, CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA, THE ARCHBISHOP OF Mtskheta-Tbilisi and Metropolitan bishop of Bichvinta and Tskhum-Abkhazia, the center is part of the Patriarch’s charity foundation. The university specializes in the education of Georgian Church choir directors and choir- masters of Georgian folk song. Its foundation was a significant, in that it greatly contributed to the creation of professional chanters’ choirs at Georgia’s orthodox churches, as well as to the revival of Georgian traditional chant. The organization also works to help spread knowledge of Georgian secular song throughout the country.

The church choir directors and choir-masters, all alumni of the university, successfully carry out their activities in various parts of Georgia, including – Guria, Shida kartli, Svaneti, Imereti, and Kakheti.

The united choir of Chant University takes an active part in festivals. The choir was the folk song nomination winner of the “Students’ Days” (2015-2016). On 14 –17 July the choir participated in the International Folk Festival “Parbeg laivelis” in Klaipeda, Lithuania.



დიდგორი

თბილისი, საქართველო

მგალობელ-მომღერალთა გუნდი დიდგორი 2004 წელს შეიქმნა (ხელმძღვანელი ლევან წიტიშვილი). მისი დებიუტი 2006 წელს შედგა. 1121 წელს დავით აღმაშენებლის წინამძღოლობით დიდგორის ველზე ქართველთა გამარჯვების აღსანიშნავად ანსამბლს სახელი არქიმანდრიტმა იოანემ (კიკვაძე) შეურჩია.

2007 წლის ოქტომბრიდან დიდგორი ხელმძღვანელის გარეშე აგრძელებს მოღვაწეობას. გამართული აქვს სამი სოლო კონცერტი თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში (2007, 2008, 2011). დიდგორის საშემსრულებლო სტილი ტრადიციულია და საზრდოობს საარქივო ჩანაწერებით, მოიძიებს და აღადგენს ძველ ოსტატთა ნამღერ ვარიანტებს.

დიდგორი აქტიურად მოღვაწეობს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. 2012 წლიდან ანსამბლი პროექტის ჩემო კარგო ქვეყანავ ფარგლებში მართავს კონცერტებს რეგიონების ადგილობრივ მომღერლებთან ერთად. 2013 წ. რიგაში სასულიერო მუსიკის XVI საერთაშორისო ფესტივალზე დიდგორი და ლატვიის სახელმწიფო გუნდი წარსდგა ერთობლივი კონცერტით, რომელზეც შესრულდა ქართული ტრადიციული მუსიკის მოტივებზე ლატვიელი კომპოზიტორების მიერ ამ პროექტისათვის შექმნილი ნაწარმოებები, მათში ორგანულად ჩართული ქართული ავთენტური სიმღერა-გალობით. კონცერტი განმეორდა თბილისის VII სიმპოზიუმის ფარგლებში თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში (2014).

ქართული სიმღერის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის, ნომინაციაში ახალი თაობა, დიდგორს გადაეცა ფონდ ქართული გალობის ჯილდო და სიგელი (2015). იგი 2015-16 წწ. საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის პირველი ადგილის პრიზიორია.

ანსამბლი გალობს თბილისის წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარში. გამოცემული აქვთ სამი აუდიოალბომი.

DIDGORI

TBILISI, GEORGIA

Under the direction of Levan Tsitaishvili, *Didgori* was formed in 2004 by a group of young people who loved folk song. Their debut was in 2006. The name of the group was selected by archimandrite Ioane Kikvadze and is a reference of the Georgians' historic victory over Seljuks in the *Didgori* valley. Since 2007 *Didgori* carries out its activity without a leader. They held three solo concerts (2007, 2008, 2011) at the Grand Hall of Tbilisi State Conservatoire. *Didgori* conforms to a traditional performance style and manner. The group revives the variants of old masters' through the study of archival recordings.

Didgori takes an active part in concerts and festivals both in and outside of Georgia. In 2012 the Ensemble initiated the project *My beloved country*, as part of which it travels to various regions of Georgia, meets local singers, and participates in joint concerts. In September, 2013 *Didgori* and *Latvian State Choir* performed in the concert with joint repertoire, created especially for this project, consisting of the pieces by Latvian authors composed on the motifs of Georgian traditional music. The concert was repeated as part of the Tbilisi 7th International Symposium at the Grand Hall of Tbilisi State Conservatoire in 2014.

For its contribution to the popularization of Georgian folk song, the *Georgian Chanting Foundation* awarded *Didgori* with a prize and deed. The ensemble is the first prize-winner of the 2015-2016 National Folklore Inspection-Festival.

Didgori chants at Prophet Elias Church in Tbilisi and has released three CDs.

მზეთამზე

თბილისი, საქართველო



MZETAMZE

TBILISI, GEORGIA

Female folk ensemble *Mzetamze* was founded in 1986. All of its seven members are alumnae of the Tbilisi State Conservatoire. In the history of Georgian folk song performance *Mzetamze* is the first group which has sought out, studied, and performed solely traditional female repertoire.

The Ensemble's creative creed is to perform with the closet attention to the music's original form and context. *Mzetamze's* repertoire encompasses all genres of female folklore: lullabies, healing songs, weather songs, glorifying God, work songs, wedding songs, dirge songs, ritual round dances and dance songs. It was thanks to *Mzetamze* that most of this repertoire has been made available to a wider audience.

Mzetamzes activities are fairly diverse: field expeditions, scientific-research activity, public and charity lecture-concerts, international conferences and tours, festivals, TV and Radio programs, and concert tours and work-shops in European countries (Switzerland, Germany, Austria, Belgium, Slovenia, Italy, France, UK, Russia, Ukraine, Lithuania, Latvia). The ensemble has been featured in documentary and feature films and its recordings have been released in Switzerland, Germany, UK, Georgia. In 2016 *Georgian Chanting Foundation* awarded *Mzetamze* in the nomination Beneficents of Georgian Folklore for its contribution to the revival and popularization of folk traditions.

ქალთა ფოლკლორული ანსამბლი *მზეთამზე* 1986 წელს შეიქმნა. მისი შვიდივე წევრი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული ეთნომუსიკოლოგია. ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობის ისტორიაში *მზეთამზე* პირველი ჯგუფია, რომელმაც ქალთა ტრადიციული რეპერტუარის მოძიება, შესწავლა და გამომზეურება დაიწყო.

ანსამბლის შემოქმედებითი მრწამსი პირველად შემსრულებლობასთან მაქსიმალური სიახლოვეა. *მზეთამზის* რეპერტუარი მოიცავს ქალთა ფოლკლორის ყველა ჟანრს: სააკვნო, სამკურნალო, ამინდის სავედრებელ, ღვთის სადიდებელ, შრომის, საქონილო, სამგლოვიარო ნიმუშებს, რიტუალურ ფერხულებსა და საცეკვაო სიმღერა-დასაკრავებს. მათი უმრავლესობა საზოგადოების ფართო წრეებისთვის სწორედ ამ ანსამბლის წყალობით გახდა ცნობილი.

მზეთამზის მოღვაწეობა მეტად მრავალფეროვანია: ექსპედიციები, სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მოღვაწეობა, საჯარო და საქველმოქმედო ლექცია-კონცერტები; საერთაშორისო კონფერენციები თუ სიმპოზიუმები, ფესტივალები, ტელე და რადიოგადაცემები; საკონცერტო ტურნეები და ვორქშოპები ევროპის ქვეყნებში (შვეიცარია, გერმანია, ავსტრია, ბელგია, სლოვენია, იტალია, საფრანგეთი, ბრიტანეთი, რუსეთი, უკრაინა, ლიტვა, ლატვია). ანსამბლი გადაღებულია დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებში. მისი ჩანაწერები გამოცემულია შვეიცარიაში, გერმანიაში, ბრიტანეთში, საქართველოში.

2016 წელს ფოლკლორული ტრადიციების აღდგენა-პოპულარიზებაში შეტანილი წვლილისათვის *მზეთამზე* დაჯილდოვდა ფონდ ქართული გალობის მიერ დაწესებულ ნომინაციაში ქართული ფოლკლორის მოამაგენი.

**ედიშერ და გიგი
გარაყანიძის
სახელობის
ეთნომუსიკის
თეატრი მთიები
თბილისი, საქართველო**



ანსამბლი *მთიები* 1980 წელს ცნობილმა ეთნომუსიკოლოგმა ედიშერ გარაყანიძემ დააარსა. პირველად შემსრულებლობაზე ორიენტირებულმა შემოქმედებითმა პრინციპებმა *მთიები* ავთენტური მიმართულების პიონერად აქცია საქართველოში. მის მიერ შესრულებულ სიმღერებში დაცულია სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი არტიკულაცია, შესრულების მანერა და სინკრეტიზმი.

მთიების მიერ აღდგენილ *ალილოსა* და *ჭონას* ბოლო წლებში საახალწლო *კირიალესა* და *ხატობის* წეს-ჩვეულება შეემატა, რის შედეგად თანამედროვე საქართველოში კვლავ აღდა მათი შესრულების მივიწყებული ტრადიცია.

აღსანიშნავია ანსამბლის საგანმანათლებლო და საქველმოქმედო მოღვაწეობა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

მთიები არაერთი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატია (ლიტვა, დანია, რუსეთი, ესპანეთი/ბასკეთი, უკრაინა, პოლონეთი, გერმანია და სხვ.). ჯგუფის პირველი თაობის წარმომადგენლები აშშ მასაჩუსეტისის შტატის ქალაქ ლოუელის საპატიო მოქალაქეები არიან. ანსამბლზე გადაღებულია დოკუმენტური ფილმი, გაკეთებულია მრავალი სატელევიზიო თუ რადიოგადაცემა. *მთიები* მონაწილეობს დოკუმენტურ ფილმებში – მერაბ კოკოჩაშვილის *ფენომენი*, ოთარ იოსელიანის *Seule Georgie* და სხვ.

2003 წელს *მთიებს* შეემატა ახალი თაობა *ამერ-იმერის* საყმაწვილო ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სტუდიიდან. ანსამბლის ახალი ხელმძღვანელის, გიგი გარაყანიძის კვლევებში დამკვიდრებული დეფინიციის მიხედვით, ანსამბლს ეწოდა *ეთნომუსიკის თეატრი*, რომელმაც სცენაზე გააცოცხლა ქართული ქორწილი, სვანური ლიფანალი და გლოვის რიტუალი ზარი.

2012 წლიდან, გიგი გარაყანიძის გარდაცვალების შემდეგ, *მთიებს* ედიშერ და გიგი გარაყანიძეების სახელი მიენიჭა. იმავე წელს ანსამბლი ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატი გახდა.

2016 წელს ფონდმა *ქართული გალობა*, ფოლკლორული ტრადიციების აღდგენა-პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, *მთიები* დააჯილდოვა ნომინაციაში – *ქართული ფოლკლორის მოამბენი*.

**EDISHER AND GIGI
GARAQANIDZE
ETHNOMUSIC THEATRE
MTIEBI**

TBILISI, GEORGIA

Renowned ethnomusicologist Edisher Garaqanidze founded the male folk ensemble *Mtiebi* in 1980; Edisher's creative principles, based on primary performance, soon distinguished *Mtiebi* from other ensembles and made it a pioneer of authentic performance in Georgia. In the songs performed by *Mtiebi* the group maintained characteristics particular to various provinces.

Years ago rituals of *Kirialesa* and *khatoba* were added to *Alilo* and *Chona* revived by *Mtiebi*, thus forgotten ancient traditions of performance were revived in Georgia. Noteworthy is *Mtiebi's* educational and charity activity in Georgia and abroad.

Mtiebi is a laureate of a number of international festivals (Lithuania, Denmark, Russia, Spain/Basque country, Ukraine, Poland, Germany, etc). Representatives of *Mtiebi's* first generation are honorary citizens of Lowell (Massachusetts, USA), the ensemble has featured in a documentary film, and many television and radio programs. *Mtiebi* has been featured in documentary films: *Penomeni* by Merab Kokochashvili, *Seule Georgie* by Otari Ioseliani, and others.

A new generation of alumni of folk-ethnographic studio Amer-Imeri joined *Mtiebi* in 2003. Gigi Garaqanidze became the director of the ensemble. According to the definition introduced by Gigi and his scholarly observations the ensemble was named Ethnomusic theatre. Thus Georgian wedding, Svan festival *Lipnali*, mourning ritual *Zari* were revived on the stage.

In 2012 *Mtiebi* was named after Edisher and Gigi Garaqanidze. The same year *Mtiebi* was a National Folklore Prize-winner.

For its contribution to the revival and popularization of folk traditions the *Georgian Chanting Foundation* rewarded *Mtiebi* in the category of beneficent of Georgian folklore in 2016.



ძირიანი

თბილისი, საქართველო

ფოლკლორული ანსამბლი *ძირიანი* 2011 წელს შეიქმნა, ახალგაზრდა ლოტბარის თორნიკე სხიერელის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. ანსამბლში გაერთიანდა თბილისში მცხოვრები, წარმოშობით რაჭველი 16 ქალ-ვაჟი. *ძირიანმა* იმთავითვე მიზნად დაისახა ტრადიციული რაჭული სიმღერების, სიმღერა-ფერხულებისა და საცეკვაო სიმღერა-დასაკრავების შესრულება ავთენტური პირველწყაროსთან მიახლოებული ფორმითა და მანერით. ანსამბლის რეპერტუარის ძირითადი მასაზრდოვებელი რაჭის საექსპედიციო ჩანაწერებია – როგორც ძველი, საარქივო, ასევე, თავად თორნიკე სხიერელის მიერ მოპოვებული. მათ უკვე 30-მდე მივიწყებული რაჭული სიმღერა აღადგინეს, აქედან შვიდი – საფერხულო. განსაკუთრებულია ტრადიციული საკრავებისა და საკრავიერი მუსიკის ადგილი ანსამბლის რეპერტუარში: *ძირიანმა* გააცოცხლა რაჭული *ჭიანური*, *დაირა*, *უკრავენ გარმონსა* და *ბუზიკა ზეც* (პატარა გარმონი). მომღერლები, განსაკუთრებით, ანსამბლის ხელმძღვანელი იმპროვიზაციის იშვიათი უნარით გამოირჩევა, რაც მათ შესრულებას უშუალოდ ალბეჭდავს და განასხვავებს სხვა ქალაქური ანსამბლების უმრავლესობისაგან.

ძირიანი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ფოლკლორულ კონცერტსა და ფესტივალში, აგრეთვე – საქველმოქმედო ღონისძიებებში.

2016 წლის 23–26 ივნისს *ძირიანი*, მონაწილეობდა ლიტვაში (კლაიპედა) გამართულ საერთაშორისო ფესტივალში *Tek saulužė ant maračių* – კონცერტები და მასტერკლასები გამართა კლაიპედასა და ნიდაში. აღსანიშნავია, რომ ეს იყო საქართველოს წარმომადგენელთა პირველი მონაწილეობა ამ ფესტივალში.

DZIRIANI

TBILISI, GEORGIA

Folk ensemble *Dziriani* was created in 2011, on the initiative and under the direction of Tornike Skhiereli, a young song-master. *Dziriani* consists of 16 young women and men of Rachan origin from Tbilisi. The Ensemble aims to perform traditional Rachan songs, round-dances, and round-dance songs in the form and manner approximated to the source. The repertoire includes examples from field expedition recordings in Racha, both old archival, and newly documented by Tornike Skhiereli himself. *Dziriani* has already revived about 30 forgotten Rachan songs including 7 round-dance examples. Traditional musical instruments and instrumental music occupy a particular place in the repertoire. *Dziriani* has revived Rachan *chianuri* and *daira* traditions. They also play the *garmoni* and *buzika* (a small garmoni). The members of the collective, particularly the director, have rare talent for improvisation, which distinguishes their performance from that of most urban ensembles.

Dziriani takes an active part in various folk festivals and charity concerts.

On 23–26 June 2016 *Dziriani* participated in the International Festival *Tek saulužė ant maračių* (Lithuania), and has also held concerts and work-shops in Klaipėda and Nida; it is noteworthy that Georgia participated in this festival for the first time.



სათანაო

თბილისი, საქართველო

ანსამბლი სათანაო არის ქალთა პირველი პროფესიული მომღერალ-მგალობელთა გუნდი. ანსამბლის პირველი თაობა 1980-იანი წლების ბოლოდან გალობდა *ჯვარის მამის* ტაძარში. ანსამბლის წევრები თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები იყვნენ. მათ ანჩისხატის გუნდის კვალდაკვალ, დაიწყეს ძველი, ტრადიციული საეკლესიო საგალობლების აღდგენა და მათი ლიტურგიკულ პრაქტიკაში დანერგვა. შემსრულებლობის გარდა, მგალობლები საგანმანათლებლო მოღვაწეობასაც ეწეოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთ. ანსამბლის დამოკიდებულება გალობისადმი გამოიხატა მის მიერ შერჩეულ სახელში, სათანაო თან წარსატანს, გულში თან სატარებელს ნიშნავს. 2005 წლიდან გუნდის შემადგენლობა გაფართოვდა ამასთან ერთად, ანსამბლმა საგანგებო ყურადღება დაუთმო ხალხურ სიმღერას, განსაკუთრებით, ქალაქურს. ანსამბლის წევრები უკრავენ ქართულ ხალხურ საკრავებზე. სიმღერასთან ერთად ასრულებენ ცეკვასა და ფერხულს.

2006 წლიდან, სათანაო წარმატებით ატარებს კონცერტებსა და მასტერკლასებს დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში და ავსტრიაში. მონაწილეობას იღებს ტელე და რადიოგადაცემებში. ანსამბლს ჩაწერილი აქვს 4 CD.

SATHANAO

TBILISI, GEORGIA

Ensemble *Sathanao* is the first professional female singer-chanters' choir in Georgia. The ensemble's first members chanted at Tbilisi *Jvaris mama* church in the late 1980s. The ensemble members were students of Tbilisi State Conservatoire, although foundations were laid in the 1980 when the members of the group were students at Tbilisi State Conservatoire. Following the lead of the famous Georgian Anchiskhati church choristers, *Sathanao* started reviving old, traditional church hymns and implementing them in liturgical practice. Alongside performance, the choir members were also involved in educational activities in Georgia and elsewhere. The ensemble's attitude to chant is expressed in its name *Sathanao*, which conveys the importance of carrying Georgian traditional music close to their hearts. In 2005 the choir membership expanded and more attention was paid to folk music, particularly urban songs. *Sathanao's* members play Georgian folk musical instruments; their singing is accompanied with dance and round dance.

Since 2006 *Sathanao* has successfully held concerts and work-shops in UK, Germany, Austria, and has been featured in television and radio programs. The ensemble has released 4 CDs.

სახიობა თბილისი, საქართველო



ანსამბლი სახიობა ჩამოყალიბდა 2006 წელს. მისი ხელმძღვანელია ეთნომუსიკოლოგი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის სპეციალისტი ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდის ერთ-ერთი დამაარსებელი, მთანმინდის მამა დავით გარეჯელის სახელობის ტაძრის რეგენტი მალხაზ ერქვანიძე.

ანსამბლი ანჩისხატელთა გამოცდილებას ეყრდნობა და ცდილობს, თავისი წვლილი შეიტანოს ტრადიციული სიმღერა-საგალობლების ძველი ქართული ბგერათანწყობის აღდგენაში. მისი მიზანია შუასაუკუნეების ქართული გალობის აღდგენა-პოპულარიზაცია, ქართული საგალობლების ხელნაწერთა რედაქტირება და სანოტო კრებულების გამოცემა თანდართული აუდიოდისკებით, ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მომღერალ-ლოტბარებთან შეხვედრები და ერთობლივი კონცერტები... რეპერტუარის ძირითადი წყაროა ძველი საარქივო და საექსპედიციო ჩანაწერები, მათ შორის – თავად ანსამბლის ხელმძღვანელის მიერ მოპოვებული.

სახიობა ყოველწლიურად მართავს საანგარიშო სოლო კონცერტს განახლებული რეპერტუარით, ჩატარებული აქვს მრავალი სოლო კონცერტი საზღვარგარეთ, მონაწილეობა აქვს მიღებული ფოლკლორისა და ტრადიციული გალობის საერთაშორისო ფესტივალებში. 2011–2016 წლებში ანსამბლი საგასტროლო ტურნეში იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთსა და პოლონეთში. მისი დისკოგრაფია ხალხური სიმღერისა და გალობის შვიდ აუდიოდისკს მოიცავს.

2016 წელს თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ანსამბლმა გამართა დაარსებიდან 10 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი და გამოსცა საიუბილეო აუდიო-ვიდეოალბომი, ანსამბლის მოკლე ისტორიით.

SAKHIOBA TBILISI, GEORGIA

Ensemble *Sakhioba* was created in 2006. It is directed by Malkhaz Erkvanidze – ethnomusicologist, Doctor of Social Sciences, specialist of the Georgian Folk Music Department, one of the founders of *Anchiskhati Church Choir*, and the director of the Mama Davit Garejeli Church choir. *Sakhioba* builds off the experience of *Anchiskhati* and strives to contribute to the revival of old Georgian scales. The group aims to revive and popularize medieval Georgian chant, edit the manuscripts of Georgian chants and publish them as collections supplied with audio CDs, organize field expeditions to various parts of Georgia, and meet with local song-masters and perform in joint concerts with them. The main source for its repertoire are old archival and field expedition recordings, including those obtained by Malkhaz Erkvanidze himself.

Sakhioba annually holds solo concerts with renewed repertoire, has performed in many concerts outside Georgia, has participated in international festivals of folk and church music, and has released 7 CDs of folk songs and church hymns. In 2011 *Sakhioba* held 14 concerts in the UK. In 2011–2016 the Ensemble toured with concerts in UK and Poland. The Ensemble's discography includes 7 CDs of traditional songs and chants.

In 2016 *Sakhioba* held a concert dedicated to its 10th anniversary at the Grand Hall of Tbilisi State Conservatoire and released an anniversary audio-video album, enclosed with the Ensemble's short history.



შავნაბადა

თბილისი, საპარტიზო

SHAVNABADA

TBILISI, GEORGIA

The male folk ensemble *Shavnabada* was created in 2005. Young song-master Davit Tsintsadze brought together the former members of the boys' ensembles *Martve* and *Bichebi*. The Ensemble's repertoire includes folk songs and traditional hymns from all over Georgia. *Shavnabada* keeps to folk performance traditions and strives to study songs from archival recordings and directly from folk performers.

Shavnabada has held a number of solo concerts in Georgia, often performs in concerts and holds work-shops outside Georgia (Turkey, France/Corsica, Scotland, Switzerland, Holland, UK, etc), and participates in international festivals. *Shavnabada* has released 4 CDs of folk songs, one DVD album, and a 2 multi-disk educational audio album of liturgy and prayers, prepared with the blessing of Ilia II, the Catholicos-Patriarch of all Georgia, and is disseminated free of charge to all willing to study chants.

In 2016 ensemble *Shavnabada* was conferred the status of the State Ensemble of Abkhazia.

ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი *შავნაბადა* 2005 წელს ჩამოყალიბდა, ახალგაზრდა ლოტ-ბარმა დავით ცინცაძემ თავი მოუყარა ბიჭუნათა ანსამბლების – *მარტვესა* და *ბიჭების* აღზრდილებს.

შავნაბადას რეპერტუარში საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ხალხური სიმღერა და ტრადიციული საგალობელია. ანსამბლი ხალხური საშემსრულებლო ტრადიციების ერთგულია და ცდილობს, სიმღერები საარქივო ჩანაწერებიდან ან უშუალოდ ხალხური შემსრულებლებისგან შეისწავლოს.

შავნაბადამ არაერთი სოლო კონცერტი გამართა საქართველოში. ანსამბლი ხშირად მოგზაურობს საზღვარგარეთ (თურქეთი, საფრანგეთი – კორსიკა, შოტლანდია, შვეიცარია, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი და სხვ.), მართავს კონცერტებსა და ვორკშოპებს, მონაწილეობს საერთაშორისო ფესტივალებში. *შავნაბადას* გამოცემული აქვს ხალხური სიმღერების ერთი CD და ერთი DVD ალბომი, აგრეთვე წირვისა და ლოცვის საგალობლების სასწავლო მრავალდისკიანი სამი აუდიოალბომი, რომელიც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მომზადდა და უსასყიდლოდ ვრცელდება გალობის შესწავლის მსურველთათვის.

2016 წლიდან ანსამბლ *შავნაბადას* მიენიჭა აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი.

ამაღლება

ჩოხატაური, გურია
საქართველო



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ანსამბლი *ამაღლება* შემოქმედელი მიტროპოლიტის მეუფე იოსების ლოცვა-კურთხევით შეიქმნა, როგორც ჩოხატაურის წმიდა იოაკიმე და ანას სახელობის საკათედრო ტაძრის მაგალობელთა გუნდი. ხალხური სიმღერების შესწავლას მიზანმიმართულად ბიჭები 2014 წლიდან შეუდგნენ. რეპერტუარი მოიცავს დასავლური კილოს სადა და გამშვენებულ საგალობლებს, ასევე, ქალაქურ და სხვადასხვა კუთხის ხალხურ სიმღერებს. ანსამბლის ხელმძღვანელია ლალი კორიფაძე, კონსულტანტი – მალხაზ ერქვანიძე. თანდათან ჩამოყალიბდა ანსამბლის მიზანიც – ტრადიციული გურული, კერძოდ, ჩოხატაურული კილოკავის სიმღერების აღდგენა-პოპულარიზაცია.

ანსამბლი *ამაღლება* სისტემატურად მონაწილეობს ადგილობრივ და რეგიონულ ღონისძიებებსა და ფესტივალებში: სრულიად საქართველოს ქართული საგალობლების საჩხერის IV (2012) და V (2015) ფესტივალებსა და *მრავალჯამიერის* პირველ ფესტივალში (2013), ზუგდიდის *ვლადკერნობის* ფესტივალში (2013). 2015 წელს მიწვეული იყო ლიტვაში, საერთაშორისო ფესტივალზე *შემოდგომის პასვალისი*. ანსამბლის შესახებ აჭარის ტელევიზიამ (გადაცემა *ეთნოფორი*) გადაიღო დოკუმენტური ფილმი. იგი 2015-16 წლების საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატი და მეორე საპრიზო ადგილის მფლობელია.

AMAGHLEBA

CHOKHATAURI, GURIA
GEORGIA

The ensemble *Amaghleba* of Chokhatauri Municipality House of Culture was founded with the blessing of Ioseb, the Metropolitan of Shemokmedi as a St. Joachim and Anna Church choir. The group started learning folk songs in 2014. Their repertoire includes simple and ornamented chants of West Georgian modes as well as city songs and folk songs from different parts of Georgia. The ensemble is directed by Lali Koripadze, with Malkhaz Erkvanidze as consultant. The group aims to revive and promote traditional Gurian songs, particularly those from Chokhatauri.

Ensemble *Amaghleba* regularly takes part in local and regional events and festivals: IV (2012) and V (2015) Sakhkhere festivals of Georgian Chant and First Festival *Mravalzhamier* (2013), *Vlakernoba* Festival (2013). In 2015 *Amaghleba* was invited to the Festival of *Autumn Pasvalys* (Lithuania). Achara TV (program *Etnopori*) made a documentary film on the Ensemble's creative work. It was a laureate of 2015-16 National Folklore Festival and second prize-winner.

იამეთერჯოლა, იმერეთი
საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა ფოლკლორული ანსამბლი იამე 2012 წელს შეიქმნა. მისი დამაარსებელი და ხელმძღვანელია გულთამზე კუბლაშვილი. ანსამბლი მალე გახდა პოპულარული და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. მის რეპერტუარში სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერებია, მთავარი აქცენტი კი იმერული გლეხური და ქალაქური სასიმღერო ნიმუშების შესწავლა-შესრულებაზეა გადატანილი.

იამე აქტიურადაა ჩართული საქართველოს ფოლკლორულ ცხოვრებაში: მუნიციპალური და რეგიონული ღონისძიებები, საქველმოქმედო კონცერტები, ფესტივალებში არტ გენი (თბილისი), ნათელას სიმღერა და ქართული საგალობლები (საჩხერე)... ანსამბლის წარმატებული გამოსვლა 2015-16 წლების საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალში მეორე საპრიზო ადგილითა და ფულადი პრემიით აღნიშნა.

ანსამბლი სატელევიზიო პროექტების აქტიური მონაწილეა: ეთნოფორი (აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი), სხვა შუადღე და ნიჭიერი (ტელეკომპანია რუსთავი 2). თურქეთის ქალაქ მარმარისში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე იამეს ლაურეატის წოდება მიენიჭა და სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

IAMETERJOLA, IMERETI
GEORGIA

The women's folk ensemble *Iame* of Terjola Municipality was founded in 2012. Its founder and director is Gultamze Kublashvili. The ensemble quickly became popular in Georgia's folklore circles and achieved significant success. The Ensemble's repertoire includes folk songs from various parts of Georgia, but their main focus is on Imeretian peasant and city songs.

Iame takes an active part in Georgia's folk life: participates in municipal and regional events, charity concerts, festivals – ArtGeni (Tbilisi), *Natelas simghera* and *Kartuli galoba* (Sachkhere). The ensemble was particularly successful during the 2015-2016 national Folklore Festival of Georgia, where they won second place and a bonus prize.

Iame has been featured in multiple television programs: *Etniopori* (Achara TV), *Skhva shuadghe* and *nichieri* (Rustavi 2). *Iame* was also nominated as a laureate and awarded a special prize at the International Festival in Marmaris (Turkey).

ტრიო იმერეთი

ვანი, იმერეთი
საქართველო



ტრიო იმერეთი 2007 წელს შეიქმნა. ანსამბლი ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მუქედის მკვიდრმა ახალგაზრდებმა ჩამოაყალიბეს, ლოტბარ იური კორძაძის ხელმძღვანელობით. მის შემადგენლობაში არიან ძმები – შოთა და პავლე რამიშვილები და ცოტნე კორძაძე. ანსამბლის წევრები ბავშვობიდან ეუფლებიან ხალხურ სიმღერას, გალობენ ტაძარში. რეპერტუარში უპირატესობას იმერულ და გურულ ტრადიციულ სიმღერებსა და საგალობლებს ანიჭებენ.

ტრიო იმერეთი აქტიურად მონაწილეობს საქართველოში გამართულ ფესტივალებსა და კონცერტებში: ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ფოლკლორის საღამო *ლექო, არ დაიკარგები* (2010), ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალი (ბორჯომი, 2011), *თბილისობის* სახალხო დღესასწაული (2013), ტრადიციული ფესტივალი *ვარინკობა* (ზესტაფონი, 2014 და 2015)... ანსამბლი 2015 წელს ბათუმში კომპანია *მეჯიქერების* მიერ გამართულ საერთაშორისო ფესტივალის გრან პრის მფლობელი და ქ. ბაქოში გამართული ფესტივალის *მეგობრობის* ხიდის გამარჯვებულია.

ტრიო იმერეთი 2015-16 წლების ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატია.

TRIO IMERETI

VANI, IMERETI
GEORGIA

Trio Imereti was founded in 2007 by Yuri Kordadze, the choir's current director. The group consists of young people from the village of Mukedi in the municipality of Vani. Its members are: Tsotne Kordadze and brothers Shota and Pavle Ramishvili. They have sung traditional folk songs from an early age and are also members of a church choir. Their repertoire is chiefly focused on traditional Imeretian and Gurian songs and chants. Trio Imereti actively participates in festivals and concerts throughout Georgia, such as Vakhushti Kotetishvili's folk evening "Lekso ar daikargebi" (2010); Children's Folk Festival (Borjomi, 2011), "Tbilisoba" public celebration (2013), and "Varinkoba" traditional festival (Zestaponi, 2014, 2015)

Imereti was a grand prix winner at the International Festival organized by the "magic Group" Company in Batumi and a winner at the Festival "Bridge of Friendship" in Baku.

Trio Imereti is also a laureate of the 2015-2016 National Folklore Festival.

ლაგუშედა

ლენტეხი, სვანეთი
საქართველო



გელა გუგავას სახელობის ფოლკლორული ანსამბლი ლაგუშედა (სვანურად – ღმერთო, შეგვეწიე) შეიქმნა 1994 წელს, ლენტეხში. მას დაარსებიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი გელა გუგავა. გამოცდილმა მომღერლებმა შოთა ქურასბედიანმა, შალვა გულბიანმა, ბიქტორ ტვილდიანმა იმთავითვე შექმნეს ლაგუშედას ხერხემალი. ანსამბლი იოსებ მუკბანიანისა და ჯოკია მეშველიანის მიერ დამკვიდრებული უმდიდრესი ფოლკლორულ-სამემსრულებლო ტრადიციების ღირსეული მემკვიდრეა.

ლაგუშედამ შეინარჩუნა უძველესი სვანური სიმღერების, ფერხულების და საერო საგალობლების ქვემოსვანური ვარიანტები. ანსამბლს 22 წლის მანძილზე ჩანერილი აქვს მრავალი ხალხური სიმღერა და საგალობელი, ჩატარებული აქვს კონცერტები სამშობლოსა და ქვეყნის გარეთ. იგი წარმატებით მონაწილეობდა თურქეთის ქალაქ აქსააბატის საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში (2005), ქობულეთის საერთაშორისო ფესტივალში ზღვის ჰარმონია (2007–2009), ფესტივალ-კონკურსში ჩემი ხატია სამშობლო (2012).

2014 წელს ფონდმა ქართულმა გალობა ლოტბარი გელა გუგავა დააჯილდოვა ქართული ხალხური სიმღერების აღდგენა-პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის. მისი გარდაცვალების შემდეგ (2015) ანსამბლს ახალგაზრდა ლოტბარი ზურაბ ლიპარტელიანი ხელმძღვანელობს. ფოლკლორული ანსამბლი ლაგუშედა 2015-16 წლების საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატი და მეორე ადგილის პრიზიორია.

LAGUSHEDA

LENTEKHI, SVANETI
GEORGIA

Gela Gugava's folk ensemble *Lagusheda* (lit. *God, have mercy on us* in the Svan language) was founded in Lentekhi in 1994. Since the group's beginning until his passing the ensemble was directed by Gela Gugava – a Merited Cultural Worker, bearer of the Order of Honour, and a laureate of international festivals. *Lagusheda* is made up of a group of experienced singers which includes Shota Kurasbediani, Shalva Gulbiani, and Biktor Tvildiani. Together with a group of young singers they have created a successful ensemble, a worthy heir to the folk-performance traditions introduced by Ioseb Mukbaniani and Jokia Meshveliani.

Lagusheda has preserved Kvemo Svanetian variants of Svan songs, round dances, and secular hymns. During the 22 years of its existence the ensemble has recorded many folk songs and chants and has performed concerts in Georgia and abroad. *Lagusheda* has participated in the International Festival (Aksaabat, Turkey, 2005), the International Festival *Sea harmony* (Kobuleti, Georgia, 2007–2008), and in the festival-contest *Chemi khatia samshoblo* (2012).

In 2014 the *Georgian Chanting Foundation* awarded Gela Gugava for his contribution to the revival and promotion of Georgian folk song. After Gugava's passing in 2015 the young choir master Zurab Liparteliani took over. *Lagusheda* was a laureate and second place winner of the 2015-16 Georgian National Folk Festival.

ნადური

წყალტუბო, იმერეთი
საქართველო



წყალტუბოს ფოლკლორულ ანსამბლ ნადურს სახელი 2001 წელს გუნდის დიდმა გულშემატიკივარმა ოტია იოსელიანმა დაარქვა.

ნადურის პირველი კონცერტი 2002 წლის 23 აპრილს, წყალტუბოს საკონცერტო დარბაზ ივერიაში გაიმართა. მას მერე ანსამბლი მრავალ რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობდა. თანდათან გაიზარდა და გადახალისდა მისი შემადგენლობაც. ანსამბლის რეპერტუარში, ძირითადად, უძველესი ქართული ხალხური სიმღერები და საგალობლებია, უპირატესად – იმერული. ნადური 2015-16 წლების საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატი და საპრიზო ადგილების მფლობელია: III ადგილი ნომინაციაში *ხალხური სიმღერის ახალგაზრდული ანსამბლი* და I ადგილი ნომინაციაში *ქართული ტრადიციული გალობა*.

NADURI

TSKALTUBO, IMERETI
GEORGIA

Folk ensemble from Tskaltubo was given the name *Naduri* in 2001 by Otia Ioselian, a renowned writer and great supporter of the choir.

Naduri debuted at *Iveria* concert hall in Tskaltubo on April 23, 2002. Since then the ensemble has participated in many national and international festivals. Over time the ensemble's membership has changed and expanded.

The ensemble's repertoire mostly includes ancient Georgian folk songs and chants, primarily from Imereti. *Naduri* was a laureate and prize-winner of the 2015-2016 Georgian National Folklore Festival and won the following awards: 3rd prize in the category of *Young ensemble of folk songs*, 1st prize in the category of *Georgian traditional chant*.

ოდოია

ზუგდიდი, სამეგრელო
საქართველო



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრ ოდიშის უხუცესთა ფოლკლორული ანსამბლი ოდოია შეიქმნა 1973 წელს, ზუგდიდში. ანსამბლს დაარსებიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ღვანდომოსილი ლოტბარი, ღირსებისა და წმინდა გიორგის ორდენების კავალერი, ხელოვნების ქურუმის საპატიო წოდების მფლობელი პოლიკარპე ხუბულავა, რომელსაც 90 წლის საიუბილეოდ კულტურის ცენტრმა ოდიშმა ვარსკვლავი გაუხსნა. დღეს ამ წარმატებულ ანსამბლს ხელმძღვანელობს ოდოიას ვეტერანი წევრი, გამოცდილი მომღერალი ჯოტო უბილავა.

ოდოია აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებსა და რეგიონულ ღონისძიებებში, მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, დაჯილდოებულია სხვადასხვა რანგის მედლებითა და სიგელებით.

ოდოიას რეპერტუარი, ძირითადად, მეგრული სიმღერებისაგან შედგება. მისი ჩანაწერები საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოქროს ფონდშია დაცული. გამოცემული აქვს გრამფირფიტა (ფირმა მელოდია), მრავალდისკიანი სასწავლო აუდიოალბომი *შევისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერა* (2004).

გამორჩეული ვირტუოზულობით და იმპროვიზაციული ოსტატობით ასრულებენ მეგრულ ლირიკული ტრიო-სიმღერებს ანსამბლის წევრები – იმედა ბერაია, ჯოტო უბილავა და ვეფხია ანთია, რომლებიც წელს სიმპოზიუმის მონაწილეებისა და სტუმრების წინაშე წარსდგებიან.

ODOIA

ZUGDIDI, SAMEGRELO
GEORGIA

The elders' folk ensemble *Odoia* of Zugdidi Municipality's predecessors was *Odishi*, a group founded in Zugdidi in 1973. From its inception and until his passing the ensemble was directed by Polikarpe Khubulava – a renowned choir master, bearer of the orders of Honor and St. George, holder of the honorary title *Patriarch of Art*, whose star *Odishi* Centre of Culture opened for his 90th anniversary. Currently the ensemble is directed by Joto Ubilava – one of Odoia's veteran members and an experienced singer. *Odoia* takes an active part in different contests, festivals and regional events. The ensemble has toured in the different European countries as well as Japan and has been awarded with various medals and orders.

Odoia's repertoire is largely composed of Megrelian songs, part of which is preserved at the *Gold Fund* of Georgian Public Broadcaster. Melodiya sound recording studio released an LP of their singing in the late 1900s. A multi CD educational audio album *Teach Yourself Georgian Folk Song* with Megrelian folk songs performed by Odoia was released in 2004.

The ensemble members are virtuoso players of *chonguri* and brilliantly sing Megrelian songs with *chonguri* accompaniment. Some of these are trio song featuring Imeda Beraia, Joto Ubilava, Vefkhia Antia. All members are distinguished in particular virtuososo performance and improvisation of Megrelian lyrical songs.

პატარა კახი

თელავი, კახეთი
საქართველო



ანსამბლი პატარა კახი შეიქმნა ქ. თელავში 2000 წელს, ლევან აბაშიძის ხელმძღვანელობით. მან 2008 წლამდე იარსება. დღევანდელი პატარა კახი ამ ანსამბლში გაზრდილმა ლოტბარებმა ბექა და გოჩა ბიძინაშვილმა აღადგინეს 2012 წელს. მგალობელ-მომღერალთა ანსამბლს გამოცემული აქვთ ერთი კომპაქტდისკი – *ქართული საეკლესიო გალობა: კარბელაანთ კილოს სადღესასწაულო საგალობლები*. ანსამბლის მიზანია ძველი, მივიწყებული სიმღერებისა და საგალობლების აღდგენა-პოპულარიზაცია, რისთვისაც ანსამბლი კახეთის სხვადასხვა რაიონში ახორციელებს ექსპედიციებს. ანსამბლის კონსულტანტია ცნობილი ლოტბარი ანდრო სიმაშვილი. პატარა კახი აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის მნიშვნელოვან ღონისძიებებში. ანსამბლი 2015-16 წლების საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატი და მესამე ადგილის პრიზიორია.

PATARA KAKHI

TELAVI, KAKHETI
GEORGIA

Ensemble *Patara Kakhi* was founded by the late Levan Abashidze in Telavi in 2000, the performed consistently until 2008. After a hiatus, Levan's students, choir masters Beka and Gocha Bidzinashvili, revived today's *Patara Kakhi* in 2012. It is an ensemble of chanters and singers. The group has released one CD – *Georgian Church Chant: Festive Chants of Karbelashvili's Mode*. *Patara Kakhi* aims to revive and promote older, lesser known songs and chants. With this aim in mind, the choir has organized expeditions to various parts of Kakheti. The consultant of the ensemble is Andro Simashvili – a renowned choir master. *Patara Kakhi* actively participates in significant events throughout Georgia. The choir was a laureate and third place winner of the 2015-16 Georgian National Folklore Festival.

ქობულეთი

ქობულეთი, აჭარა
საქართველო



1968 წელს ძველი ხალხური (გურულ-აჭარული) სიმღერების სალოტბარო სკოლასთან დაარსდა ფოლკლორული ანსამბლი *ჩონგურო*, კულტურის დამსახურებული მუშაკის სულიკო მამულაიშვილის ხელმძღვანელობით. დაარსებიდან ათი წლის თავზე, ანსამბლს სახელი შეეცვალა და *ქობულეთი* ეწოდა.

ანსამბლს მოვლილი აქვს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქები და ევროპის ქვეყნები: უნგრეთი, გერმანია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია... 2006 წლის აპრილიდან, სულიკო მამულაიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ფოლკლორულ ანსამბლ *ქობულეთის* ლოტბარად დაინიშნა მისი მოწაფე ზორბეგ ოქროპირიძე.

ანსამბლი რეგულარულად განაახლებს რეპერტუარს, აქტიურად მონაწილეობს სარაიონო თუ რეგიონულ ღონისძიებებში, მართავს კონცერტებს. მის რეპერტუარს განსაზღვრავს ტრადიციული გურულ-აჭარული ხალხური სიმღერები და საგალობლები, თუმცა მრავლადაა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერაც.

2013 წელს, ანსამბლის 45 წლისთავის საიუბილეოდ, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა გამოსცა მისი პირველი აუდიოალბომი.

2016 წელს ფონდმა *ქართული გალობა* ნომინაციაში *ქართული ხალხური სიმღერის მოამბგენი*, გურულ-აჭარული სიმღერის შენარჩუნება-პოპულარიზებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ანსამბლი *ქობულეთი* სპეციალური პრიზითა და ფულადი პრემიით დააჯილდოვა.

KOBULETI

KOBULETI, ACHARA
GEORGIA

The Ensemble *Chonguri* was founded at the choir master's school of old folk (Gurian-Acharan) songs under Suliko Mamulaishvili's guidance in 1968. 10 years after its creation the ensemble was renamed *Kobuleti*.

Ensemble *Kobuleti* has toured in the USSR and many European countries including Hungary, Germany, Czechoslovakia, Poland, Bulgaria, and former Yugoslavia. Since Suliko Maulaishvili's passing in April 2006 his student Zorbeg Okropiridze has been the choir master.

The ensemble regularly renews its repertoire, actively participates in local and regional events, and holds concerts. The group chiefly performs Gurian-Acharan songs and chant but also sings a number of examples from different parts of Georgia.

In 2013 the State Folklore Centre of Georgia released the ensemble's first audio album dedicated to its 45th anniversary.

In 2016 the *Georgian Chanting Foundation* awarded *Kobuleti* with a special prize and monetary award for its contribution to the safeguarding and popularization of Gurian-Acharan songs.

ძველი თაობა აბაშა, სამეგრელო საქართველო



DZVELI TAoba

ABASHA, SAMEGRELO
GEORGIA

At one of folk ensemble *Harira's* meetings, the representatives of old generation had an idea to sing original Megrelian folk songs which they had heard from their ancestors. *Dzveli Taoba* was created in order to fulfill this goal. They were based in the village of Sujuna, where Lomin Gugushvili founded a choir of Abasha in the 1920s.

Dzeveli Taoba members perform songs and dances are lovers of folk song in all contexts; the groups sings around the fireplace, performs ritual songs at public celebrations, and acts out comic musical dialogues between young women and men.

This older generation of singers would like to revive and promote forgotten traditional songs and to transmit these treasures inherited from the ancestors to future generations.

Ensemble *Dzveli Taoba* was a laureate of the 2015-2016 national Folklore Festival.

2013 წელს, აბაშის მუნიციპალიტეტის ფოლკლორულ ანსამბლ ჰარირას ერთ-ერთ შეკრებაზე უფროსი თაობის წარმომადგენლებს დაებადათ იდეა წინაპრებისაგან მოსმენილ-გაგონილის მიხედვით ემღერათ ძირძველი, მეგრული ხალხური სიმღერები. ასე შეიქმნა ავთენტიკური ჯგუფი *ძველი თაობა*. ისინი დამკვიდრდნენ სოფელ სუჯუნაში, იქ, სადაც აბაშელთა გუნდის ჩამოყალიბებას ლომინ გუგუშვილმა დაუდო სათავე მე-20 საუკუნის 20-იან წლებში. მღეროდნენ, ცეკვავდნენ *ძველი თაობის* წევრთა მშობლები, მეზობლები, სიმღერაზე შეყვარებული ადამიანები ბუხართან, წვეულებებზე, სახალხო დღესასწაულებზე ასრულებდნენ სარიტუალო სიმღერებს, ღამისთევებზე – ქალ-ვაჟთა ხალისიან შაირებს...

ძველი თაობის მომღერალთა სურვილია აღადგინონ და პოპულარიზაცია გაუწიონ მივიწყებულ ტრადიციულ სიმღერებს, მომავალ თაობებს გადასცენ ის საუნჯე, რაც წინაპრებს მათთვის დაუტოვებიათ.

ანსამბლი *ძველი თაობა* 2015-16 წლების საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატია.

ტრიო ხელხვაჲი

ოზურგეთი, გურია
საქართველო



TRIO KHELKHAVI

OZURGETI, GURIA
GEORGIA

Trio *Khelkhvavi* was founded in 2015. The group is directed by Lasha Chkhartishvili; they aim to revive and promote old Gurian folk songs and church hymns. All members of the trio – Lasha Chkhartishvili, Guram Guntadze and Mamuka Siradze are alumni of Giorgi Mtatsmindeli University of Church Chant; they are also choir masters and work with children's and juvenile choirs. *Khelkhvavi* takes an active part in concerts and festivals and is a laureate and third place winner of Georgian National Folklore Festival.

ტრიო *ხელხვაჲი* 2015 წელს დაარსდა. მისი ხელმძღვანელია ლაშა ჩხარტიშვილი. ანსამბლის მიზანია ძველი გურული ხალხური სიმღერებისა და საეკლესიო საგალობლების აღდგენა და პოპულარიზაცია. ტრიოს სამივე წევრი – ლაშა ჩხარტიშვილი, გურამ გუნთაძე, მამუკა სირაძე – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და სამივე ეწევა სალოტბარო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ბავშვთა თუ ახალგაზრდულ გუნდებთან.

ხელხვაჲი აქტიურად მონაწილეობს კონცერტებსა და ფესტივალებში. ანსამბლი საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის (2015-16) ლაურეატი და მესამე ადგილის პრიზიორია.



ჭვანა

ჭვანა, აჭარა
საქართველო

ავთენტური ანსამბლი *ჭვანა* 2015 წელს შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორის ვახტანგ ბერიძის ინიციატივით შეიქმნა. ანსამბლს ამავე ცენტრის ფოლკლორის განყოფილების უფროსი, ეთნომუსიკოლოგი ლოლიტა სურმანიძე ხელმძღვანელობს. ანსამბლის მიზანია ჭვანას ხეობის მდიდარი ფოლკლორული ტრადიციების აღორძინება – სიმღერების ხანდაზმული ეთნოფორებისაგან და საარქივო აუდიო-ვიდეოჩანაწერებიდან შესწავლა-აღდგენა და სცენაზე გაცოცხლება. მომღერლები საცეკვაო სიმღერებს ხეობისთვის დამახასიათებელი საცეკვაო მოძრაობებით ასრულებენ. ანსამბლის წევრები ჭვანას ხეობის სხვადასხვა სოფლის – ხაბლაშვილების, ბრილის, ჭვანას, ცხემლისის, ნაღვარევის – მკვიდრი არიან: ხასან ხილაძე, დავით ბერიძე, ტარიელ ბოლქვაძე, ავთანდილ ბოლქვაძე, მერაბ მჟავანაძე, ზვიად გოგრაჭაძე, ზურაბ ბოლქვაძე, რამაზ დავითაძე, გურამ გოგრაჭაძე.

ჭვანა ფართო აუდიტორიის წინაშე 2015 წელს, გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის X საერთაშორისო ფესტივალზე წარსდგა და მას შემდეგ აქტიურად მონაწილეობს მუნიციპალურ და საქვეყნო მნიშვნელობის კულტურულ ღონისძიებებში, ფოლკლორულ კონცერტებსა და ფესტივალებში, სატელევიზიო პროექტებში. ანსამბლი *ჭვანა* 2015-16 წლების საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატი და მესამე ადგილის პრიზიორია.

CHVANA

CHVANA, ACHARA
SHUAKHEVI

The Folk ensemble of authentic performance *Chvana* was founded by Vakhtang Beridze at Shuakhevi Centre of Culture in 2015. The group is directed by Lolita Surmanidze – Head of Folklore Department at the same Centre. *Chvana* aims to revive the rich folk traditions of the Chvana Gorge – learn songs from elderly tradition bearers and archival audio recordings and perform them on the stage. The singers perform dance-songs with the dance movements characteristic to the Gorge. *Chvana* members (Khasan Khiladze, Davit Beridze, Taniel Bolkvadze, Avtandil Bolkvadze, Merab Mzhavanadze, Zviad Gograchadze, Zurab Bolkvadze, Ramaz Davitadze, Guram Gograchadze) are residents of different villages in the Gorge: Khabelashvilebi, Brili, Chvana, Tskhemlisi and Naghvarevi.

Following its debut at Giorgi Garaganidze International Festival of Folk and Church Music in 2015, *Chvana* takes active part in municipal and national events, folk concerts and festivals, television projects.

Chvana is a prize-winner and third place winner of the 2015-16 National Folklore Festival of Georgia.

ბიძინაშვილების ოჯახი

თელავი, კახეთი
საქართველო



ბიძინაშვილების ოჯახის თოთხმეტი წევრიდან მუსიკალური მონაცემები ყველას აქვს. მათი წინაპრებიც მომღერალ-მგალობლები იყვნენ, თუმცა ანსამბლში არ უმღერიათ.

ბიძინაშვილების ოჯახში მღერიან მამა – თეიმურაზი და შვილები – უჩა, ბექა და გოჩა ბიძინაშვილები. ბექა და გოჩა პროფესიითაც ლოტბარ-მომღერლები არიან. მათი პირველი მასწავლებელი იყო ლევან აბაშიძე, მოგვიანებით კი ანდრო სიმეშვილთან დაოსტატდნენ.

ბიძინაშვილების რეპერტუარი ძირითადად ქართლ-კახური სიმღერების ვარიანტებს მოიცავს. სიმღერებს სწავლობენ საარქივო ჩანაწერებიდან, ან უშუალოდ ეთნოფორებისგან. უკრავენ ფანდურზე, ჩონგურზე, სალამურზე, ქუნირსა და ჩანგზე.

THE BIDZINASHVILI FAMILY

TELAVI, KAKHETI
GEORGIA

All fourteen members of the Bidzinashvili family are musically gifted. Their ancestors were also singers and chanters, however they never sang in ensembles.

The father of the family, Teimuraz Bidzinashvili, and his sons, Ucha, Beka and Gocha, are singers. Beka and Gocha are professional choir masters and singers. Their first teacher was the late Levan Abashidze, and later they became skillful masters thanks to their education with Andro Simashvili.

The Bidzinashvilis' repertoire basically consists of Kartli-kakhetian song variants; they learn songs from archival recordings or directly from tradition bearers; they play the *panduri*, *chonguri*, *salamuri*, *chuniri* and *changi*.

გოგოჭურების ოჯახი ხევსურეთი, საპარტეზო



გოგოჭურები წარმომავლობით აღმოსავლეთ საქართველოს მთიდან, პირიქითა ხევსურეთიდან არიან. ბებია, მარიამ ჭინჭარაული-გოგოჭური, სოფ. შატილის მკვიდრია. გადმოცემით, მისი პაპაც კარგად მღეროდა. გოგოჭურების მომღერალი ოჯახის წევრები არიან მარიამის ვაჟების – მალხაზისა და ნოდარის ქალიშვილები: მარიამ, თამარ, მანანა და ქეთევან გოგოჭურები. ტრადიციული ხევსურული სიმღერები შვილიშვილებმა მისგან ისწავლეს. გოგოჭურების რეპერტუარში, ტრადიციული ხევსურული სიმღერების გარდა, სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერებიცაა. გოგოჭურების ოჯახი 2015-16 წლების საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატია.

THE GOGOCHURI FAMILY

KHEVSURETI, GEORGIA

The Gogochuris originally come from Pirikita, in the region of Khevsureti in East Georgia. The grandmother Mariam Chincharauli-Gogochuri is originally from the village of Shatili. Her granddaughters learned

traditional Khevsuretian songs from her. They say that Mariam's grandfather was a good singer too. The members of the Gogochuri family ensemble are Mariam, Tamar, Manana and Ketevan Gogochuri, all the daughters of Mariam's sons Malkhaz and Nodar. Alongside traditional Khevsuretian songs the Gogochuris' repertoire includes folk songs from different parts of Georgia.

The Gogochuri family ensemble was a laureate of 2015-16 National Folklore Inspection Festival.

გორდელაძეების ოჯახი ოზურგეთი, გურია საქართველო



გორდელაძეების მომღერალი ოჯახი ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში ცხოვრობს. ოჯახის უფროსია დეკანოზი მათე (ვლადიმერ) გორდელაძე. წევრები: დედა – ნათია ლაჭონია, შვილები – სოფიო, ანა, გიორგი, ეფემია, დამიანე, საბა, ისაია და მარიამ გორდელაძეები. ბავშვებისთვის პირველი სიმღერა დედისგან ნათქვამი ნანა იყო. ოჯახში სპეციალური მუსიკალური განათლება არავის ჰქონდა, თუმცა ხალხური სიმღერის ნიჭი და სიყვარული წინაპრებისგან გადმოეცათ: 1963 წელს სოფელ ლიხაურში გრიგოლ ჩხიკვაძეს ჩაუწერია 25 გურული სიმღერა და შემსრულებელთა უმრავლესობა გორდელაძეები ყოფილან. სიმღერის ნიჭი ბებიისგანაც დაჰყვათ – ჩაღლეიშვილების მომღერალი გვარისგან. კარლო ურუშაძესთან მეზობლობა და ტრისტან სიხარულიძის ბავშვთა გუნდ ორირაში მღერა კარგი სკოლა იყო პატარებისათვის. ამას გარდა, ბავშვობიდან უსმენდნენ ცნობილი მომღერლების – ვარლამ სიმონიშვილის, ვლადიმერ ბერძენიშვილის, არტემ ერქომაიშვილის გუნდების ჩანანერებს... გორდელაძეთა რეპერტუარი, ძირითადად, გურულ სიმღერებს მოიცავს. ასრულებენ ასევე დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის (აჭარა, იმერეთი, რაჭა) სიმღერებს. უკრავენ ჩონგურზე, ფანდურზე, ჭუნირზე.

ამჟამად უფროსი ვაჟი გიორგი გორდელაძე თბილისის გიორგი მთაწმინდელის სახელობის ქართული გალობის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტია. გორდელაძეების საოჯახო ან-სამბლი 2015-16 წლების საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატი და პირველი პრიზის მფლობელია.

THE GORDELADZE FAMILY

OZURGETI, GURIA, GEORGIA

The Gordeladze family of singers lives in the village of Likhauri, Ozurgeti District. The family consists of father Deacon Mate (Vladimer) Gordeladze, mother Natia Ghazhonia and their children Sopio, Ana, Giorgi Epemia, Damiane, Saba, Isaia and Mariam Gordeladzes. The first song heard by the children was the lullaby sung by their mother. No one in the family has received musical education however they have inherited talent and love to song from their ancestors. In 1963 Grigol Chkhikvadze recorded 25 Gurian songs in Likhauri and most of the performers were Gordeladzes. They also inherited their love of singing from the Chavlesihvili dynasty of singers via their grandmother. Their neighbor Karlo Urushadze, as well as membership of *Orira* children's choir directed by Tristan Sikharulidze, created a wonderful learning environment for the young Gordeladzes. At young age they also listened to the recordings of the choirs directed by Varlam Simonishvili, Vladimir Berdzenishvili, and Artem Erkomaishvili.

The Gordeladzes' repertoire is mostly composed of Gurian repertoire; they also sing songs from other West Georgian provinces (Achara, Imereti, Racha), and play the *chonguri*, *panduri*, *chuniri*.

Currently Giorgi, the eldest son of the family, is a student at Giorgi Mtatsmindeli High School of Georgian Chant. The Gordeladze family ensemble was a laureate and first Prize-winner of the 2015-16 National Folklore Festival.

დონაძეების ოჯახი თბილისი, საქართველო



დონაძეების რვანევრიან ოჯახში ყველა მღერის. მამა, გიორგი დონაძე გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ლოტბარი და მომღერალია. ის დაარსების დღიდან საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ ბასიანის, ხოლო 2014 წლიდან საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელია, ასევე, სამების საპატრიარქო გუნდის თანახელმძღვანელი სვიმონ ჯანგულაშვილთან ერთად. გიორგი და მისი ძმა გელა ბავშვობიდან მღერიან. მათ სიმღერის ნიჭი ბებია-ბაბუასაგან დაჰყვათ, რომლებიც რაჭაში ცნობილი მომღერლები იყვნენ. გიორგის პირველი დებიუტი 11 წლის ასაკში ანსამბლ ფაზისში შედგა. მოზარდობის ასაკში თავადვე ჩამოაყალიბა საკუთარი ანსამბლი ბერიკა, რომელიც 1995 წელს ოქროს მარტეის გამარჯვებული გახდა. გიორგის აღზრდაში დიდი როლი მიუძღვით მის პირველ მასწავლებლებს: ჯუმბერ ყოლბაიასა და ანზორ ერქომაიშვილს. ამ უკანასკნელთან ის დღემდე აგრძელებს აქტიურ შემოქმედებით თანამშრომლობას.

საოჯახო ტრადიციას აგრძელებენ მისი შვილებიც: ერეკლე (13 წლის), ნიკოლოზ (12 წლის), ელენე (9 წლის), ილია (7 წლის), ანა (5 წლის) და ანდრია (3 წლის). ერეკლე 12 წლის ასაკიდან დიდ სცენაზე დგას მამასთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ დონაძეების ოჯახი, ძირითადად, ქართული ხალხური სიმღერის რთულ ნიმუშებს ასრულებს.

THE DONADZE FAMILY

TBILISI, GEORGIA

All eight members of the Donadze family sing. The father – Giorgi Donadze is a talented choir master and singer. Since the day of its inception he directs State Ensemble of Georgian Folk Song Basiani and since 2014 he has been the director of the State Folklore Centre of Georgia, together with Svimon Jangulashvili. He is a co-director of the Choir of Trinity Cathedral. Giorgi and his brother Gela started singing at early age. They inherited the talent from their grandparents, who were well-known singers in Racha. Giorgi debuted in the ensemble *Pazisi* when he was 11. He created his first ensemble *Berika*, which was a winner of *Okros martve* contest, in 1995.

Giorgi's first teachers Jumber Qolbaia and Anzor Erkomaishvili greatly contributed to his formation as a singer. Giorgi still continues to actively collaborate with Erkom-aishvili.

His children: Erekle (13), Nikoloz (12), Elene (9), Ilia (7), Ana (5) and Andria (3) continue the family tradition and sing on the stage with their father.

It is noteworthy that the Donadze family mostly performs complex Georgian folk examples.

ვეშაპიძის ოჯახი

თბილისი, საქართველო



ოჯახის უფროსი ლევან ვეშაპიძე და მეუღლე მაკა ხარძიანი ეთნომუსიკოლოგები და, ამასთანავე, მომღერლები არიან – ლევანი *ანჩისხატის გუნდში* მღერის, მაკა – ქალთა ფოლკლორული ანსამბლ *ნანინაში*. მათ ხუთი შვილი ჰყავთ: ეკატერინე (20 წლის), ნინო (16 წლის), ზაალი (14 წლის), ირაკლი (11 წლის) და თეკლა (7 წლის). ოჯახის ყველა წევრი მღერის. ბავშვებს ხალხურ სიმღერებს სახლში მშობლები ასწავლიან, თუმცა ზაალი, ირაკლი და თეკლა ედიშერ და გიგი გარაყანიძეების სახელობის ბავშვთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სტუდია *ამერიმერშიც* მღერიან და საკმაოდ დიდი რეპერტუარიც აქვთ.

მაკა წამოშობით სვანეთიდანაა, მისი ბებია-ბაბუები მღეროდნენ და საკრავებზეც უკრავდნენ. ლევანი უკრავს *ჭიბონზე*, *ჩონგურსა* და *აჭარპანზე*, მაკა – *ჭუნირზე*. ლევანი თავადაც ამზადებს *ჭუნირს*, გუდასტვირსა და *აჭარპანს*.

ვეშაპიძეების საოჯახო ანსამბლი საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებს ასრულებს. მათი რეპერტუარის წყაროა საარქივო ჩანაწერები, ასევე, სიმღერები *ანჩისხატის გუნდისა* და ანსამბლ *ნანინას* რეპერტუარიდან.

THE VESHAPIDZE FAMILY

TBILISI, GEORGIA

The head of family Levan Veshapidze and his spouse Maka Khardziani are ethnomusicologists and singers at the same time. Levan is a member of *Anchiskhati Choir* and Maka sings in women's folk ensemble *Nanina*. They have five children: Ekaterine (20), Nino (16), Zaal (14), Irakli (11), and Tekla (7). All members of the family sing. The children learn singing from their parents, however Zaal, Irakli and Tekla also sing at Edisher and Gigi Garaqanidze Children's Folk-Ethnographic Studio Amer-Imeri, and have a fairly large repertoire.

Maka is originally from Svaneti. Her grandparents also sang and played musical instruments. Levan plays the *chiboni*, *gudastviri* and *acharpani* and Maka plays the *chuniri*. Levan himself builds *chuniri*, *gudastviri* and *acharpani*.

The Veshapidzes sing songs from different parts of Georgia. Their repertoire is nourished from archival recordings, as well as from the repertoires of *Anchiskhati Church Choir* and ensemble *Nanina*.

თურმანიძეების ოჯახი

მერიסי, აჭარა
საქართველო



თურმანიძეების ოჯახი ქედის რაიონის სოფელ მერისიდანაა. ამირან თურმანიძე ოჯახის უფროსი წევრი და საოჯახო ანსამბლის ბურჯია. ამირანის ოჯახის შვიდი წევრიდან მერისის გამორჩეულ ავთენტიკურ ანსამბლ *მოყვარეში* – ოთხი მღერის. თურმანიძეთა გვარმა ყველაზე მეტად შემოინახა მერისული ტრადიციული სასიმღერო რეპერტუარი. სიმღერის სიყვარული და ცოდნა დიდი ოჯახიდან ამირანის დედამიწეობისა და მათი შვილების შთამომავლებსაც დაჰყვათ. ადგილობრივი ტრადიციული სიმღერების შენარჩუნება-პოპულარიზებაში განსაკუთრებულია ამირანის მამის, რევაზ თურმანიძის ღვაწლი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე სოფლის გუნდის ლოტბარი იყო.

თურმანიძეების საოჯახო ანსამბლში სამი თაობა მღერის: ამირანი, მისი შვილი ჯემალი და შვილიშვილები – რევაზ და ბესო თურმანიძეები. შვილიშვილები ბაბუასგან არა მხოლოდ კონკრეტული სიმღერის ვარიანტებს სწავლობენ, არამედ იმპროვიზაციის ხელოვნებასა და ბუნებრივ საშემსრულებლო მანერასაც ითვისებენ. ამ ოჯახმა, ეთნომუსიკოლოგ ნინო რაზმაძის დახმარებით, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში დაცული ადგილობრივი ტრადიციული სიმღერების საარქივო ჩანაწერებიდან არაერთი მივიწყებული სიმღერის აღდგენაც მოახერხა, რომლებიც თანასოფლელებთან ერთად 2010 წელს კონსერვატორიის დიდ სცენაზეც წარმოადგინეს.

თურმანიძეების ოჯახს ხშირად სტუმრობენ ქართული ტრადიციული მუსიკით დაინტერესებული ქართველი და უცხოელი მოყვარული თუ პროფესიონალი მუსიკოსები. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა 2012 წელს თურმანიძეების ოჯახისა და ანსამბლ *მოყვარეს* რეპერტუარი ხმის ჩამწერი მოძრაი სტუდიით ჩაიწერა. ჩანაწერები ინახება ცენტრის არქივში და მზადდება გამოსაცემად. თურმანიძეები აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელეპროექტის *ეთნოფორის* ერთ-ერთი ფილმის გმირები არიან.

THE TURMANIDZE FAMILY

MERISI, ACHARA
GEORGIA

The Turmanidze family is from the village of Merisi, Keda district. Amiran Turmanidze is the eldest family member and the director of the family ensemble. Out of the seven members of Amiran's family, four are singers in the authentic ensemble *Moqvare* acting in Merisi. The Turmanidzes' dynasty has worked to preserve the traditional vocal repertoire of Merisi. The descendants of Amiran's brothers and their children have all inherited a love and knowledge of singing. In the matter of preservation and popularization of local traditional songs, the deeds of Amiran's father, Revaz Turmanidze, are indeed special. Ramaz Turmanidze was the song conductor of the village group for many years.

In Turmanidze's family there are three generations of singers: Amiran, his son Jemal, and his grandsons, Revaz and Beso Turmanidzes. The grandchildren learned from their grandfather not only variants of a particular song but also the art of improvisation and the manner of natural performance as well. With the assistance of the ethnomusicologist, Nino Razmadze, this family has been able to revive several forgotten songs from the archival records of the local traditional songs preserved at the Tbilisi State Conservatoire. Together with their fellow villagers, the Turmanidzes have presented these songs at the stage of the Grand Hall of the Conservatoire in 2010. Georgian and foreign amateur and professional musicians interested in the Georgian traditional music are frequent guests of the Turmanidzes.

In 2012 mobile sound recording studio of the State Folklore Centre recorded the repertoire of the Turmanidze family and ensemble *Moqvare*. The recordings are preserved at the Centre's archive and are being prepared for publication. The Turmanidzes have been featured in a film of the television project *Etnopori* on Achara TV.

კუბლაშვილების საოჯახო ანსამბლი ფოცხოვი

ახალციხე, მესხეთი
საქართველო



ანსამბლი ოთხი წევრისგან შედგება: მარიამ და თეკლა კუბლაშვილები, დედა – ნონა თელიაშვილი და დეიდა – ქეთევან თელიაშვილი-კოპაძე (ანსამბლის ხელმძღვანელი). ოჯახი სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან, ქალაქ ახალციხიდანაა.

სიმღერის სიყვარული და ნიჭი წინაპართაგან დაჰყვათ: ბებია – ელისაბედ თელიაშვილი – ახალგაზრდობაში კათოლიკურ ეკლესიაში გალობდა და უკრავდა ორღანზე; ამავდროულად, კარგად მღეროდა ხალხურ სიმღერებს. დედის მხრიდან პაპა – არტემ ანდღულაძე – დიაკვნად მსახურობდა და გალობდა კათოლიკურ ეკლესიაში, ასევე, მღეროდა ხალხურ სიმღერებსა და აშულურ მელოდიებს. დედა – სოფიო ანდღულაძე – ჩინებულად მღეროდა ხალხურ და ქალაქურ სიმღერებს. ქეთევანს და მის დებს სიმღერა ბებია ელისაბედმა ასწავლა – მღეროდნენ ბებია და შვილიშვილები: ელისაბედ, ლეილა, ქეთევან და ნონა თელიაშვილები.

ფოცხოვის რეპერტუარშია მესხური და საქართველოს სხვადასხვა კუთხის, მათ შორის – ქალაქური ხალხური სიმღერები. აღსანიშნავია, რომ ისინი მუშაობენ მივიწყებული მესხური სიმღერების გაცოცხლებაზეც და ფრაგმენტულად შემორჩენილ ერთხმიან ვერსიებს ტრადიციულ, ბუნებრივ მრავალხმიანობაში აღადგენენ.

THE KUBLASHVILI FAMILY ENSEMBLE POTSKHOVI

AKHALTSIKHE, MESKHETI
GEORGIA

The ensemble consists of four members: Mariam and Tekla Kublashvili, mother – Nona Teliashvili and aunt Ketevan Teliashvili-Kopadze (director of the group). The family comes from the city of Akhaltsikhe (Samtskhe-Javakheti region of Georgia).

They all inherited the musical talent and love of song from their ancestors. At a young age the grandmother, Elisabed Teliashvili, chanted and played the organ at the Catholic Church. She also sang folk songs. The grandfather on their mother's side, Artem Andghuladze, was a deacon and chanter at a Catholic church. He also sang folk and *ashugh* melodies. Their mother, Sopia Andghuladze, was a good singer of folk and city songs. Ketevan and her sisters learned singing from their grandma Elisabed. She and her granddaughters, Elisabed, Leila, Ketevan and Nona Teliashvilis, sang together.

Potskhovi's repertoire includes the songs from Meskheta and other parts of Georgia, including city folk songs. It is noteworthy that they also strive to revive lesser known Meskhetian folk songs and arrange the fragments of surviving single-part versions into multi-part examples which they consider to be more natural.

მალაყმაძეების ოჯახი

ხელვაჩაური, აჭარა
საქართველო



მალაყმაძეების ოჯახი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტუნეთში ცხოვრობს. შემადგენლობა: ოჯახის თავი – ემზარ მალაყმაძე, მეუღლე – ცირა ხინკილაძე და ვაჟები – გურამი და მათე.

ემზარს ბავშვობიდანვე დაჰყვა ცეკვის სიყვარული. მოგვიანებით მან კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიული ფაკულტეტი დაამთავრა. გარდა ამისა, დაეუფლა სხვადასხვა ხალხურ ინსტრუმენტზე დაკვრას: დოლი, გარმონი, სალამური, ფანდური, ჭიბონი, დუდუკი, გიტარა. ცირა ცეკვავს, უკრავს ფანდურს, დოლს და შეუძლია ექსპრომტად შაირების შეთხზვა. უფროსი ვაჟი პატარაობიდანვე მონაწილეობდა საოჯახო ანსამბლის გამოსვლებში. დღეს ის ცეკვავს, მღერის, უკრავს დოლს, სალამურს, ფანდურს და სწავლობს ჭიბონზე დაკვრასაც. უმცროსმა ვაჟმა თავისით აითვისა უფროსი თაობის მოცეკვავეებისაგან ფოლკლორული ცეკვების ილეთები და თავისებური ინტერპრეტაციით ასრულებს.

ემზარ მალაყმაძე და მისი მეუღლე ცირა ხელვაჩაურის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიულ ანსამბლ კოლხეთის წევრები და მაჭახლის ხეობის ქორეოგრაფიულ ანსამბლ მაჭახელას ხელმძღვანელები არიან.

THE MALAQMAADZE FAMILY

KHELVACHAURI, ACHARA
GEORGIA

The Malaqmadze family lives in the village of Chkhutuneti, in the Khelvachauri municipality. The family members are the father, Emzar Malaqmadze, mother Tsira Khinkiladze, and their sons Guram and Mathe.

Emzar has had love for dancing since an early age. Later he studied Choreography at the School of Cultural Education. He plays many different folk instruments: *doli*, *garmoni*, *salamuri*, *panduri*, *chiboni*, *duduki*, and *guitar*. Tsira dances, plays the *panduri* and *doli*, and improvises comic verses.

The eldest son has participated in family performances since childhood. Today he dances, sings, plays the *doli*, *salamuri* and *panduri* and is studying the *chiboni*.

The younger son has mastered folk dance movements from adults but performs them with his own interpretation.

Emzar Malaqmadze and his spouse Tsira are members of the choreographic ensemble *Kolkheti* at Khelvachauri Centre of Culture and directors of the choreographic ensemble *Machakhela* of the Machakhela Gorge.

მელაძეების ოჯახი თბილისი, საქართველო



მელაძეების მომდერალი ოჯახი თბილისიდანაა. რვაწევრიან ოჯახში ყველა მღერის: მამა – პაატა მელაძე, დედა – შორენა შანიძე, შვილები – მართა, აბო, იოანე, ლაზარე, მარიამი და ეკატერინე. მელაძეების ოჯახში მანამდე არავინ მღეროდა და არც მუსიკალური განათლებაც (სამუსიკო სწავლებელი) მხოლოდ პაატას აქვს მიღებული.

პაატამ სიმღერა ტარიელ და კახა ონაშვილების ანსამბლ *მძლევარში* დაიწყო. სხვადასხვა დროს მღეროდა ანსამბლებში – *გეორგიკასა* და *ლამარში*. ხალხური სიმღერისადმი ინტერესმა და მეტის შეცნობის წყურვილმა იგი სხვადასხვა დროს ოთარ ბერძენიშვილს, რობერტ გოგოლაშვილს, ციცი ფალავანდიშვილს, დავით შანიძეს, გიორგი დონაძეს, გიორგი უშიკიშვილს შეახვედრა. თითოეულმა თავისი კვალი დატოვა მომავალი ლოტბარის დაოსტატების გზაზე, თუმცა ცოდნის გამდიდრების მთავარი წყარო მაინც საარქივო ჩანაწერები გახლდათ. პაატა მელაძე ხელმძღვანელობს სიღნაღის ფოლკლორულ ანსამბლ *მრავალშვილიანობა* და ბავშვთა ფოლკლორულ სტუდიასა და ანსამბლ *ბინულს*.

მელაძეების ოჯახის რეპერტუარში საქართველოს სხვადასხვა კუთხის, მათ შორის – ქალაქური სიმღერებია. თანხლებისთვის იყენებენ ხალხურ საკრავებს – ფანდურსა და ჩონგურს, იშვიათად – დოლსა და გიტარას.

THE MELADZE FAMILY

TBILISI, GEORGIA

The Meladze family of singers lives in Tbilisi. All eight members of the family sing: father – Paata Meladze, mother-Shorena Shanidze, children: Marta, Abo, Ioane, Lazare, Mariam and Ekaterine. In the past nobody in the family sang or had musical education. Only Paata is a musician, he started singing in boys' ensemble *Mdzlevari* directed by Kakha and Taniel Onashvili; at various times he sang in *Georgika* and *Lashari*. His interest in folk song and a craving for more knowledge led to his encounter with Otar Berdzenishvili, Robert Gogolashvili, Tsitsi Palavandishvili, Davit Shanidze, Giorgi Ushikishvili, each of them leaving his trace on the path of Paata's formation as choir master. However, archival recordings were the chief source to enrich his knowledge.

Paata Meladze directs folk ensemble *Mravalzhamer* and children's folk studio and ensemble *Binuli* from Signaghi. At the same time he and his entire family sing with great pleasure.

The Meladzes sing the examples from different parts of Georgia including city songs, their singing is accompanied with folk instruments- *panduri* and *chonguri*, and occasionally *doli* and guitar.

ურუშაძეების ოჯახი თბილისი, საქართველო



ურუშაძეების მომღერალი ოჯახის ხსოვნაში ეს მეხუთე-მეექვსე თაობაა, რომელიც მღერის. მათი წინაპრები გურიაში ცნობილი მომღერალ-მაგალობლები იყვნენ. შთამომავლებიც სიმღერის სიყვარულმა გააერთიანა და უსიმღეროდ მათი ცხოვრების არც ერთი მომენტი არ არსებობს. და-ძმა – სერგო და ლელა – პროფესიით ლოტბარები არიან, მესამე – ბელა – მევიოლინა.

სიმღერის ნიჭი დაჰყვათ იობიშვილების მომღერალი გვარისგანაც. ურუშაძეების წინაპრები მღეროდნენ ნესტორ კონტრიძესთან, გიგო ერქომაიშვილთან, ვარლამ სიმონიშვილთან... სერგოსა და მისი დების პირველი მასწავლებელი კი ბაბუა – გამორჩეული მომღერალი კარლო ურუშაძე იყო.

ურუშაძეების რეპერტუარი, ძირითადად, გურულ სიმღერებსა და საგალობლებს მოიცავს, თუმცა ასრულებენ საქართველოს სხვა კუთხის სიმღერებსაც. უკრავენ ჩონგურზე, ჩანგზე, ჭუნირსა და ფანდურზე.

დღეს ურუშაძეების ოჯახში მღერიან: სერგო, ლელა, ბელა ურუშაძეები და მათი შვილები – მარიამ ურუშაძე, გიორგი კალაძე, თენგიზ და კონსტანტინე გაბიძაშვილები. ურუშაძეების ოჯახი 2015-16 წლების საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატი და მეორე პრიზის მფლობელია.

THE URUSHADZE FAMILY

TBILISI, GEORGIA

According to the Urushadze family, this is their fifth/sixth generation of singers. Their ancestors were renowned singer-chanters in Guria. Their descendants have been united by the love of song, as not a single moment of their lives goes without singing. Sergo and Lela are choir masters and their sister Bela is a violinist.

They have also inherited the talent of singing from another dynasty of singers, the Iobishvili. The Urushadzes' ancestors sang with Nestor Kontridze, Gigo Erkomaishvili, Varlam Simonishvili. However Sergo and his sister's teacher was their grandfather, Karlo Urushadze. The Urushadzes' repertoire is chiefly composed of Gurian songs and chants, with a few songs from other parts of Georgia. They play the *chonguri*, *change*, *chuniri* and *panduri*. Today the Urushadze family of singers include: Sergo, Lela and Bela Urushadzes and their children, Mariam Urushadze, Giorgi Kaladze, Tengiz and Konstantine Gabidzashvili. The Urushadzes were laureate and second prize-winner of the 2015-16 National Folklore Festival.

ფილფანების საოჯახო ანსამბლი ნანილა

მესტია, სვანეთი
საქართველო



THE PULPANI FAMILY ENSEMBLE NANI LA

MESTIA, SVANETI
GEORGIA

This is the fifth/sixth generation of singers in the history of the Pilpani family ensemble. Head of the family Eptime (Islam) Pilpani and his spouse Ekaterine Pilpani, both aged 82, sing traditional Svan songs together with their children Vakhtang and Nana Pilpani and their grandchildren Anano, Beshken and Eka Pilpani, Mariam, Omar and Nikoloz Darchia.

Islam's mother Marta Guledani was a brilliant singer and his father Maxime Pilpani was a good connoisseur of Svan vocal and instrumental traditions. All representatives of the 30-member family naturally mastered this knowledge from them from everyday practice. Maxime's young brother Alexi was one of the founders and a choir master of Svaneti Song and Dance Ensemble. The Pilpani's repertoire includes chiefly Svan folk songs and round dances, as well as folk songs from other parts of Georgia. Islam, Vakhtang, and Nana play all folk instruments as well as the guitar and piano. From their ancestors the Pilpanis also inherited the knowledge of building Svan *changi* and *chuniri*, a traditional which Vakhtang successfully continues.

ფილფანების ოჯახის ხსოვნაში ეს მეხუთე-მეექვსე მომღერალი თაობაა. ოჯახის უფროსი – ეფთიმე (ისლამ) ფილფანი და მისი მეუღლე – ეკატერინე ფილფანი 82 წლისანი არიან. ისინი შვილებთან – ვახტანგ და ნანა ფილფანებთან და შვილიშვილებთან – ანანო, ბეშქენ და ეკა ფილფანებსა და მარიამ, ომარ და ნიკოლოზ დარჩიებთან ერთად მღერიან ტრადიციულ სვანურ სიმღერებს.

ისლამის დედა – მარტა გულებანი ბრწყინვალე მომღერალი იყო, მამა – მაქსიმე ფილფანი – სვანური სასიმღერო და საკრავიერი ტრადიციების საუკეთესო მცოდნე. სწორედ მისგან შეითვისა ეს ცოდნა ბუნებრივად, ყოფაში, გაუყოფელი 30-კაციანი სვანური ოჯახის ყველა წევრმა. მაქსიმეს უმცროსი ძმა, ალექსი, იყო სვანეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლოტბარი.

ფილფანების რეპერტუარში ძირითადად სვანური ხალხური სიმღერები და ფერხულებია, ასევე, საქართველოს სხვა კუთხეების ფოლკლორული სიმღერები. ისლამი, ნანა და ვახტანგი უკრავენ სხვადასხვა ხალხურ საკრავზე, ასევე, გიტარასა და ფორტეპიანოზე. ფილფანების ოჯახს წინაპრებისგან სვანური ჩანგისა და ჭუნირის დამზადების ცოდნაც გადმოეცათ, რასაც ვახტანგი აგრძელებს.

ჩხაიძეების ოჯახი

ლანჩხუთი, გურია
საქართველო



ჩხაიძეების საოჯახო ანსამბლი 2011 წელს ჩამოყალიბდა. ოჯახი ცხრა წევრისაგან შედგება: თამაზ ჩხაიძე და მზია მიდელაშვილი, მათი შვილი გიორგი ჩხაიძე და მისი მეუღლე ნანა მგელაძე, შვილები – თომა (10 წლის), ანდრია (9 წლის), გაბრიელი (6 წლის), დემეტრე (5 წლის) და ილია (3 წლის). ოჯახში ყველა მღერის, მათ შორის – პატარა ილიაც. ჩხაიძეები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთში ცხოვრობენ.

ანსამბლის რეპერტუარში საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებია, თუმცა, ბუნებრივია, გამორჩეულად კარგად გურულ ხალხურ სიმღერებს ასრულებენ.

ჩხაიძეების ოჯახი 2015-16 წლების საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატი და მესამე ადგილის პრიზიორია.

THE CHKHAIDZE FAMILY

LANCHKHUTI, GURIA
GEORGIA

The Chkhaidze family ensemble was founded in 2011. It consists of 9 members: Giorgi Chkhaidze, his spouse Nana Mgeladze and their children: Toma (aged 10), Andria (aged 9), Gabriel (aged 6), Demetre (aged 5), Ilia (aged 3), Giorgi's parents, Tamaz Chkhaidze and Mzia Midelashvili. All members sing, including the youngest Ilia. The Chkhaidze's live in the village of Shukhuti, in the Lanchkhuti Municipality. Their repertoire includes songs from different parts of Georgia, however they sing Gurian folk songs best. The Chkhaidze family was a laureate and third place winner of 2015-2016 National Folklore Festival.

ცინცაძეების ოჯახი

ხელვაჩაური, აჭარა
საქართველო



ცინცაძეების მუსიკალური ოჯახი აჭარაში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათში ცხოვრობს. ოჯახის უფროსი 77 წლის იაშა ცინცაძეა. მღერიან მამა და ოთხი შვილი – მზიური, ციური, მანანა და ჯუმბერ ცინცაძეები. მამამ შვილებს სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრა შეასწავლა; ჯუმბერი თავად ამზადებს ხალხურ ფანდურს. იაშა მღერის ყველა ხმას, ფლობს იშვიათ ხმას – კრიმანჭულს, უკრავს გარმონზე, დუდუკზე, სალამურზე, ფანდურზე, დოლსა და ჭიბონზე.

ცინცაძეების რეპერტუარში ძირითადად ტრადიციული აჭარული სიმღერები და დასაკრავებია, თუმცა სიამოვნებით ასრულებენ სხვა კუთხის სიმღერებსაც. ისინი აქტიურად მონაწილეობენ მუნიციპალურ და რეგიონულ ღონისძიებებში.

THE TSINTSADZE FAMILY

KHELVACHAURI, ACHARA
GEORGIA

The Tsintsadze musical family lives in the village of Kirnati Khelvachauri in the Municipality of Achara. The head of the family is 77-year-old Yasha Tsintsadze. His four children, Mziuri, Tsiuri, Manana and Jumber, are all singers, Jumber also builds folk *panduri*. Yasha sings all voice parts and is also a rare *krimanchuli* singer. He also plays the *garmoni*, *duduki*, *salamuri*, *panduri*, *doli* and *chiboni*. The Tsintsadze's repertoire chiefly includes traditional Acharan folk songs and instrumental music, however they perform with pleasure songs from other parts of Georgia. They actively participate in municipal and regional events.

სიმპოზიუმის ორგანიზატორები მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის მადლობას უხდინან:

საზოგადოებრივ მაუწყებელს
საპატრიარქოს ტელევიზია *ერტსულოვნებას*
იმედს
GDS-ს
კულტურის არხ *არტარას*
საინფორმაციო ვებ-გვერდ *ინფო-თბილისს*
საზოგადოებრივი რადიოს I არხს
ჟურნალ მუსიკას
ფონდ *ქართულ გალობას*
სტუდია *მრავალუმიერს*



სსმ



THE SYMPOSIUM ORGANIZERS ARE MOST GRATEFUL TO:

PRESIDENT OF GEORGIA
MINISTRY OF CULTURE AND MONUMENTS PROTECTION OF GEORGIA
GEORGIAN PUBLIC BROAD CASTER
PATRIARCHY TELEVISION *ERTSULOVNEBA*
IMEDI
GDS
PUBLIC RADIO CHANEL I
JOURNAL *MUSIKA*
STUDIO *MRAVALJAMIER*

სიმპოზიუმი ტარდება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიაში

გრიბოედოვის 8/10, თბილისი, 0108, საქართველო

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი

ტელ.: (+995 322) 299 89 53

ფაქსი: (+995 322) 298 71 87

ვებ-გვერდი: www.polyphony.ge,
www.symposium.polyphony.ge

ელ-ფოსტა: polyphony@conservatoire.edu.ge

THE SYMPOSIUM IS HELD AT THE V. SARAJISHVILI
TBILISI STATE CONSERVATOIRE

8/10, GRIBOEDOV STR., TBILISI, 0108, GEORGIA

THE INTERNATIONAL RESEARCH CENTER FOR TRADITIONAL POLYPHONY

TELEPHONE (+995 322) 2 99 89 53

FAX: (+995 322) 2 98 71 87

WEB-SITE: www.polyphony.ge,

www.symposium.polyphony.ge

E-MAIL: polyphony@conservatoire.edu.ge

რედაქტორი
შემდგენელი
მთარგმნელი
თარგმანის რედაქტირება
მხატვარი
კომპიუტერული უზრუნველყოფა

რუსუდან წურწუმია
ბაია ჟუჟუნაძე, ნანა ვალიშვილი
მაია კაჭკაჭიშვილი
მათიუ ნაითი, ბენ ვილერი
ნიკა სებისკვერაძე
ნინო რაზმაძე

Editor
Compiler
Translator
Translator
Design
Computer Service

RUSUDAN TSURTSUMIA
BAIA ZHUZHUNADZE, NANA VALISHVILI
MAIA KACHKACHISHVILI
MATTHEW KNIGHT, BEN WHEELER
NIKA SEBISKVERADZE
NINO RAZMADZE